ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
10 მაისი პარასკევი 2013
№108 (14 024) ფასი 80 თეთრი


## ინტერვიუ იგორ კოკოშკოვთან

16



## ვამაყობ!

## დიდი სკანდალის მოლოდინში



## ისევ ილია კოკაია და მორიგი ნაღმი

2-3



გარიგებული მატჩები, ვერსიები და გამოჟონილი ამბები

## ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრები რამდენი გამოწვევის წინაშეც დადგა, იმდენჯერ თავი შესანიშნავად გაართვა

## აი, ასე: მოიესი!

მანჩესტერ იუნაიტედს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს

8-9





## ლადომ პოლონეთის თასი მხარზე გაიდო



3

## მოლდოვა მოვიგეთ, წინ სლოვაკეთია

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

10

## ბუბამ გაათანაბრა

არმიას ცოტა დააკლდა



11

პრობლემა

# ისევ ილია კოკაია და მორიგი ნაღმი

## მოლდოვაში დაკავებულმა ფეხბურთელმა თანხა ჩვენი ჩემპიონატის მატჩზე დადო

„ზესტაფონის“ პრეზიდენტის, ილია კოკაიას მიერ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებებს “ლელოში” უკვე გაეცნობოდით. მისი თქმით, საკუთარი კლუბის დაშლას იმიტომ აპირებს, რომ ხელისუფლება კერძო გუნდებს ისე არ ეხმარება, როგორც „სახელმწიფო“ კლუბებს. მეორე მიზეზად კი მან გარიგებული მატჩები დაასახელა. “პრობლემაა გარიგებული მატჩებიც: ამ სიბინძურემ უკვე პიკს მიაღწია. ამიტომაც არის ჩვენი ფეხბურთი ინვესტორისთვის უინტერესო. შარშან ამ დროს პრესკონფერენცია ჩავატარე და რამდენიმე გარიგებულ თამაშზე ეჭვი გამოვთქვი. ცოტა ხნის წინ, ამ საკითხზე კიდევ ერთი განცხადება გავაკეთე და საგამომძიებლო ორგანოებში დამიბარეს. გაოცებული დავრჩი იმით, რაც იქ ვნახე და გავიგე. გარიგებულ მატჩებზე უამრავი საქმეა აღძრული, ტომებია შედგენილი და შემიძლია გითხრათ, რომ ყველაფერზე დეტალურ ინფორმაციას ფლობენ. არ ვიცი, რას ელოდებიან ყველაფერი საზოგადოების სამსჯავროზე რატომ არ გამოაქვთ.” – განაცხადა კოკაიამ. “ზესტაფონის” პრეზიდენტს პრესკონფერენციაზე კონკრეტულ თემებზე არ ულაპარაკია, მაგრამ ჩავეძიეთ და ბევრი საინტერესო რამ გვითხრა.

**- საგამომძიებლო ორგანოებში კონკრეტულად რომელ განცხადებასთან დაკავშირებით დაგიბარეს?**

- როდესაც ეროვნული ჩემპიონატი განახლდა, საგაზაფხულო ეტაპის პირველივე შეხვედრა 9 მარტს, გორში “დილასთან” გვქონდა. პრესკონფერენციაზეც ვთქვი, რომ ამ შეხვედრის დაწყებიდან ნახევარ საათში სტადიონი დავტოვე, რადგან შევატყვე - ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. ის შეხვედრა 1:2 წავაგეთ, რაც თავისთავად ტრაგედია არ არის, მაგრამ მატჩის შემდეგ ფედერაციაში შევიტანეთ პროტესტი - მსაჯის მოქმედებებზე გვქონდა ეჭვი. გამოძიებას სწორედ ამის შესახებ დაებადა კითხვები.

**- ბრძანეთ, გამოძიებას ყველაფერზე დეტალური ინფორმაცია აქვსო. რა ინფორმაციას ფლობთ - გარიგებებს დიდი მასშტაბები აქვს?**

- ზუსტად ვერ ვიტყვი, რადგან ცხადია, რომ ყველაფერს არ გამიმხელდნენ.

**- საქმეში მხოლოდ მოთამაშეები არიან გარეულნი?**

- რას ლაპარაკობთ?! არა მხოლოდ მოთამაშეები - კლუბებიც, კერძო პირებიც.

**- ზედა საფეხბურთო ეშელონებიც?**

- ამაზე ვერაფერს გეტყვით - გამოძიება ყველაფერს ხომ არ მეტყოდა?! იცით, ფეხბურთიდან წასვლაზე კიდევ რატომ დავფიქრდი? თამაშებს თავად მოთამაშეებიც ყიდიან და უკვე ყოველ ყვითელსა და წითელს, კუთხურს ან ჯარიმას ეჭვის თვალით ვუყურებ. ფეხბურთში იმისთვის კი არ მოვედი, რომ ეჭვებით ვიცხოვრო - სიამოვნების მიღება და ზესტაფონელების გახარება მსურდა.

ორი თვის წინ მოლდოვაში დაიჭირეს ერთ-ერთი ფეხბურთელი, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრაზე დადო ფსონი. მან იცოდა, ის მატჩი რა შედეგით დასრულდებოდა. არადა, დღემდე ვერ წარმოვიდგენდი და ვერც ვიეჭვებდი, ის შეხვედრა გარიგებული თუ იქნებოდა.

**- აღარ ვიცი, რა გკითხოთ. უკვე ისიც დასაფიქრებელია - ქართულ ფეხბურთს რაიმე წმინდა თუ შერჩა?**

- არ შერჩა და სწორედ ამაზეა ლაპარაკი! ან ამ ყველაფრის შემდეგ რა უნდა დავიჯერო?!

**- წარმოუდგენელია, ეს თქვენ იცოდეთ და ინფორმაციას არ ფლობდეს ფეხბურთის ფედერაცია.**

- ერთია, რომ იცის და მეორეა - გარიგებას როგორ დაამტკიცებს? ეს ძალიან ძნელი საქმეა. საფეხბურთო კლუბი და ფედერაცია ხომ საგამომძიებლო ორგანო არ არის. მაგრამ ვინც ამ ფაქტების მოპოვება შეძლო, იმედია, მალე ყველაფერს გამოამზეურებს და ქართული ფეხბურთი გაიწმინდება. თუ ეს გააკეთეს იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში და სხვაგან, ჩვენ ვის ვერიდებით?

**მერაბ მამულაშვილი**



# დიდი სკანდალის მოლოდინში

## გარიგებული მატჩები, ვერსიები და გამოუქვეყნებელი ამბები

**ილია კოკაიას** დღევანდელმა ინტერვიუმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართული ფეხბურთის თავზე კვლავ შეიყარა შავი ღრუბლები... და მალე საგამომძიებლო ორგანოებისგან “სეტყვას” უნდა ველოდოთ.

“ლელოში” ჯერ კიდევ მარტში გამოქვეყნდა წერილი - „რა წყვეტს ჩემპიონობის ბედს - მოედანზე თუ მის მიღმა თამაშში?”. ჩვენი ცნობები კულუარებში მოპოვებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა, რომლის თანახმადაც, ახალმა ხელისუფლებამ გარიგებულ მატჩებთან ბრძოლა გადაწყვიტა.

ამ ცნობების თანახმად, ბევრი საეჭვო ამბავი გამოიკვეთა. მაგალითად, რატომ დებდნენ ტოტალიზატორებში ფსონებს ჩვენი პირველი ლიგის მატჩებზე.

### მოგვაწოდეთ ინფორმაციები!

მაგრამ ამ კუთხით საგულისხმო იყო პირველ აპრილს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გაკეთებული განცხადება:

*“ფეხბურთისთვის უპირველესი პრიორიტეტია, მხოლოდ სამართლიან და პატიოსან ბრძოლაში გამოვლინდეს თითოეული მატჩის თუ ტურნირის გამარჯვებული. სამწუხაროდ, ამას ხელს უშლის ზოგიერთი პირის თუ პირთა ჯგუფის არაკეთილსინდისიერი საქციელი, რაც გამოიხატება მატჩების შედეგით მანიპულირებაში სპორტული თუ ფინანსური სარგებლის მოსაპოვებლად. ეს, რა თქმა უნდა, ზიანს აყენებს ჩვენთვის საყვარელი სპორტის სახეობას!*

*გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის საქმეში, ძალიან მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის გაერთიანება, რადგან მხოლოდ ერთობლივი ძალებითაა შესაძლებელი ფეხბურთიდან ამ მანკიერების აღმოფხვრა.*

*ამიტომ მოგიწოდებთ ყველას, ვისაც აქვს კონკრეტული ფაქტები ან ეჭვები ჩატარებული თუ მომავალი მატჩების სპორტულ სამართლიანობასთან დაკავშირებით, მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია. ჩვენი მხრივ, ვიძლევით ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალობის გარანტიას”.*

ეს განცხადება უკვე აშკარა სიგნალი იყო იმისა, რომ ქართულ ფეხბურთში წესრიგის დამყარების მორიგი მცდელობისთვის ამზადებდნენ საფუძველს. კოკაიას განცხადებამ კი, შესაძლოა, ამ საქმეში კატალიზატორის როლი ითამაშოს და პროცესი დააჩქაროს.

### ჯერაც დაუდასტურებელი ფაქტები

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგაში მომხდარი საეჭვო მოვლენები ძალიან ბევრ ადამიანს აღელვებს. უყურებ შეხვედრას და ვერაფერს ამტკიცებ, მაგრამ, ამავდროულად, თავს შეურაცხყოფილად გრძნობ - ესა თუ ის მატჩი აშკარად ეჭვს იწვევს. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ამ ყველაფრის შემდეგ, ქართულ ფეხბურთზე ბევრს გული უცრუვდება. კოკაიამ მართალი თქვა: *“ამ სიბინძურეებმა უკვე პიკს მიაღწია და ამიტომაც არის ჩვენი ფეხბურთი ინვესტორისთვის უინტერესო”.*

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: ვერანაირი ლოგიკა ვერ ახსნის იმას, რომ უცხოურ ტოტალიზატორში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის მატჩებზე ფსონებს დებენ წინასწარი სტატისტიკური ცნობების არარსებობის პირობებში.

ისმის კითხვა: როგორ გამოიცნო “ზესტაფონის” შეხვედრის შედეგი მოლდოვაში ტოტალიზატორთან კავშირში ბრალდებულმა მოთამაშემ?

ჩვენს ფეხბურთს კვლავ უტრიალებენ გარშემო საეჭვო პირები და ჩემპიონობის ბედის მოედნის მიღმა გადაწყვეტა სურთ;

პირველ ლიგაში ანგარიშების “გამოცნობაზე” ლეგენდები დადის და ამბობენ - ამის გამო, რამდენიმე გუნდი სპეციალურადაც კი დაფუძნდაო;

ასახელებენ კონკრეტულ პიროვნებებს, რომლებიც კლუბებსა და მსაჯებს შორის შუამავლობენ და მას “მსაჯების ბროკერს” ეძახიან.

ამ ყველაფრის საფუძველი ძილში ნანახი ამბები არ გახლავთ, ამაზე მთელი საფეხბურთო სამყარო ღიად ლაპარაკობს, მაგრამ მტკიცებულებების გარეშე ხელფეხშეკრულები არიან და ვერაფერს ამტკიცებენ.

### რას ლაპარაკობენ კულუარებში

ფაქტია, რომ ჩვენს ფეხბურთში მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. ამტკიცებენ, რომ გარიგებული მატჩების სიმრავლისა და სახელმწიფოს მხრიდან კერძო მეპატრონეების ინტერესების უგულებელყოფის გამო, ფეხბურთიდან წასვლა არა მხოლოდ “ზესტაფონის” პრეზიდენტს სურს. ამ სიაში არიან ქუთაისის “ტორპედოს”, თბილისის “ვიტ ჯორჯიასა” და “გაგრას” მეპატრონეებიც - ქართულ ფეხბურთზე **ლევან ფხაკაძეს, გურამ რუხაძესა და ბესიკ ჩიხრაძესაც** გული აუცრუვდათ. “ლელოსთან” დაახლოებით იმავე შინაარსის განცხადება მარტვილის “მერანის” პრეზიდენტმა **ფრიდონ ინჯიამ** გააკეთა. საქართველოს ჩემპიონატში საეჭვო მოვლენებზე თბილისის “დინამოს” პრეზიდენტმა **რომან ფიფიამაც** ილაპარაკა.

ერთ-ერთი კლუბის ხელმძღვანელმა პრივატულ საუბარში გვითხრა: *“ამ საკითხზე „თორმეტთა საბჭოში“ (უმაღლესი ლიგის კლუბების სათათბირო) ვიმსჯელეთ. ფედერაციამ პროკურატურას მიმართა და ვფიქრობ, სათანადო ნების არსებობის შემთხვევაში, ყველაფრის გამოძიება და დადგენა შესაძლებელია. და თუ ჩემპიონატი ისე არ გაგრძელდა, როგორც „თორმეტთა საბჭო“ ფეხბურთის ფედერაციისგან მოითხოვს და თუ ამ ორგანიზაციამ სამართლიანი თამაშის პრინციპების დაცვა ვერ უზრუნველყო, მაშინ კლუბები რადიკალურ ნაბიჯს გადავდგამთ და ავტომატურად დადგება რიგგარეშე ყრილობის გამართვის საკითხი. ფედერაცია გარიგებულ თამაშებს და სიბინძურეს რეალურად უნდა ებრძოლოს”.*

საყურადღებო იყო “ლელოში” “ზუგდიდის” კაპიტნის **როინ ონიანის** ინტერვიუ. ონიანი ერთ-ერთი იყო იმ ხუთი მოთამაშისგან, რომლებიც 2011 წელს გარიგებულ მატჩებში მონაწილეობაში ამხილეს. მან აღიარა, რომ შეცდა, მაგრამ საინტერესო მინიშნებაც გააკეთა: *“ჩვენი დაკავებით ხომ არ გადაეფარნენ გაცილებით გავლენიან ხალხს, ვინც ტოტალიზატორებში მართლა დიდ ფულს შოულობდა? მგონია, რომ ამ ვერსიას არსებობის უფლება აქვს, რადგან მიმაჩნია, რომ მაშინ ხელები ჩვენზე შეიწმინდეს. თან თქვეს, ამაში 180 მოთამაშე იყო გარეულიო და ბოლოს მხოლოდ ხუთნი დავრჩით”.*

### რას ითხოვს მედია და ბიზნესი?

მოკლედ, ფედერაციის, კლუბების ხელმძღვანელთა და მოთამაშეთა დაფიქსირებული პოზიციებიდან აშკარად იკვეთება, რომ მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკულია.

ვითარების გაჯანსაღებისთვის საკმარისი არ იქნება მხოლოდ გამოძიების მიერ უტყუარი ფაქტების გამომზეურება. დროა, ფეხბურთის ფედერაციამ, „თორმეტთა საბჭომ“, პირველი და მეორე ლიგის წარმომადგენლებმა და ოპოზიციურად განწყობილმა ჯგუფებმა საერთო შეკრება მოაწყონ, სადაც იმსჯელებენ არა ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე, არამედ უფრო საფუძვლიან პრობლემაზე - რა გვიშლის ხელს, რა საკანონმდებლო ინიციატივებია აუცილებელი, რა შეიძლება გახდეს ქართულ ფეხბურთში მდგომარეობის გაუმჯობესების წინა პირობა...

კარგი იქნება, თუ საფეხბურთო სამყარო ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებს შეხვდება და დაინტერესდება - რატომ არის მათ თვალში ქართული ფეხბურთი ასე სახელგატეხილი? რატომ არ სურთ ბიზნესწრეებსა და მედიამფლობელებს სტადიონისკენ გახედვა?

სკამებზე, თანამდებობებსა და გავლენის სფეროებზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის. თორემ ქართულ ფეხბურთს კოკაია, ფხაკაძე და ჩიხრაძე თუ მიატოვებენ, ისედაც საფუძველმორყეული ჩვენი ფეხბურთი გამანადგურებელ დარტყმას მიიღებს.

### არ ეძინა მას...

2012 წელს FIFPro-მ (ფეხბურთელთა და მწვრთნელთა საერთაშორისო პროფკავშირი) გამოაქვეყნა “შავი წიგნი”. ამ ორგანიზაციის მიერ დაქირავებულმა გამომძიებლებმა პირდაპირ მიუთითეს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში გარიგებულ მატჩებში მონაწილეობს ან ინფორმირებულია ფეხბურთელთა 23.6 პროცენტი. რუსეთში ამ მაჩვენებელმა 43.5 პროცენტს მიაღწია.

ორი წის წინ, უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** ბელგრადში, ევროპის საბჭოს სპორტის მინისტრთა კონფერენციაზე იგივე პრობლემა წამოჭრა. ცხადია, ფიფასა და უეფაში არ სძინავთ. ისინი უდიდესი პოლიტიკური გავლენისა და ფინანსური სახსრების მქონე რუსეთს საჯაროდ თითს უქნევენ და ჩვენში არავის ჰქონდეს იმედი, რომ ქართულ ფეხბურთს თავზე ხელს გადაუსვამენ. 2011 წლის მოვლენებმა ბევრი გამოაფხიზლა, მაგრამ ყველა ვერ აცნობიერებს - რა პროცესები დაიწყო და რა შედეგებით შეიძლება ის დასრულდეს. სანამ დროა, ეს ხალხი უნდა დაფიქრდეს - ცეცხლთან თამაში სახიფათოა.

კორუფციასა და გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის სამი ძირითადი მიმართულება არსებობს. 1. საჭიროა პოლიტიკური ნება; 2. აუცილებელია ცალკე სტრუქტურის შექმნა, რომელიც ასეთ ინფორმაციებს თვალყურს მიადევნებს; 3. არსებულ ინფორმაციებს ქმედითი რეაქცია უნდა მოჰყვეს. ვფიქრობთ, ჩვენ გაგვაჩნია ყველა საშუალება, რომ გარიგებულ მატჩებს რეალურად ვებრძოლოთ.

მსოფლიო ქართულ ფეხბურთს კარგად არ იცნობს და ისე არ ვქნათ, მხოლოდ კორუფციასთან გაიგივებულ ქვეყნად გაგვიცნონ. სამწუხაროდ, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა გვაჩვენა, რომ ჩვენ ამის დიდი შანსი გაგვიჩნდა.

**მერაბ მამულაშვილი**



თვალსაზრისი

# სად წავიდა კაშნე?

## რესპექტაბელური კაცის კალეიდოსკოპი

საკლუბო ფეხბურთი რომ დახმარებას საჭიროებდა, არაერთხელ გვითქვამს, მაგრამ მაშინ ამაზე ყურს არავინ იბერტყავდა, ახლა კი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით - ზოგი კლუბი დაშლის პირასაა, ზოგმაც არ იცის, რა ელის.

პრობლემები აქვთ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კლუბებს. წლობით იყო ეს პრობლემები, მაგრამ არ იყო მიზანმიმართული მოქმედება, იყო სუბსიდიები, მაგრამ არ იყო კონცეფცია.

„ზესტაფონის“ პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** ახლახან პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა - გუნდს ან გავაძლიერებ, ან დავშლი, ჩემი გადაწყვეტილება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რას მოიმოქმედებს სახელმწიფო.

ბოლო წლებში კოკაიამ არაერთი ხმაურიანი განცხადება გააკეთა, რასაც ის მანამდე ერიდებოდა ხოლმე, მაგრამ დრო გადიოდა, ქართულ საკლუბო ფეხბურთში კი წინსვლა არ ჩანდა, არ არსებობდა კლუბების განვითარების გეგმაზომიერი პოლიტიკა.

კოკაიას პრესკონფერენცია მართლაც აქტუალური გამოდგა. „ზესტაფონის“ პრეზიდენტის პოზიცია კი ყურადსაღები უნდა იყოს მთელი რიგი ფაქტორების გამო.

იყო ზესტაფონის „მეტალურგი“ და „მარგვეთი“, 2004 წელს კი კოკაიამ უმაღლეს ლიგაში შეიძინა ადგილი წყალტუბოს „სამგურალისგან“, რომელიც პირველი ლიგიდან კი ალზევდა, მაგრამ ფინანსური პრობლემები ჰქონდა. კოკაია მანამდეც ფეხბურთში საქმიანობდა და აგენტობით გახლდათ დაკავებული.

საფეხბურთო კლუბში ფულის ხარჯვა მან 2004 წლიდან დაიწყო და ცხრა წლის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია, მოიგო საქართველოს თასი (2008) და ორჯერ ჩემპიონობა (2010/11 და 2011/12), „ზესტაფონში“ გამოჩნდა ბევრი საინტერესო ფეხბურთელი, კლუბმა რამდენიმე მოთამაშე გაყიდა უკრაინაში, ბოლოს **ნიკა გელაშვილის** „ბოხუმში“ ტრანსფერიდანაც მიიღო თანხა. მოკლედ, „ზესტაფონი“ შემდგარი კლუბი გახდა, კოკაიამ კლუბის ინფრასტრუქტურული პროექტებიც განახორციელა.

არ ვიცი, რამდენი მილიონი დაუჯდა ეს ყველაფერი კოკაიას, მაგრამ მისი დანახარჯები პატივისცემას იმსახურებს. კოკაია რესპექტაბელური კაცი გახდა ქართულ ფეხბურთში.

კოკაია იმითაც არის დასაფასებელი, რომ მისთვის არავის დაუძალებია, საფეხბურთო კლუბი დააფინანსეო - ეს მისი არჩევანი იყო. ასეთ დროს კი რისკი კიდევ უფრო დიდია - ხარჯავ ფულს და არანაირად არ ხარ დაცული, არანაირი პრევენცია და მხარდაჭერა არ გაგაჩნია.

კოკაიამ ამ საქმეს რომ მოჰკიდა ხელი, მაშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** გახლდათ. ქვეყანაში ყველაფერზე ტოტალური კონტროლის დამყარების პოლიტიკა ფეხბურთსაც შეეხო, ჟორდანიაც ჩამოაშორეს ფეხბურთს. კოკაიამ კარგად აუღო ალღო სიტუაციას და უმცროსი **ნოდარ ახალკაცის** მხარდამჭერი გახდა - ფედერაციის ახალი პრეზიდენტიც „ზესტაფონის“ კაშნეთი დადიოდა. თითქმის ყველა საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი „ზესტაფონში“ იყრიდა თავს, ეს კლუბი ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების საბაზო წარმონაქმნი გახდა. პროექტი დიდად წარმატებული ვერ გამოდგა, თუმცა სარგებელი მაინც მოუტანა „ზესტაფონს“ ფეხბურთელების სელექციის მხრივ.

კოკაიას „ზესტაფონში“ არ ჩანდა ძლიერი ადმინისტრაციული გუნდი, თითქოს ყველაფერს კოკაია უძღვებოდა. მართვის იმპერატორული სტილი - „ზესტაფონი“ დაახლოებით ასეთ მოდელს წარმოადგენდა, რაც აქტივში ვერ ჩაეთვლებოდა კლუბის მფლობელს. „ზესტაფონს“ ახლა კი ჰყავს აქტიურად მომუშავე სპორტული დირექტორი, ადრე კი ასე არ იყო.

კოკაია არ იყო ერთადერთი, ვისაც მოსწონდა კლუბის მართვის ასეთი სტილი. ქართული კლუბების სხვა პრეზიდენტებიც მინახავს, ფულის დაზოგვას ასეთნაირად რომ ცდილობენ - ფეხბურთელების, მწვრთნელების და ბურთის დამბერავის მეტი არავინ მჭირდება, მე უკვე ყველაფერი ვიცი ფეხბურთში.

არ ვიცი, უმცროსი ახალკაცი ახლაც „ზესტაფონის“ კაშნეთი დადის თუ არა გერმანიის ქალაქებში, ის კი ნაღდია, რომ ფეხბურთის ფედერაცია ახლოს უნდა იყოს კლუბების პრობლემებთან და სახელმწიფოსთან ერთად რაღაც კალაპოტი უნდა გამოძებნოს კლუბებისთვის.

კოკაიას ზოგი გადაწყვეტილება თუ განცხადება კრიტიკას იმსახურებს, ზოგიც ძალიან საკამათოა, ზოგიც გაუგებარია, მაგრამ კოკაია ისევ რესპექტაბელურ კაცად რჩება ქართული ფეხბურთისთვის, მან ამ საქმისთვის ძალიან ბევრი გააკეთა.

რესპექტაბელობა მხოლოდ ფულის ხარჯვით არ მოდის. კოკაია ისეთი ბიზნესმენი და პრეზიდენტია, ვისაც მართლა უყვარს ფეხბურთი, ასეთები კი ცოტანი არიან, ასეთებს განსაკუთრებით სჭირდებათ დახმარება და ხელშეწყობა სახელმწიფოსგან...

**დავით თავართქილაძე**

ამბები

### უკუსვლა გრძელდება

9 მაისს ფიფა/კოკა-კოლას ეროვნული ნაკრებების მორიგი რეიტინგი გამოქვეყნდა, სადაც საქართველო აპრილის რეიტინგთან შედარებით, 5 საფეხურით დაქვეითდა და ამჯერად 394 ქულით 96-ე ადგილს იკავებს.

გულდასაწყვეტია, რომ **თემურ ქეცბაიას** გუნდს მსოფლიოს 2014 წლის შესარჩევი ტურნირის ჯგუფში ყველა მეტოქე ჯობნის. ასევე ჩვენზე წინ არიან: უგანდა, ანგოლა, ესტონეთი, სომხეთი, დომინიკის რესპუბლიკა, გვატემალა...

შეგახსენებთ, საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ბოლო შეხვედრა 22 მარტს, სტუმრად საფრანგეთის ნაკრებთან გამართა და 1:3 დამარცხდა.

ფიფას- რეიტინგის პირველი ათეული, წინა თვესთან შედარებით უცვლელია:

1. ესპანეთი - 1 538; 2. გერმანია - 1 428; 3. არგენტინა - 1 296; 4. ხორვატია - 1 191; 5. პორტუგალია - 1 163; 6. კოლუმბია - 1 154; 7. ინგლისი - 1 135; 8. იტალია - 1 117; 9. ჰოლანდია - 1 093; 10. ეკვადორი - 1 058...

### დვალიშვილმა პოლონეთის თასი მოიგო

ქართველი ფორვარდის **ლადო დვალიშვილის** ვარშავის „ლეგია“ პოლონეთის თასის მფლობელი გახდა.



„ლეგიამ“ თასის ფინალის პირველი შეხვედრა სტუმრად „შლიონსკთან“ 2:0 მოიგო, ხოლო შინ მინიმალური ანგარიშით დამარცხდა და შესაბამისად, თასის გამარჯვებული გახდა.

აღსანიშნავია, რომ დვალიშვილისთვის ეს პირველი პოლონური ტიტულია. აქვე გეტყვით, რომ „ლეგია“ პოლონეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს ლიდერობს და უახლოეს მდევარს 2 ქულით უსწრებს.

www.sportall.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალზევება

# მოსახდენი მოხდა: სპარტაკი უმაღლესშია

**პირველი ლიგის გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურია დარჩენილი, თუმცა ერთ-ერთი გამარჯვებული უკვე ცნობილია: 8 მაისს, სტუმრად „ალგეთთან“ მოგების (2:0) შემდეგ ცხინვალის „სპარტაკი“ კონკურენტებისათვის მიუწვდომელი გახდა და ერთწლიანი პაუზის მერე უმაღლეს ლიგას უბრუნდება!**

„სპარტაკის“ ეს წარმატება, ერთი შეხედვით, მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო: პირველი ლიგის B ჯგუფის გუნდებიდან სწორედ ეს გუნდი მიიჩნეოდა უმაღლეს ლიგაში ალზევების ერთ-ერთ რეალურ ფავორიტად. გათამაშების მსვლელობამაც ყოველივე ეს დაამტკიცა: „სპარტაკმა“ ჩინებული სტარტი აიღო და ზედიზედ 5 მატჩი მოიგო (ბურთების სხვაობის ჩინებული მაჩვენებლიც უნდა ალვნიშნოთ: 13-1). აი, ამის მერე იყო პირველი მარცხი, თანაც გუნდთან, რომელიც პირველ ეტაპზე „სპარტაკის“ ყველაზე რეალურ კონკურენტად მიიჩნეოდა: ხობის „კოლხეთმა“ ცხინვალელთა გუნდი შინ მინიმალური სხვაობით (1:0) დაამარცხა. აი, ეს იყო და ეს: ზამთრის პაუზამდე „სპარტაკმა“ ისეთი ტემპი „აკრიფა“, ვერავინ და ვერაფერი აჩერებდა! თავად განსაჯეთ: გუნდმა 10 მატჩი ჩაატარა, საიდანაც 9 მოიგო და მხოლოდ 1 შეხვედრა ითამაშა ფრედ („ალგეთთან“). ალსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტის, **ვლადიმერ ხაჩიძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სპარტაკი“ იმ პერიოდში შესაშურ შედეგიანობას უჩვენებდა: ერთ მატჩში საშუალოდ 3 გოლი გაჰქონდა. რაც მთავარია, ამ წარმატებული სერიის პერიოდს დაემთხვა საშინაო მატჩი კონკურენტ „კოლხეთთან“, რომელიც „სპარტაკის“ გამარჯვებით (2:1) დამთავრდა და ამ მოგებით ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა B ჯგუფში ლიდერობა განიმტკიცა.

ზამთრის პაუზის მერეც ყველაფერი „გეგმის მიხედვით“ მიდიოდა და გუნდმა ზედიზედ სამი მატჩი ისე მოიგო, რომ მეტოქეთა კარში 13 ბურთი გაიტანა და საკუთარში კი არც ერთი მიუღია. ამასობაში B ჯგუფის სატურნირო მდგომარეობა იცვლებოდა; უფრო ზუსტად, ხობის „კოლხეთის“ ნაცვლად „სპარტაკს“ სხვა კონკურენტები გამოუჩნდნენ: ქობულეთის „შუქურა“ და თბილისის „ლოკომოტივი“; ამას გარდა, რამდენიმემატჩიანი წარმატებული სერია „გამოაცხვეს“ და ასევე ამბიციები გაუჩნდათ „სამტრედიასა“ და „სამგურალს“. ეგ კი არა, აპრილში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ „სპარტაკის“ ერთპიროვნულ ლიდერობასაც „წყალი შეუდგა“: თითქმის რვათვიანი წაუგებელი სერია გუნდმა „ლოკომოტივთან“ საშინაო მარცხით დაამთავრა, რასაც ზედიზედ მეორე წაგება მოჰყვა (სტუმრად — „სამტრედიასთან“). აი, ამის მერე „ალმოჩნდა“, რომ „სპარტაკსა“ და კონკურენტებს შორის სხვაობა უფრო და უფრო მცირდებოდა, მაგრამ გუნდმა ეს დროებითი კრიზისი წარმატებით დასძლია. ანუ, ყველაფერი მაშინ გადაწყდა, „სპარტაკმა“ ოთხდღიან ინტერვალში ჯერ „სამგურალს“ რომ მოუგო, მერე — შუქურას“. ოფიციალურად კი უმაღლესი ლიგის საგზური გუნდმა, როგორც უკვე ალვნიშნეთ, 8 მაისს გაიფორმა და დარჩენილი ოთხი ტურიც, ფაქტობრივად, ფორმალობად იქცა.

„სპარტაკის“ წარმატებულ სეზონს, პერიპეტიებს ვიხსენებთ და ისიც უნდა ვთქვათ, რომ როგორც სჩვევია, გუნდი ამჯერადაც ღირსეულად ასპარეზობდა საქართველოს თასის გათამაშებაში; ეგ კი არა, გუნდს ცოტა დააკლდა ნახევარფინალში გასასვლელად: მეოთხედფინალში რუსთავის „მეტალურგთან“ ორრაუნდიან დაპირისპირებაში დამარცხდა (0:1, 1:1). თუმცა, „სპარტაკი“ თასის გათამაშებაში მუდამ წარმატებით გამოდის: 2007 წელს დაარსებული გუნდი უკვე სამჯერ იყო მეოთხედფინალში გასული, ერთხელ კი (2010 წელს) ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც თბილისის „დინამომ“ აჯობა...

### მზრუნველი პრეზიდენტი და მწვრთნელის ფაქტორი

„სპარტაკის“ წარმატებული ასპარეზობის მთავარი შემოქმედნი, რაღა თქმა უნდა, გუნდის ფეხბურთელები და სამწვრთნელო შტაბის წევრები არიან. თუმცა, თუ გუნდს შესაბამისი პირობები არა აქვს, ნებისმიერ წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია და ამ მხრივ, „სპარტაკი“ ერთ-ერთი ყველაზე „უპრობლემო“ გუნდი იყო პირველ ლიგაში. მოკლედ, გუნდს ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი, ზამთრის პაუზის დროს თურქეთში გავლილი შეკრებაც ამის დასტური იყო და საბოლოოდ, ყველაფერი ეს შედეგში აისახა. კლუბის ხელმძღვანელთა ღვაწლიც უნდა ვახსენოთ და, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტს დიმიტრი სანაკოევს ვგულისხმობთ, რომლის უდიდესი დამსახურებაა „სპარტაკის“ ეს წარმატებაც. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი 2007 წლიდან პატრონობს „სპარტაკს“ და ამ ექვსი წლის განმავლობაში თავისი გუნდის ოფიციალური მატჩი კი არა, ვარჯიშიც არ ექნება გამოტოვებული.

კლუბის ხელმძღვანელთა გარდა, რაღა თქმა უნდა, სამწვრთნელო შტაბის დამსახურებაც უნდა ალვნიშნოთ: ვლადიმერ ხაჩიძე 2011 წელს დაბრუნდა „სპარტაკში“ და მართალია წინა სეზონში გუნდმა მთავარი მიზანი (უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება) ვერ შეასრულა, მიმდინარე სეზონში გამოცდილმა სპეციალისტმა „ახალგაზრდობა“ გაიხსენა და პირველივე ცდაზე შეძლო თავისი გუნდის უმაღლესში ალზევება. ჰო, მსგავსი „გზა“ ხაჩიძეს ადრეც გაუვლია: 1992 წელს ხაშურის „ივერია“ გადმოიყვანა უმაღლესში, 2002 წელს კი — გორის „დილა“. ამ გუნდების გარდა **ვლადიმერ ხაჩიძეს** სხვაგანაც ჰქონია წარმატებები: „ვიტ ჯორჯიაში“, „ბორჯომში“, „გაგრაში“. დაბოლოს, „სპარტაკში“ მისი სამწვრთნელო შტაბის წევრებიც უნდა ვახსენოთ: **გოჩა ჩიქოვანი** (მეორე მწვრთნელი) და **დავით გვარამაძე** (მეკარეების მწვრთნელი).

### ფეხბურთელები

კარგია, როცა გუნდს ხელმძღვანელობის მხრიდან ყველანაირი პირობა აქვს შექმნილი, ისიც აუცილებელი პირობაა, რომ სამწვრთნელო შტაბი კვალიფიციური სპეციალისტებით იყოს დაკომპლექტებული, მაგრამ სასურველი შედეგის მისაღწევად ხომ ფეხბურთელების „შესაბამისი“ კონტინგენტია საჭირო. ამ მხრივ კი, „სპარტაკი“ ერთ-ერთ გამორჩეული იყო პირველ ლიგაში და ეს იმის მიუხედავად, რომ გუნდს ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავდა. არადა, წინა სეზონებში „სპარტაკში“ მუდამ ასპარეზობდნენ ქართული ფეხბურთის დამსახურებული ვეტერანები: **სოსო გრიშიკაშვილი, გიორგი დემეტრაძე, ლადო ბურდული, გივი კვარაცხელია, გივი დიდავა, დავით ოდიკაძე, ლაშა ჯაკობია, ირაკლი სამხარაძე, ზურაბ ბათიაშვილი.** ამ გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით დღევანდელი შემადგენლობის ბევრმა წევრმა აიმაღლა ოსტატობა და თავის გუნდს დასახული მიზნის მიღწევაში დაეხმარა. თანაგუნდელებთან შედარებით უფრო გამოცდილი ფეხბურთელები დღესაც თამაშობენ „სპარტაკში“ და უდიდესი წვლილი შეიტანეს გუნდის წარმატებაში: 27 წლის **ზვიად მეტრეველი** გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და საუკეთესო ბომბარდირია (15 გოლი), ისე როგორც 27 წლის **ნიკა მგელაძე,** რომელიც „სპარტაკს“ წლეულს, იანვარში დაუბრუნდა.

ჩინებული სეზონი ჩაატარა გუნდის ძირითადმა მეკარემ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა, 21 წლის **გიორგი ნადირაძემ.** დაცვაში მარჯვენა ფლანგზე უალტერნატივო გახლდათ 24 წლის **ლევან ჭაფოძე,** მარცხნივ — 22 წლის **გიორგი ლემონჯავა,** დაცვის ცენტრში კი სისტემატურად თამაშობდნენ 22 წლის **ლევან ქურდაძე** და 23 წლის **ლევან თვალავაძე.**

გუნდის ერთ-ერთი უძლიერესი რგოლი ნახევარდაცვა იყო: „საყრდენების“ როლს, როგორც წესი, 20 წლის **უჩა ბურძენაძე** და გუნდის კაპიტანი 22 წლის **თეიმურაზ შონია** ასრულებდნენ. ნახევარდაცვაში თითქმის ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში 20 წლის **ვალერი კილასონიას** (9 გოლი), მარჯვენა გარემარბად 21 წლის **თორნიკე თუხარელი** (ამჟამად ტრავმირებულია) ასპარეზობდა, მეორე ეტაპიდან მარცხენა გარემარბის პოზიციაზე 20 წლის **კონსტანტინე ხიზანეიშვილი** გამოჩნდა, ხშირად უწევდათ მოედანზე გამოსვლა **კახაბერ კაკაშვილსა** და **გიორგი ნარიმანიძეს** (ორივე — 19 წლის), აგრეთვე 17 წლის **თამაზ მაქაცარიას.**

გამოცდილი ზვიად მეტრეველი შეტევების ლიდერი გახლდათ, ისე როგორც 20 წლის **დავით გელაშვილი,** რომელსაც ტრავმის გამო ბევრი გაუცდა. ბოლო მატჩებში თამაშობდა გუნდის ახალწვეული, 21 წლის **ლაშა კემუხტაშვილი.**

მოკლედ, ამ მართლაც ახალგაზრდულ გუნდს კიდევ ერთხელ გვინდა მივულოცოთ უმაღლეს ლიგაში ალზევება და გვჯერა, რომ მომავალი სეზონიდან „სპარტაკი“ მიღწეულით არ დაკმაყოფილდება.

**გია ტუხაშვილი**



სპეციალისტის აზრი

# კობა ჟორჟიკაშვილის შეგონებანი

**არ შეკუმშო, იცოდე შეფასების კრიტერიუმები, იცოდე შენი ადგილი ბიზნესში, არ დაგავიწყდეს ფეხბურთის დანიშნულება**

მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის დასრულებას ორი ტური უკლია, თასის ფინალისტებიც ცნობილია. მოკლედ, უკვე შეიძლება 2012/13 წლების სეზონზე საუბარი და გარკვეული დასკვნების გაკეთება. ჩვენი რესპონდენტი კობა ჟორჟიკაშვილი გახლავთ, ვისაც საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებიც გაუწვრთნია და უმაღლესი ლიგის გუნდებიც. ბოლოს ჟორჟიკაშვილი რუსთავის „მეტალურგს“ თავკაცობდა.
ჟორჟიკაშვილი საკმაოდ დაკვირვებული, ალღოიანი მწვრთნელია, მის ხელში არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი დაწინაურებულა. ჟორჟიკაშვილთან ინტერვიუში რამდენიმე პრობლემატური საკითხია მიმოხილული...

**- რა იყო პოზიტივი და ნეგატივი 2012/13 წლების სეზონში? რა ტენდენციები დაინახეთ?**

- ამ სეზონის მიხედვით ძალიან ძნელია პოზიტივებზე საუბარი. პოზიტიურად გუნდის გამოსვლა მაშინ უნდა შეაფასო, თუ ის რაიმე სიახლეს შემოგვთავაზებს, თუ ისეთ თამაშს მიაღწევს, რომ გულშემატკივარი სტადიონზე მიიყვანოს. ასეთი რამე ამ სეზონში ვერ შევამჩნიე. ისეთი ახალი ფეხბურთელიც ვერ ვნახეთ, ძალიან რომ გაუხარდებოდა ყველას მისი თამაშის ცქერა. იყო ერთი-ორი ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, ყურადღების მიპყრობა რომ შეუძლია, მაგრამ გამონათებები არ კმარა, სეზონის ალმოჩენამ სტაბილურად კარგად უნდა ითამაშოს.

**- გამოდის, რომ ნეგატივზე უფრო მეტი გექნებათ სალაპარაკო...**

- ნეგატიურად მიმაჩნია ის, რომ ეროვნული ჩემპიონატის სისტემა ჯერაც დასახვეწია. ამ საკითხს მწვრთნელის პოზიციიდან ვუყურებ. ანუ, რა გამოდის: ჩავიბარე გუნდი, დავსახე გეგმა, რომლის მიხედვით გუნდს გარკვეული ეტაპის შემდეგ წინსვლა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ დროს ხდება ჩემპიონატის ექვსეულებად დაყოფა, ჩემი გუნდი ვერ მოხვდა ზედა ექვსეულში, თუმცა სეზონის მეორე ეტაპზე ყველაფერი გეგმის მიხედვით მოხდა და გუნდი უკეთესად ათამაშდა. ჩემპიონატის დაყოფა - ასეთი რამ ძალიან ცოტა ქვეყანაში ხდება და ასეთ ქვეყნებში უფრო იცავენ სამართლიანი თამაშის პრინციპებს, ვიდრე ჩვენთან. ნახეთ, რა ვითარებაა ამ დროისთვის - ქვედა ექვსეულში არის რუსთავის „მეტალურგი“, რომელსაც არანაირი მოტივაცია ალარ აქვს სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგრამ დარჩენილ ორ ტურში ისეთ გუნდებს ეთამაშება, უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის რომ იბრძვიან. ასეთი გუნდისთვის ხომ ძალიან ძნელია ამ ორი მატჩის ჩატარება... უმოტივაციოდ დარჩენილი გუნდები ზედა ექვსეულშიც არიან.

**- როგორი სისტემის მომხრე ხართ? რამდენი გუნდი უნდა თამაშობდეს საქართველოს ჩემპიონატში?**

- თორმეტის ნაცვლად უმაღლესი ლიგა თექვსმეტგუნდა უნდა გახდეს და არანაირი დაყოფა ალარ უნდა იყოს. ზოგი ამბობს, გუნდების რაოდენობის გაზრდით ჩვენი ჩემპიონატის დონე დაეცემაო, რასაც არ ვეთანხმები. თუ უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ „გურია“, „ლოკომოტივი“ და „შუქურა“, ეს ნამდვილად არ იქნება კატასტროფა. რა ისეთი ხარისხი აქვს საქართველოს ჩემპიონატს, მას თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ამ გუნდებმა დააზარალონ? სეზონის პირველი ეტაპის ბოლოს „ზესტაფონის“ ამოცანა ზედა ექვსეულში მოხვედრა იყო და ამას მიაღწია კიდეც, მაგრამ „ზესტაფონმა“ მოახერხა თამაშის გაუმჯობესება ზედა ექვსეულში ყოფნით? თექვსმეტგუნდა თუ გახდება ჩემპიონატი და ორ წრედ გაიმართება, წინსვლის მეტი საშუალებაც გამოჩნდება. თექვსმეტივე კლუბი იქნება ვალდებული იყოლიოს ასაკობრივი გუნდებიც, ამით უფრო მეტი ხალხი დასაქმდება ფეხბურთში, უფრო მეტი ფეხბურთელი გამოჩნდება. თექვსმეტგუნდიანი ჩემპიონატის პირობებში კვირის ციკლიც ხელსაყრელი ექნება მწვრთნელს, კვირიდან კვირამდე ერთ მატჩს ითამაშებს, ერთი კვირის გამოტოვებით კი კვირაში ორ მატჩსაც გამართავს, რაც საშუალებას მისცემს მწვრთნელს, რომ უფრო ნაყოფიერად წარმართოს აღდგენითი პროცესი, ჰქონდეს იმის საშუალება, რომ ფეხბურთელები ამუშაოს გამძლეობის მომატებაზე, უფრო ხშირად გამართოს ტაქტიკური ვარჯიშები... თუ ჩვენ რაოდენობის გაზრდაზე წავალთ, უკეთესი იქნება, მაგრამ პირიქით ვაკეთებთ - ვკუმშავთ ყველაფერს. საქართველოში საკმაოდ ბევრი კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელი ვიცი, სათამაშო პრაქტიკა რომ არ აქვს, რადგან ამის საშუალება არ გააჩნია კომპაქტურ გარემოში. უმეტეს ქვეყნებში სწორედ რაოდენობის გაზრდაზე აკეთებენ აქცენტს და მათი გამოცდილება გასათვალისწინებელია.

**- როგორ ფიქრობთ, ლეგიონერებზე ლიმიტი არ უნდა დაწესდეს საქართველოს ჩემპიონატში?**

- ლეგიონერების რაოდენობა დამოკიდებულია კლუბის პოლიტიკაზე. ჩამოიყვანო უცხოელი და სათადარიგოთა სკამზე დასვა - ეს არასწორად მიმაჩნია. საქართველოში მზარდ ლეგიონერს ვერ ჩამოიყვან, თუნდაც იმიტომ, რომ აქ ჩამოსვლით მისი რეპუტაცია დაეცემა. თუ 30 წელს გადაცილებული ლეგიონერი კარიერას ასრულებს და საქართველოს დარ საფეხბურთო ქვეყანაში ჩადის ფულის საშოვნელად, ეს უკვე სხვა საკითხია. ზოგადად, ახალგაზრდა ფეხბურთელსთვის კარგია ისეთ ლეგიონერთან თამაში, ვისგანაც ბევრს ისწავლის და ამის წინააღმდეგი რატომ უნდა ვიყო?! რაც შეეხება ლიმიტს, სიმართლე გითხრათ, არ მიფიქრია, თუ რა რაოდენობაზე უნდა იყოს შეზღუდვა. მთავარი აქ ერთი რამეა: კარგად უნდა გავერკვეთ იმაში, თუ სად არის ჩვენი ადგილი საფეხბურთო ბიზნესში. მიმაჩნია, რომ ჩვენ ფეხბურთელების მიმწოდებელი ქვეყანა ვართ, რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი ფეხბურთელი უნდა გამოვზარდოთ, რომ ისინი კარგ უცხოურ კლუბებში გადავიდნენ და ამით ეროვნულ ნაკრებსაც მოვუტანოთ სარგებლობა.

**- ზოგ ქართულ კლუბში არცთუ ცოტა ფული იხარჯება, რალაც მართლა კეთდება - ნუთუ პოზიტიურს მართლა ვერაფერს ხედავთ?**

- ივლისში, ევროსარბიელზე გამოსვლით მივხვდებით, რა შედეგი გვაქვს, რა გუნდები გვყავს. გუნდის შეფასების კრიტერიუმი ის არის, თუ რა ფეხბურთს თამაშობს, რამდენი გულშემატკივარი დადის მისი თამაშის სანახავად, აქვს თუ არა გუნდს საკუთარი ხელწერა. არ უნდა დაგვავიწყდეს ფეხბურთის დანიშნულება: სანახაობა! თორემ ჩემპიონი აუცილებლად გახდება რომელიმე გუნდი, რომელიმე აუცილებლად გავა მეორე ადგილზე და ასე შემდეგ...

**დავით თავართქილაძე**

იტალია. სერია A. XXXVI ტურის შეჯამება

# კითხვის ნიშნები ქრება

## ევროპამ ინტერს ხელი დაუქნია



რა ბედი ელით ალესანდრო მატრის, ფაბიო კვალიარელას და იმ ფეხბურთელებს, რომლებიც „იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებიან?

**XXXVI ტური მასპინძელთათვის უიღბლო გამოდგა - თავად განსაჯეთ, 10 მატჩიდან 8 სტუმრებმა მოიგეს, 2 კი ფრედ დასრულდა. ასეთი რამ იშვიათად ხდება და ნამდვილად აღნიშვნის ღირსია. ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი და ბუნებრივია, სატურნირო ინტრიგა სულ უფრო იკლებს...**

### იუვე არ ცხრება

„იუვენტუსი" იტალიის ჩემპიონია, თუმცა არ ცხრება და აგრძელებს წარმატებულ ასპარეზობას. „ატალანტასთან" შეხვედრაში **ანტონიო კონტემ** გადახალისებული შემადგენლობა დააყენა და ამან გაუმართლა კიდეც... კარში **მარკო სტორარი** იდგა, დაცვაში **ლუკა მარონე** და **მარტინ კასერესი** გამოჩნდნენ, ნახევარდაცვაში **ემანუელე ჯაკერინი, მაურისიო ისლა** და **პაოლო დე ჩელიე**, თადასხმაში კი **ალესანდრო მატრი** და **ფაბიო კვალიარელა** მოქმედებდნენ, ანტრაქტის შემდეგ კი საქმეში სულაც **ნიკოლას ანელკა** ჩაერთო. რა ბედი ეწევათ ამ მოთამაშეებს და დარჩებიან თუ არა ტურინულ გრანდში მომდევნო სეზონშიც? - ამ თემაზე ჟურნალისტებმა კონტეს ჰკითხეს და შემდეგი მოისმინეს:

*„რამდენიმე ფეხბურთელის ბედი უკვე გადაწყვეტილია, დანარჩენების მომავალი კი ზაფხულში გაირკვევა. სიმართლე გითხრათ, დღეს არ მსურს ამაზე ლაპარაკი, რადგან წინ ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩია. ბოლო ორ ტურშიც, მეტწილად იმ ფეხბურთელებს დავეყრდნობი, რომლებსაც სეზონის განმავლობაში იშვიათად უწევდათ თამაში. ეს თავის წარმოჩენის დამატებითი შანსია, რამაც შესაძლოა მათ მომავალზე გადამწვეტი როლი იქონიოს".*

„იუვენტუსმა" უპირატესობით წარმართა ბერგამოული მატჩი და მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა, 1:0 - ერთადერთი და გამარჯვების გოლი **ალესანდრო მატრიმ** შეაგდო, რომელმაც „იუვეში" დარჩენის სურვილი გამოთქვა:

*„სიმართლე გითხრათ, ვერ წარმომიდგენია თავი სხვა გუნდში და იმედია, ასეთი რამ არც მოხდება. ძალიან მინდა ტურინში დარჩენა და ქვეყნის საუკეთესო გუნდში ასპარეზობა. დარწმუნებული ვარ, „იუვესთვის" დიდი სარგებლის მოტანა შემიძლია და მთავარია, სათამაშოდ მეტი დრო მომეცეს. უახლოეს დღეებში, კონტესთან ვაპირებ დალაპარაკებას, სწორედ ის გადაწყვეტს ყველაფერს".*

### სტრამაჩონი ხავსს ეჭიდება

„ინტერმა" კიდევ ერთი მატჩი წააგო და სატურნირო ცხრილში კვლავაც შეუფერებელ მერვე ადგილზეა. ეგ კი არა, „კატანიას" „სამპდორიასთან" რომ მოეგო, მილანური გრანდი სულაც მეცხრე პოზიციაზე დაეშვებოდა. აქვე ვთქვათ, რომ ამ მარცხით „ნერაძურიმ" ევროპალიგაზე მოხვედრის შანსიც დაკარგა. მიუხედავად ამისა, **ანდრეა სტრამაჩონი** იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ მისი გუნდი განვითარების სწორ გზაზეა და „ლაციოსთან" შეხვედრაში პროგრესი აშკარა იყო. „ნერაძურიმ" საკუთარ კედლებში წააგო „ლაციოსთან" და მართალია, სახიფათო მომენტები მეტოქეზე მეტი შექმნა, თუნდაც ქულას ნაკლებად იმსახურებდა.

*„უკეთესად ვითამაშეთ, ვიდრე წინა შეხვედრებში და ეს მახარებს. მიუხედავად იმისა, რომ წავაგეთ, პროგრესი სახეზეა. სწორ გზას ვადგავართ და შედეგსაც მალე მოვიმკით, მთავარი მოთმინებაა. „ლაციო" ორჯერ დაწინაურდა და მეორეჯერაც შეგვეძლო გათანაბრება, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში არ გვიმართლებდა. საბოლოოდ, მესამე გავუშვით და იქ დასრულდა ყველაფერი. გულშემატკივარმა დაინახა, რომ ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაგრამ იღბალმა ზურგი გვაქცია".*

### ბრავო გვიდოლინს

**ფრანჩესკო გვიდოლონი** უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მწვრთნელია, რომლის „უდინეზეც" წლებია წარმატებულად ასპარეზობს. მოკრძალებული ბიუჯეტის მქონე კლუბი სწორი საკადრო პოლიტიკის, ჭკვიანი მწვრთნელის და სხვა წვრილმანი და მსხვილმანი ფაქტორების გათვალისწინებით, გაცილებით ამბიციურ გუნდებს უწევს კონკურენციას. პრაქტიკულად ყოველ წელს, ფრიულელები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან და ყველაზე ცუდ შემთხვევაში, ევროპის რანგით მეორე ტურნირის საგზურს მაინც იღებენ.

მიმდინარე სეზონში, „ბიანკონერის" ძალიან გაუჭირდა და თავიდან, ცხრილის ქვედა ნაწილში გამაგრდა - ბევრმა ჩათვალა, რომ „უდინეზეს" გადარჩენისთვის მოუწევდა ბრძოლა, მაგრამ გვიდოლინმა და კომპანიამ კიდევ ერთხელ გააოცეს საფეხბურთო საზოგადოება... აღმასვლის პიკი 6-მატჩიანი მოგებათა სერია გახლავთ, რომლის წყალობითაც „ბიანკონერი" მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა და კვლავაც უკან ჰყავს მოტოვებული ძლიერნი ამა ქვეყნისანი: „ლაციო", „რომა", „ინტერი". გვიდოლინი მომდევნო სეზონშიც ფრიულელთა თავკაცი იქნება და როგორც აცხადებს, მისი გუნდი კიდევ უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს:

*„ზაფხულში, ყველა წამყვანი ფეხბურთელის შენარჩუნებას ვაპირებთ, რათა მომდევნო სეზონში კიდევ უფრო მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ნამდვილად ხელგვეწიფება და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. „უდინეზე" უფრო მეტ დაფასებას იმსახურებს, ვარსკვლავების გარეშე ჩვენი გუნდი გრანდებს უწევს კონკურენციას. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე იქნება".*

### დე ლაურენტისი: მაცარი უნდა დარჩეს!

გადაწყვეტილი ამბავია: „ნაპოლი" ჩემპიონატს მეორე ადგილზე დაასრულებს, ეს კი ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში მოხვედრას და ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში გარდაუვალ მონაწილეობას ნიშნავს. ნეაპოლელებმა ბოლო სამ წელში მეორეჯერ მოიპოვეს ლიგის საგზური და ბუნებრივია, ეს კლუბის პრეზიდენტისთვის მეტად საამაყო ამბავია. **აურელიო დე ლაურენტისმა** წარმატება გულშემატკივრებს მიუძღვნა და დაჰპირდა მათ, რომ **ვალტერ მაცარის** შესანარჩუნებლად ყველაფერს გააკეთებს:

*„მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ჩვენგან სკუდეტოს ითხოვდა, მეორე ადგილზე გასვლა მხოლოდ წარმატებად უნდა ჩავთვალოთ. მეტიც, ეს ფანტასტიკური შედეგია, რადგან უკან არაერთი გრანდი მოვიტოვეთ. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, „ნაპოლი" არაა ოლიგარქების გუნდი, სადაც მილიარდები იხარჯება და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები ასპარეზობენ - ამიტომ, ჩვენი წარმატება კიდევ უფრო დასაფასებელია. მინდა, ჩემპიონთა ლიგაზე გასვლა თითოეულ ფეხბურთელს და განსაკუთრებულად, მთავარ მწვრთნელ ვალტერ მაცარის მივულოცო. ვფიქრობ, წარმატებაში ვალტერის წვლილი კოლოსალურია და იმედია, გააგრძელებს მუშაობას ჩვენთან. პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ მაცარისთან ხელშეკრულება გავახანგრძლივოთ".*

ვალტერ მაცარის ნეაპოლელებთან კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება და ჯერჯერობით, მის გახანგრძლივებას არ თანხმდება. გამოცდილი სპეციალისტი ზაფხულში აპირებს გადაწყვეტილების მიღებას და დე ლაურენტისსაც ისღა დარჩენია, სეზონის დასრულებას დაელოდოს.

### სიცილიელები არ ნებდებიან

„სიენამ" ტოსკანურ დერბიში წააგო და „პესკარას" შეუერთდა, რომელმაც სერია B-ს საგზური ორი ტურით ადრე „მოიპოვა". ფაქტობრივად უიმედო ვითარებაშია „პალერმოც", რომელმაც „უდინეზესთან" მარცხი ივნია და „ჯენოას" ოთხი ქულით დაშორდა. ორ ტურში ოთხი ქულის აღმოფხვრა თითქმის წარმოუდგენელია, მაგრამ სიცილიელები ფარ-ხმალს არ ყრიან - კლუბის პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** მწვრთნელ-ფეხბურთელებს ბრძოლისკენ მოუწოდა:

*„უდინელებთან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ დავმარცხდით - ასეთი რამ ფეხბურთში ხშირად ხდება. ელიტაში დარჩენის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. მომდევნო ტურში, ფლორენციაში ჩავდივართ, სადაც შესაძლებლობათა მაქსიმუმი უნდა გამოვავლინოთ. ჩვენ შეგვიძლია სასწაულის მოხდენა და მინდა ეს თითოეულმა ფეხბურთელმა დაიჯეროს. მე მჯერა მათი და ვიცი, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ".*

მომდევნო ტურში, „პალერმო" „ფიორენტინას" ესტუმრება, „ჯენოა" კი „ინტერს" მიიღებს. რაც შეეხება ბოლო ტურს, სიცილიელები „პარმას" დაუხვდებიან, გენუელები კი „ბოლონიას" ესტუმრებიან. „ჯენოას" შანსები გაცილებით ძვირად ფასობს, მაგრამ ბურთი მრგვალია და მაინც, ნუ გავუსწრებთ წინ მოვლენებს.

**ლაშა წიკლაური**


ანდრეა სტრამაჩონის „ინტერმა" ევროპალიგის საგზურის მოპოვების შანსიც დაკარგა

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




### საფრანგეთი. ლიგა 1. XXXVI ტურის წინ

**10 მაისი**

**ლილი-რეიმსი 22:30**

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 39 თამაში: +13=12-14 (64-58)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 35 | 22 | 8 | 5 | 62-21 | 74 |
| 2. მარსელი | 35 | 20 | 7 | 8 | 40-33 | 67 |
| 3. ლიონი | 35 | 18 | 9 | 8 | 58-36 | 63 |
| 4. ნიცა | 35 | 17 | 9 | 9 | 54-41 | 60 |
| 5. სტ. ეტიენი | 35 | 15 | 14 | 6 | 56-28 | 59 |
| 6. ლილი | 35 | 15 | 12 | 8 | 55-39 | 57 |
| 7. მონპელიე | 35 | 15 | 6 | 14 | 53-46 | 51 |
| 8. ლორიანი | 35 | 13 | 11 | 11 | 53-53 | 50 |
| 9. ბორდო | 35 | 11 | 16 | 8 | 35-30 | 49 |
| 10. ტულუზი | 35 | 11 | 12 | 12 | 44-44 | 45 |
| 11. რენი | 35 | 13 | 6 | 16 | 46-52 | 45 |
| 12. ვალანსიენი | 35 | 10 | 12 | 13 | 43-49 | 42 |
| 13. ბასტია | 35 | 11 | 7 | 17 | 45-64 | 40 |
| 14. რეიმსი | 35 | 9 | 12 | 14 | 32-39 | 39 |
| 15. აიაჩო | 35 | 9 | 14 | 12 | 38-47 | 39 |
| 16. სოშო | 35 | 9 | 10 | 16 | 38-55 | 37 |
| 17. ნანსი | 35 | 8 | 11 | 16 | 33-52 | 35 |
| 18. ევიანი | 35 | 8 | 10 | 17 | 39-51 | 34 |
| 19. ტრუა | 35 | 6 | 13 | 16 | 40-59 | 31 |
| 20. ბრესტი | 35 | 8 | 5 | 22 | 30-55 | 29 |

შენიშვნა: "აიაჩოს" - 2 ქულა

**ბომბარდირები:** 27 - იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 19 - ობამეიანი (სენტ ეტიენი); 17 - ცვიტანიჩი (ნიცა); 16 - გომისი (ლიონი); 15 - ალიადიერი (ლორიანი).

### ესპანეთი ლა ლიგა. XXXV ტურის წინ

**10 მაისი**

**ლევანტე-სარაგოსა 23:00**

ტრავმა: გარსია (?) - ალამო, ობრადოვიჩი, სუკულინი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 17 თამაში: +4=4-9, (15-23)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 34 | 28 | 4 | 2 | 105-37 | 88 |
| 2. რეალი | 35 | 25 | 5 | 5 | 95-36 | 80 |
| 3. ატლეტიკო | 35 | 22 | 6 | 7 | 61-28 | 72 |
| 4. სოსიედადი | 34 | 16 | 10 | 8 | 62-43 | 58 |
| 5. ვალენსია | 34 | 16 | 8 | 10 | 58-50 | 56 |
| 6. მალაგა | 35 | 15 | 8 | 12 | 49-45 | 53 |
| 7. ბეტისი | 34 | 14 | 7 | 13 | 51-54 | 49 |
| 8. ხეტაფე | 34 | 13 | 8 | 13 | 42-51 | 47 |
| 9. სევილია | 34 | 13 | 7 | 14 | 52-47 | 46 |
| 10. ვალეკანო | 34 | 14 | 4 | 16 | 43-57 | 46 |
| 11. ესპანიოლი | 34 | 11 | 10 | 13 | 42-46 | 43 |
| 12. ლევანტე | 34 | 11 | 8 | 15 | 36-53 | 41 |
| 13. ვალიადოლიდი | 34 | 10 | 10 | 14 | 45-50 | 40 |
| 14. ბილბაო | 34 | 10 | 8 | 16 | 38-60 | 38 |
| 15. გრანადა | 34 | 9 | 8 | 17 | 30-51 | 35 |
| 16. სარაგოსა | 34 | 9 | 6 | 19 | 35-53 | 33 |
| 17. ოსასუნა | 34 | 8 | 9 | 17 | 28-42 | 33 |
| 18. დეპორტივო | 34 | 7 | 11 | 16 | 44-65 | 32 |
| 19. სელტა | 35 | 8 | 7 | 20 | 34-51 | 31 |
| 20. მალიორკა | 34 | 7 | 8 | 19 | 37-68 | 29 |

**ბომბარდირები:** 46 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 34 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 27 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 20 - ალვარო ნეგრედო (სევილია).

ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები


რონალდინიომ და ჟომ „სან პაულო“ მიწასთან გაასწორეს

# ატლეტიკომ სან პაულო შეარცხვინა

## ფლუს გაუჭირდა, მაგრამ მაინც გავიდა

**ატლ. მინეირო–სან პაულო 4:1**

პირველი მატჩი: 2:1

**გოლები:** 1:0 ჟო (18), 2:0 ჟო (63), 3:0 დიეგო ტარდელი (64), 4:0 ჟო (69), 4:1 ლუიშ ფაბიანო (76).

**ატლ. მინეირო** (4-2-2-2): ვიქტორო - მარკოს როჩა, რევერი, ჟილბერტო სილვა, რიჩარლისონი - პიერი, ლეანდრო დონიზეტი (73. ჟოსუე) - ბერნარდი (78. ლუანი), რონალდინიო - დიეგო ტარდელი (83. როსინეი), ჟო.

**სან პაულო** (4-2-3-1): როჟერიო სენი - პაულო მირანდა (46. სილვინიო), ედსონ სილვა, რაფაელ ტოლოი, ტიაგო კარლეტო - დენილსონი (69. ადემილსონი), ველინგტონი - ჟადსონი (71. მაიკონი), დუგლასი, განსო - ლუიშ ფაბიანო.

**გაძევება:** როსინეი (91. ატლეტიკო მინეირო), ტიაგო კარლეტო (91. სან პაულო).

**ფლუმინენსე–ემელეკი 2:0**

პირველი მატჩი: 0:1

**გოლები:** 1:0 ფრედი (29), 2:0 კარლინიოსი (85).

**ფლუმინენსე** (4-3-2-1): დიეგო კავალიერი - ბრუნო ვიეირა (72. დიგინიო), დიგაო, ლეანდრო ეუსებიო, კარლინიოსი - ედინიო, ვაგნერი, ჟეანი - ველინგტონ ნემი, ტიაგო ნევეში (67. რაინერი) - ფრედი (82. სამუელ როსა).

**ემელეკი** (4-4-2): დრეერი - ნარვაესი, ახილიერი, ნასუტი, ბაგი - ე. ვალენსია (62. მ. კაისედო), კინონესი, ვილა (72. პ. სებალიოსი), ფ. ხიმენესი - მონდაინი, მ. დე ხესუსი (87. გაიბორი).

**გაძევება:** ახილიერი (77. ემელეკი), კინონესი (82. ემელეკი).

**ბომბარდირები:** 6 - ჟო (ატლეტიკო მინეირო); 5 - დიეგო ტარდელი (ატლეტიკო მინეირო), ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), ბ. როდრიგესი (უაჩიპატო).

ლიბერტადორესის თასზე პირველი ორი მეოთხედფინალისტი გაირკვა. ორივე წყვილში გამარჯვება იმ გუნდებმა მოიპოვეს, ვინც პირველი მატჩების წინ ფავორიტებად ითვლებოდნენ, თუმცა ამ ორიდან ერთს საკმაოდ გაუჭირდა, მეორემ კი გაისეირნა.

მოულოდნელი იყო ის, რომ ეს „მოსეირნე“ კლუბი „ატლეტიკო მინეირო“ აღმოჩნდა, რადგან მას გაცილებით ძლიერი მეტოქე ჰყავდა, ვიდრე „ფლუმინენსეს“. წყვილშიც ფავორიტად „ატლეტიკო“ ჯგუფურ ეტაპზე ნაჩვენები კარგი თამაშის გამო ითვლებოდა, სადაც სწორედ „სან პაულო“ დაჯაბნა. პირველ შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად (სან პაულოში, 2:1), სპეციალისტები **რონალდინიოს** გუნდს მაინც სერიოზულ ბრძოლას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ეს ბრძოლა არ შედგა.

„სან პაულოს“ წინა მატჩში გაძევებული **ლუსიო** აკლდა, მაგრამ სტუმრების ასეთ განადგურებას, მხოლოდ ლუსიოს არყოფნას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **ჟომ**, ვინც ჰეთთრიქი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა. ერთი გოლით ნაკლები აქვს გამოცდილ **დიეგო ტარდელის** - ყატარიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ფორვარდმა ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში გაიტანა. გამორჩეული იყო რონალდინიოც, ვინც აქტივში მხოლოდ ერთი საგოლე პასი კი ჩაიწერა, მაგრამ რამდენიმე დასამახსოვრებელი ფინტი და დრიბლინგი შემოგვთავაზა, რომელთაგანაც ერთმა ისევ ძველი რონალდინიო გაგვახსენა, „ბარსელონას“ და მსოფლიო ფეხბურთის გულშემატკივრები ჭკუიდან რომ გადაჰყავდა.

საბოლოოდ, როგორც აღვნიშნეთ, „ატლეტიკო მინეირომ“ ძალიან იოლი გამარჯვება მოიპოვა და კოპა სუდამერიკანას მფლობელ „სან პაულოს“, ორი მატჩის ჯამში 6:2 მოუგო. **კუკას** გუნდი 1/4 ფინალში გავიდა, სადაც „პალმეირასს“ ან „ტიხუანას“ უნდა დაუპირისპირდეს. „ატლეტიკო“ ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია - გუნდი შესანიშნავად თამაშობს (7 მოგება და 1 წაგება, ისიც ჯგუფის ბოლო ტურში „სან პაულოსთან“) და მას ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, სადაც უამრავი გამოცდილი ფეხბურთელია (რონალდინიო, ჟო, დიეგო ტარდელი, **ჟოსუე, ჟილბერტო სილვა, რიჩარლისონი, ალეკსანდრო**...) თავმოყრილი.

ბრაზილიის ვიცე-ჩემპიონისგან განსხვავებით, ძალიან გაუჭირდა ჩემპიონ „ფლუმინენსეს“, რომელმაც „ემელეკს“ გადამწყვეტი გოლი მხოლოდ მას შემდეგ გაუტანა, რაც ეს უკანასკნელი მოედანზე 9 კაცით დარჩა. მასპინძლებმა ანგარიში პირველივე ტაიმში გახსნეს. გოლი, რა თქმა უნდა, **ფრედმა** გაიტანა, ვინც საკუთარ გუნდს ეკვადორში ვერ დაეხმარა. ამის შემდეგ, მასპინძლები რისკზე აღარ მიდიოდნენ, თუმცა სტუმრებს პერიოდულად კი აწუხებდნენ. საბოლოოდ, „ნერვების თამაშში“ ბრაზილიელებმა იმარჯვეს. ეკვადორელებმა დაძაბულობას ვერ გაუძლეს და ხელი უხეშობას მიჰყვეს, რის შედეგადაც ჯერ **ახილიერმა**, შემდეგ კი **კინონესმა** მეორე ყვითელი ბარათები დაიმსახურეს. კინონესის გაძევებიდან 3 წუთში, ცვლილებაზე შემოსულმა **რაინერმა** ბურთი შეტევაში ჩართულ **კარლინიოსს** გადააწოდა, რომელმაც გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. საბოლოოდ, 2:0, ორი მატჩის ჯამში კი 2:1 და ბრძოლას „ფლუ“ აგრძელებს. **აბელ ბრაგას** გუნდი მომდევნო ეტაპზე „ოლიმპია“-„ტიგრეს“ წყვილში გამარჯვებულს შეხვდება. სატურნირო ბადის ამ ნაწილში „ფლუმინენსე“ აშკარა ფავორიტად მოჩანს და თუ ყველა პროგნოზი გამართლდა, შესაძლოა ფინალში სწორედ „ატლეტიკო მინეირო“ და „ფლუმინენსე“ ვიხილოთ.

**ტატო ბაციკაძე**

ინგლისი. პრემიერლიგა. ჩელსი-ტოტენჰემის გამოხმაურება

# სეზონის უკანასკნელი დიდი მატჩი

„ჩელსისა“ და „ტოტენჰემის“ შეხვედრა სეზონის ფინიშზე უკანასკნელი დიდი დაპირისპირება იყო. პრემიერლიგის ბოლო ტურში ცხრილის ლიდერთაგან ერთმანეთთან მხოლოდ „ჩელსი“-“ევერტონი“ დაუპირისპირდებიან, თუმცა ამ დროისთვის შესაძლოა, რომ მათ თავიანთი ამოცანები უკვე გადაჭრილი ჰქონდეთ: ლონდონელებსა და ლივერპულელებს ამისთვის თითო გამარჯვება სჭირდებათ. თუმცა კი ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის ბრძოლა გრძელდება და თამაშის შემდეგ სწორედ ამას გაუსვა ხაზი „დეზების“ თავკაცმა **ანდრე ვილაშ ბოაშმა**.

მასპინძელმა თანაქალაქელთან უპირატესობა დებიუტიდანვე მოიპოვა და სწრაფი გოლითაც დაწინაურდა. მე-11 წუთზე კუთხურის შემდეგ **გარი კეჰილმა** მეორე სართულზე ბრძოლა მოიგო და შორეულ ძელთან ჩასაფრებულ **ოსკარს** გადააწოდა. 21 წლის ბრაზილიელმა ნახტომში მარტივი მოძრაობით ჩემპიონატში თავისი მე-4 გოლი გაიტანა. „ტოტენჰემის“, უფრო კონკრეტულად კი **ემანუელ ადებაიორის**, პასუხი ბევრად უფრო ეფექტური აღმოჩნდა. ტოგოელმა კონტრშეტევისას ბურთი საკუთარ ნახევარზე მიიღო, წინ სწრაფად დაიძრა და საჯარიმოსთან მიახლოებულმა ტექნიკური დარტყმით ის **პეტრ ჩეხისგან** ახლო, მაღალ კუთხეში გაახვია. „ჩელსიმ“ პირველ ტაიმში კიდევ ერთხელ გაიტანა. **ფერნანდო ტორესმა** გააკეთა ის, რაც მას წელს გოლების გატანაზე უკეთ გამოსდის: ფლანგზე იოლად გაუმკლავდა რამდენიმე მეტოქეს და ბრწყინვალე პასით **რამირესი** დასარტყმელ პოზიციაზე დატოვა. მეორე ბრაზილიელმა „ტოტენჰემს“ მეორე გოლი გაუტანა.

შესვენების შემდეგ თამაშის შინაარსი შეიცვალა. სტუმარი მიხვდა, რომ ახლოს იყო კატასტროფასთან და მაქსიმალურად მობილიზებულმა განაგრძო ბრძოლა. ყველაზე დიდ სამუშაოს ადებაიორი და **ტომას ჰადლსტოუნი** ასრულებდნენ. **გარეთ ბეილი** კი ჩრდილში იყო მოქცეული. ვილაშ ბოაშს შეცვლამ გაუმართლა. **გილფი სიგურდსონმა** ისევ და ისევ ადებაიორის პასით ახლო მანძილიდან გაათანაბრა. მატჩის ბოლო წუთებზე ბეილის საჯარიმოებს შედეგი არ მოჰყოლია. ასე რომ, დიდი ალბათობით ჩემპიონთა ლიგაში ინგლისს შარშანდელის მსგავსად „იუნაიტედი“, „სიტი“, „არსენალი“ და „ჩელსი“ წარადგენენ.

### მატჩის შემდგომ

**რაფაელ ბენიტესი** (ჩელსი): *„კონტრშეტევაზე მესამე გოლი უნდა გაგვეტანა და შეხვედრის ბედი გადაგვეწყვიტა. ამის მაგივრად მეტოქეს ინიციატივა გადავულოცეთ და თამაშის გადარჩენის შანსი მივეცით. 2:2-ის ეპიზოდში ადებაიორი ბურთის მიღებამდე თამაშგარეში იყო, მაგრამ დაცვას მაინც არ უნდა მიეცა საშუალება, რომ საჯარიმოში მსგავსი კომბინაცია გათამაშებულიყო. ნეიტრალური მაყურებლისთვის სანახაობა ნამდვილად თვალწარმტაცი იყო, მაგრამ ჩვენ ამ შედეგით კმაყოფილები ვერ ვიქნებით. უპირატესობის ხელიდან გაშვების მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ ჩემს გუნდს ბოლოს უკვე ძალები აღარ ჰყოფნიდა. „ტოტენჰემის“ განაპირა მცველებმა და ცენტრალურმა ნახევარმცველებმა სერიოზული პრობლემები შეგვიქმნეს. დროა, უკვე მომდევნო ტურსა და ევროპა ლიგის ფინალზე ვიფიქროთ. დადებითი შედეგის მისაღწევად გუნდში ბალანსის აღდგენაა საჭირო“.*

**ანდრე ვილაშ ბოაში** (ტოტენჰემი): *„საოცარი თამაში გამოვიდა. ორივე გუნდმა იმდენად ღია და შემტევი ფეხბურთი ითამაშა, რომ თავისუფლად შეიძლება, ის სეზონის საუკეთესო მატჩადაც კი ვაღიაროთ. დარჩენილ შეხვედრებში გამორიცხული არაფერია. პრემიერლიგის ფინალური ეტაპი იმდენად ემოციურია, რომ შესაძლოა, ყოველი დეტალი გადამწყვეტი აღმოჩნდეს. აუცილებელია, საკუთარი ძალების რწმენა ბოლომდე შევინარჩუნოთ. თუმცა ისიც გვესმის, რომ სიტუაცია შეიცვალა და ახლა ბევრი რამ ჩვენზე დამოკიდებული უკვე აღარ არის“.*

**ლევან ბიბილაშვილი**


გილფი სიგურდსონმა ანგარიში გაათანაბრა

ცხოვრების ახალი მიზანი

# პეტროვი ფეხბურთიდან წავიდა

„ასტონ ვილას“ 33 წლის ბულგარელი ნახევარმცველი **სტილიან პეტროვი** 2012 წლის 24 მარტს „ემირეტსზე“ „არსენალთან“ შეხვედრაში (3:0) მოედანზე უკანასკნელად გამოჩნდა. თამაშის მეორე დღეს მან თავი შეუძლოდ იგრძნო და ექიმებს მიაკითხა. მწვავე ლეიკემიის საგანგაშო დიაგნოზი მალე დადასტურდა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ფეხბურთელმა გუშინ დილას პირველად დაადასტურა, რომ აქტიური საფეხბურთო კარიერის გაგრძელებას აღარ აპირებს. აღსანიშნავია, რომ ბირმინგემულმა კლუბმა სტილიანი სეზონის წინ განაცხადში მაინც შეიყვანა და კონტრაქტით გათვალისწინებულ ხელფასსაც ჩვეულებრივ უხდიდა.


სტილიან პეტროვმა ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ახალი მიზანი დაისახა

პეტროვი ინტენსიური ქიმიოთერაპიის შემდეგ რემისიულ მდგომარეობაშია და ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ახერხებს ძალების აღდგენას. *„გული მიმძიმს, როცა ამ განცხადებას ვაკეთებ, მაგრამ სხვა გზა არ არის: ფეხბურთიდან მივდივარ. ამ მომენტში მხოლოდ ოჯახის, მეგობრებისა და კლუბის გვერდში დგომა მამხნევებს. ყოველ დილას მადლობას ვეუბნები ღმერთს, რომ მომცა საშუალება, კიდევ ერთი დღე გავატარო ჩემთვის ძვირფასი ადამიანების გვერდით. მას მერე, რაც დიაგნოზი დამისვეს, ერთადერთი მიზანი მქონდა: როგორმე სხვებს დავხმარებოდი. სწორედ ამიტომ დავაარსე ფონდი, რომელიც ლეიკემიით დაავადებულ ადამიანებს ცხოვრებას შეუმსუბუქებს. ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ჩემს ცხოვრებას ახალი აზრი ეძლევა. პირობას გაძლევთ, ამ საქმესაც ისევე ვუერთგულებ, როგორც აქამდე ვაკეთებდი ჩემს საყვარელ საქმეს,“* – განაცხადა ბულგარელმა ვეტერანმა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## მბია ხუმრობისთვის დაისაჯა

„სანის“ ცნობით, „ქუინზ პარკის“ მთავარი მწვრთნელის, **ჰარი რედნაპის** ინიციატივით კლუბმა 26 წლის კამერუნელი საყრდენი ნახევარმცველი **სტეფან მბია** „ტვიტერში“ **ჯოი ბარტონთან** ღია მიმოწერის გამო სოლიდური თანხით დააჯარიმა. აფრიკელმა ყოფილ თანაგუნდელს, ვინც ამჟამად „მარსელის“ ღირსებას იცავს, ხუმრობით გუნდების გაცვლა შესთავაზა, რაზეც ინგლისელმა უპასუხა, გირჩევნია, აქ დაბრუნებაზე ოცნებებს შეეშვაო. რა თანხის გადახდა მოუწევს მბიას, წყარო არ აკონკრეტებს.

## შალკემ დრაქსლერი დაიტოვა

„შალკეს“ 19 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა **იულიან დრაქსლერმა** გელზენკირხენელებთან კონტრაქტი 2018 წლის ზაფხულამდე გააგრძელა. ამომავალი ვარსკვლავით ევროპული გრანდები უკვე დაინტერესდნენ. ყველაზე ხშირად გერმანელი ჟურნალისტები მის სახელს დორტმუნდის „ბორუსიას“ უკავშირებდნენ. განსაკუთრებით მას მერე, რაც **მარიო გიოტცემ** „ბაიერნში“ ამოყო თავი. რამდენიმე დღის წინ პრინციპული მეტოქის რიგებში გადასვლის შანსი თავად იულიანმაც გამორიცხა, გერმანიის ექსჩემპიონთა სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** კი ხმებს მავანთა ავადმყოფური ფანტაზია უწოდა. ცნობილია, რომ დრაქსლერი რამდენიმე წლის შემდეგ მადრიდის „რეალში“ ძალების მოსინჯვაზე ოცნებობს.

## შტუტგარტის ახალწვეულები

ავსტრალიური „მელბურნ ვიქტორიას“ 21 წლის ახალზელანდიელმა მცველმა **მარკო როხასმა** „შტუტგარტს“ ბედი 2017 წლამდე დაუკავშირა. შვაბებმა ფეხბურთელი უფასოდ ჩაიგდეს ხელთ, რადგან ის თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა. აღსანიშნავია, რომ მარკო ავსტრალიურმა მედიამ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად და საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელა. *„მისი აღიარება ნამდვილად არ არის ერთადერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ გადავწყვიტეთ მასთან ხელშეკრულების გაფორმება. როხასი უნივერსალია და ერთნაირად ეფექტურია როგორც საკუთარ პოზიციაზე, ისე შეტევით ოპერაციებში,“* - განაცხადა „შტუტგარტის“ სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბობიჩმა**. გუშინ შვაბებმა ოფიციალურად დაადასტურეს „ლევერკუზენიდან“ 24 წლის ცენტრალური მცველის **დანიელ შვააბის** გადაბირებაც. როხასის არ იყოს, შვააბიც თავისუფალი აგენტი გახლდათ.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის თასი. 1/2 ფინალი

# ევიანი ფინალშია

**ევიანი–ლორიანი 4:0**

გოლები: 1:0 ნინკოვიჩი (10), 2:0 საგბო (20), 3:0 ბერიგო (33), 4:0 ბაუია (80).



საფრანგეთში თასის ერთი ფინალისტი გაირკვა. „ევიანმა", რომელმაც შეხვედრის დაწყებამდე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **სედრიკ ბარბოსა** სეზონის ბოლომდე დაკარგა, „ლორიანს" უმასპინძლა და **კრისტიან გურკუფის** გუნდი მიწასთან გაასწორა. ეს შედეგი მოულოდნელი იყო, თუნდაც იმის გამო, რომ მასპინძლები ჩემპიონატში ძალიან ცუდად თამაშობენ და ამ მომენტისთვის მე-18 ადგილზე არიან. უკანასკნელი 5 მატჩიდან, „ევიანს" 4 ჰქონდა წაგებული და ამ შეხვედრაშიც აუტსაიდერად მოჩანდა, მაგრამ **პასკალ დუპრაზმა** შეგირდები თავიდანვე კარგად „დაქოქა" და საკუთარი გულშემატკივრების გასახარად, „ალპელებმა" მატჩი საოცრად კარგად დაიწყეს და 33 წუთში ფინალისტის ვინაობაც გაარკვიეს.

მატჩის გმირებად დივუარელები, **იანიკ საგბო** და **ერიკ ტიე ბი** უნდა დავასახელოთ. პირველმა აქტივში გოლი და საგოლე პასი ჩაიწერა, ტიე ბიმ კი თავი ორი საგოლე გადაცემით გამოიჩინა.

ბრეტანელებს აბსოლუტურად არაფერი გამოსდიოდათ და როდესაც მე-60 წუთზე, ტრავმის გამო, მოედანი **ჟერემი ალიადიერმა** დატოვა, ყველაფერი გასაგები გახდა.

„ევიანს", რომელიც 2007 წელს არის დაარსებული, გასაკვირია და, აქამდე არაფერი მოუგია. გუნდი საფრანგეთის თასის ფინალში პირველად გავიდა და მეტოქის ვინაობას 14 მაისს შეიტყობს, როდესაც ჩემპიონატის კიდევ ერთი აუტსაიდერი „ტრუა" „ბორდოს" უმასპინძლებს. ეს მატჩი 7 მაისს უნდა გამართულიყო, მაგრამ უამინდობის გამო ერთ კვირით გადაიდო.

ლიგა 1

# ნომინანტები ცნობილია

საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ (UNFP), 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელის, მწვრთნელის, ახალგაზრდა მოთამაშის და მეკარის პრიზების მოპოვების კანდიდატები დაასახელა.

ლიდერად აქაც „პარი სენ ჟერმენი" გვევლინება. პარიზელებს 6 ნომინანტი ჰყავთ, მეორეზე კი „სენტ ეტიენია" - 3 ნომინაციით.

საუკეთესი ფეხბურთელის ტიტულის მოპოვების მთავარი კანდიდატი **ზლატან იბრაჰიმოვიჩია**, ვინც 27 გოლით ბომბარდირთა დავას ლიდერობს და პსჟ-ს წარმატების მთავარი შემოქმედია.

მწვრთნელებში გამარჯვებას **კარლო ანჩელოტის** უწინასწარმეტყველებენ და გასაკვირი ამაში არაფერია. აღიარებას არანაკლებ იმსახურებენ **კრისტოფ გალტიე** და **კლოდ პუელი**.

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი, სპეციალისტების აზრით, **რემი კაბელია** უნდა გახდეს, რომელმაც ეს პრიზი თანაგუნდელისგან, **იუნეს ბელჰანდასაგან** უნდა გადაიბაროს. კარგი შანსი აქვს **მარკო ვერატისაც**, თუმცა ჩვენი აზრით, წელს ამ პრიზს უფრო **ფლორიან ტოვენი** იმსახურებს.

საუკეთესო კიპერის ნომინაციაში კი ფავორიტად **სალვატორე სირიგუ** მოჩანს, ვისაც ამ სეზონში ყველაზე ნაკლები გოლი (21) აქვს გაშვებული. უშანსოდ არ უნდა იყოს **სტივ მანდადაც**, ვინც ამ სეზონში საოცარი მშრალი სერია „გამოაცხო".

### ნომინანტები და შარშანდელი გამარჯვებულები

| წლის საუკეთესო ფეხბურთელი |
|---|
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი) |
| პიერ-ემერიკ ობამეიანი (სენტ ეტიენი) |
| ბლეზ მატუიდი (პარი სენ ჟერმენი) |
| ტიაგო სილვა (პარი სენ ჟერმენი) |
| **2012 წლის გამარჯვებული** |
| ედენ აზარი (ლილი) |

| წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი |
|---|
| რემი კაბელია (მონპელიე) |
| ლუკას დინიე (ლილი) |
| ფლორიან ტოვენი (ბასტია) |
| მარკო ვერატი (პარი სენ ჟერმენი) |
| **2012 წლის გამარჯვებული** |
| იუნეს ბელჰანდა (მონპელიე) |

| წლის საუკეთესო მეკარე |
|---|
| მიკელ ლანდრო (ბასტია) |
| სტივ მანდანდა (მარსელი) |
| სტეფან რუფიე (სენტ ეტიენი) |
| სალვატორე სირიგუ (პარი სენ ჟერმენი) |
| **2012 წლის გამარჯვებული** |
| უგო ლორისი (ლიონი) |

| წლის საუკეთესო მწვრთნელი |
|---|
| კარლო ანჩელოტი (პარი სენ ჟერმენი) |
| ელი ბოპი (მარსელი) |
| კრისტოფ გალტიე (სენტ ეტიენი) |
| კლოდ პუელი (ნიცა) |
| **2012 წლის გამარჯვებული** |
| რენე ჟირარი (მონპელიე) |



იბრაჰიმოვიჩი წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზის მოგების მთავარი კანდიდატია

საფრანგეთი. ლიგა 1. სტატისტიკური შეჯამება

# ნიცას სარეკორდო სეზონი

კლოდ პუელის მიერ გაცოცხლებული „ნიცა" რეკორდს რეკორდზე ამყარებს. „ლიონმა" მორიგი მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით, ანდრე-პიერ ჟინიაკი კი საოცარ ფორმაშია...

### მთავარი

17 - „ნიცას" „რენი" 1990 წლის შემდეგ არ ჰყავდა დამარცხებული. კვირას, **კლოდ პუელის** გუნდმა ბრეტანელებს 3:0 მოუგო, სეზონში მე-17 გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე გადავიდა. ასეთი წარმატებული სეზონი ზღვისპირულ გუნდს 1977/78 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონია. კლოდ პუელის სამწყსოს ასეთ კარგ ასპარეზობას, დიდწილად, შეტევა განაპირობებს. „ნიცას" უკვე 54 გოლი აქვს გატანილი. ამაზე მეტი გუნდმა ბოლოს 1978/79 სეზონში გაიტანა (58).

### გუნდური მიღწევები

7 - კვირას, „ლიონმა" „ნანსის" სტუმრად 3:0 მოუგო და ამ სეზონში დიდი ანგარიშით მეშვიდედ იმარჯვა. **რემი გარდის** გუნდს სულ 18 მოგება აქვს, აქედან 39 პროცენტი სამი ან მეტბურთიანი სხვაობით.

6 - „სოშომ" „ლორიანს" 1:0 სძლია და შინ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა, აქედან ოთხი 2013 წელს. იანვრიდან მოყოლებული, საკუთარ მოედანზე დაგროვებული ქულების მიხედვით, „სოშოზე" უკეთესი შედეგი მხოლოდ ხუთ გუნდს აქვს.

9 - „ტულუზმა" „ლილს" 4:2 მოუგო და ამ შეხვედრაში კარში 9-ჯერ დაარტყა. ასეთი კარგი შედეგი ამ გუნდს ბოლოს 2012 წლის 26 თებერვალს ჰქონდა, როდესაც „სოშოს" 2:0 სძლია.

### ინდივიდუალური მიღწევები

7 - **ანდრე-პიერ ჟინიაკმა** დუბლი შეასრულა და საკუთარ გუნდს „ბასტიასთან" მოაგებინა (2:1). 27 წლის ფორვარდმა კარისკენ 7-ჯერ დაარტყა, აქედან ოთხჯერ ზუსტად. ამ სეზონში, ჟინიაკმა მეორე დუბლი შეასრულა და ახლა, ლიგა 1-ში მის ანგარიშზე 65 გოლია.

10 - „მონპელიეს" ფორვარდმა, **სულეიმან კამარამ** სეზონში თავისი მეათე გოლი გაიტანა, რაც სენეგალელისთვის საუკეთესო შედეგია. ლიგა 1-ის ბოლო ორ სეზონში, კამარამ გოლების 84 პროცენტი „სტად დე ლა მოსონზე" გაიტანა.

13 - „ტულუზის" ახალგაზრდა ფეხბურთელმა, **ვისამ ბენ იედერმა** სეზონში მეცამეტე გოლი გაიტანა, აქედან 10 მან საკუთარ მოედანზე შეაგდო. „ლილთან" გამართულ შეხვედრაში, ბენ იედერის ყველა დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა - ასეთი რამ 22 წლის ფეხბურთელმა ამ სეზონში უკვე მეექვსედ მოახერხა.

ორატორები. სერ ალექს ფერგიუსონი



# ფერგის ფრთიანი ფრაზები

## საფეხბურთო მატჩი პრესკონფერენციაზე იწყება

**სერ ალექს ფერგიუსონის** გადაწყვეტილებამ სამწვრთნელო კარიერის დასრულების შესახებ, საფეხბურთო სამყარო მცირე შოკში ჩააგდო. რა თქმა უნდა, ყველამ ვიცოდით, რომ ეს დღე ერთხელაც დადგებოდა, მაგრამ არავის ეგონა, რომ ფერგი წასვლას მაინცდამაინც ახლა გადაწყვეტდა.

თაობები გაიზარდნენ, ადამიანები დაბერდნენ და დაიხოცნენ, ფერგიუსონი კი ამ პერიოდში „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი იყო. ფერგის წასვლა კიდევ დიდხანს იქნება ერთ-ერთი მთავარი სალაპარაკო თემა და ამაში გასაკვირი არაფერია.

თავისი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში, ფერგიუსონმა არაერთი ტიტული მოიგო და ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის სტატუსი სრულიად სამართლიანად დაიმსახურა, მაგრამ გარდა სუფთა საფეხბურთო ასპექტებისა, ფერგი ცნობილია, როგორც დიდებული ფსიქოლოგი, ვისაც მეტოქის „მოშლა" და ნნეხში მოქცევა ჯერ კიდევ თამაშამდე შეუძლია.

„საფეხბურთო მატჩი პრესკონფერენციაზე იწყება," - განაცხადა ერთხელ ფერგიმ.

Mind Games - ეს ორი სიტყვა შოტლანდიელის მიმართ არაერთხელ გამოუყენებიათ და ალბათ, მსოფლიო ფეხბურთში არ არსებობს ადამიანი, რომელიც ჩვენს რუბრიკას უფრო მეტად მოუხდებოდა.

მოდი, ერთად გავიხსენოთ სერ ალექს ფერგიუსონის რამდენიმე დაუვიწყარი, კლასიკად ქცეული გამონათქვამი.

■ ■ ■

*„ჩემი მთავარი გამოწვევა და მიზანი დღევანდელობასთან კავშირში არაა, ჩემი მთავარი მიზანი „ლივერპულის" ტახტიდან ჩამოგდება იყო,"* - განაცხადა ფერგიუსონმა მას შემდეგ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ლივერპულს" ჩემპიონის ტიტულების რაოდენობით გადაასწრო.

■ ■ ■

*„ამ თამაშის დასრულების შემდეგ ჩემპიონთა თასი თქვენგან რამდენიმე მეტრში იდგება და თუ დამარცხდით, მასთან შეხების უფლებაც კი არ გექნებათ. თქვენგან უმეტესობა ამ თასს ამაზე მეტად ვერასდროს მიუახლოვდება, ამიტომ, არც კი გაბედოთ, რომ მოედნიდან ბრძოლის და თავის ბოლომდე გადადების გარეშე გამოხვიდეთ"* - 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის შესვენებისას წარმოთქმული სიტყვა.

■ ■ ■

*„არ მჯერა. არ მჯერა. ფეხბურთი. ამის დედაც"* - ფინალის შემდეგ.

■ ■ ■

*„ყველაზე კარგი რჩევა, რაც მან მომცა, იყო ის, რომ გაზეთები არ მეკითხა. ეს მართლაც შესანიშნავი რჩევა იყო და მას შემდეგ, პრესას არ გავკარებივარ"* - **მეტ ბასბის** რჩევაზე.

■ ■ ■

*„ძალიან ძნელი სათქმელია, თუ ვინ გახდება მომავალში მწვრთნელი. მაგალითად, ჩვენთან არავინ ფიქრობდა, რომ მარკ ჰიუზი მწვრთნელი გახდებოდა. ამავე დროს, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბრაიან რობსონი ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი იქნებოდა"* - ყოფილი შეგირდების გამწვრთნელებაზე.

■ ■ ■

*„მასზე ამბობენ, რომ ის ინტელექტუალია და ხუთ სხვადასხვა ენაზე საუბრობს. მე მყავს 15 წლის ივუარელი ბიჭი, რომელიც ხუთ სხვადასხვა ენაზე საუბრობს"* - ფერგი **არსენ ვენგერის** შესახებ.

■ ■ ■

*„თამაშის წინ ისინი წუწუნებენ, რომ ინგლისელები ძლიერები არიან, მეორე სართულზე გვაჯობებენ, ჩვენ ეს არ შეგვიძლია, ის არ შეგვიძლია... შემდეგ კი გამოვლენ მოედანზე და 3:0-ს მოგიგებენ"* - იტალიელების შესახებ.

■ ■ ■

*„ეს ბიჭი ობსაიდში დაიბადა"* - **ფილიპო ინძაგის** შესახებ.

■ ■ ■

*„მე მას დავენაძლევე, რომ 15 გოლს ვერ გაიტანდა, მაგრამ, როგორც ჩანს, სანაძლეოს შეცვლა მომიწევს. ახლა მიზნად 150 გოლს დავუსახავ. მე ამის გაკეთება შემიძლია, რადგან მწვრთნელი ვარ"* - ფერგიუსონი **კრიშტიანო რონალდოსთან** დადებული სანაძლეოს შესახებ.

■ ■ ■

*„ის 10 სანტიმეტრით მაღალი რომ იყოს, ინგლისის საუკეთესო ცენტრალური მცველი იქნებოდა. მამამისი 1,87 მეტრია - მის ადგილას, დნმ-ის ტესტს ჩავატარებდი"* - **გარი ნევილის** შესახებ.

■ ■ ■

*„ეს შემთხვევით მოხდა. კიდევ ასჯერ ან მილიონჯერ რომ მეცადა, არაფერი გამოვიდოდა და რომ გამომსვლოდა, მაშინ ფეხბურთელის კარიერას განვაახლებდი"* - **დევიდ ბექჰემისთვის** სახეში ბუცის მორტყმის ინციდენტზე.

■ ■ ■

*„როდესაც ის პირველად ვნახე, 13 წლის იყო და მოედანზე ისე დარბოდა, როგორც კოკერსპანიელი, რომელიც ქარიან ამინდში ქაღალდის ნაგლეჯს დასდევს"* - ფერგიმ გაიხსენა ის დღე, როდესაც პირველად ნახა **რაიან გიგზი**.

■ ■ ■

*„ხანდახან, როდესაც მინდორში ძროხას დაინახავ, ფიქრობ, რომ ეს ძროხა იმაზე უკეთესია, რომელიც შენ გყავს. ადამიანები ხშირად სწორედ ასე ფიქრობენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ცდებიან"* - **უეინ რუნის** „მანჩესტერ სიტისთან" „ფლირტის" შესახებ.

■ ■ ■

*„სიტი არის პატარა კლუბი, შესაბამისი მენტალიტეტით. ერთადერთი რამ, რაზეც მათ ლაპარაკი შეუძლიათ, არის „მანჩესტერ იუნაიტედი". ისინი ჩვენი ჩრდილიდან ვერასდროს გამოვლენ".*

■ ■ ■

*„არის შემთხვევები, როდესაც ხმაურიანი მეზობელი გყავს. შენ ვერაფერს შეცვლი - ისინი ყოველთვის იხმაურებენ. მთავარია, ყურადღება არ მიაქციო, სკამზე კომფორტულად მოკალათდე და ტელევიზორს ოდნავ აუწიო. დღეს, ფეხბურთელებმა მათ საუკეთესო პასუხი გასცეს"* - მანჩესტერულ დერბიში გამარჯვების შემდეგ.

*„შესვენებაზე ანგარიში 20:20 უნდა ყოფილიყო, მაგრამ, საბოლოოდ, სალმა აზრმა, ან მოსაწყენმა ფეხბურთმა იმარჯვა"* - 2005 წელს, „ფულჰემთან" 3:2 მოგებული მატჩის შემდეგ.

■ ■ ■

*„მე მისი შეჩერების გეგმა შემუშავებული მაქვს. პირველი გეგმა არის „მაჩეტე". თუ ეს არ იმუშავებს, გადავალთ „ბ" გეგმაზე: „ტყვიამფრქვევი"* - „რეალთან" ჩასატარებელი მატჩების წინ, კრიშტიანო რონალდოს შეჩერების შესახებ.

■ ■ ■

*„დიდი მადლობა გულშემატკივრებს, რომლებიც წლების განმავლობაში მხარს ბოლომდე გვიჭერდნენ. თქვენი საყვარელი გუნდის მწვრთნელობა ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და ნამდვილი პრივილეგია იყო. „მანჩესტერ იუნაიტედში" გატარებულ თითოეულ წამს ვაფასებ"* - სამწვრთნელო კარიერის დასრულების შესახებ გაკეთებული განცხადების შემდეგ.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**






ესპანეთი. ლა ლიგა. XXXVI ტურის გადმოტანილი მატჩები

# რონალდომ 200 197-ში ჩააგია

## 6:2-ის მიუხედავად, ჟოზეს ისევ უსტვინეს

**საკმარისი** იყო „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჟოზე მოურინიოს და კამპანიას ვერ მოეგო, რომ „ბარსელონა" ოფიციალურად გაიფორმებდა ტიტულს. ეს არ მოხდა - „რეალმა" „მალაგას" ბდღვირი ადინა, 6:2 მოუგო. ასე რომ, „ბარსას" თავგადაკლულ გულშემატკივრებს კიდევ რამდენიმე დღე მოუწევთ მოცდა ზეიმამდე. მეორე თამაში „კოპა დელ რეის" მეორე ფინალისტმა (რის გამოც გადმოიდო ეს მატჩები) „ატლეტიკომ" სტუმრად 3:1 მოუგო „სელტას" და სეგუნდა დივიზიონისკენ გაახედა...

### ბარსელონა ცოტას კიდევ მოიცდის

18-კაციან განაცხადში **ჟოზე მოურინიომ** „ვერ გამოძებნა" **პეპეს** ადგილი, რომელმაც თავს ბოსის გაკრიტიკების უფლება მისცა. ცხადია, რომ თუ მოურინიო დარჩა, პეპეს მძიმე დროება ელის „რეალში". სამაგიეროდ, განაცხადში მოხვდა 19 წლის ბრაზილიელი მცველი **ფაბიო ენრიკე ტავარეში** (მოკლედ, **ფაბინიო**), რომელმაც თამაშიც მოასწრო და საგოლე პასიც მიითვალა.

მოურინიოს ისევ სტვენით შეხვდა მადრიდული ინჩადა, ხოლო მოურინიომ ისევ სათადარიგოთა სკამზე დატოვა **იკერ კასილიასი** და კარში **დიეგო ლოპესი** ჩააყენა. ანგარიში 2 წუთში გაიხსნა, **ლუკა მოდრიჩის** კუთხურს **რაულ ალბიოლის** ბრწყინვალე თავური მოჰყვა. მცველმა „რეალის" მაისურით პირველი გოლი ჩემპიონატში ფეხმძიმე მეუღლეს მიუძღვნა. მალე **როკე სანტა კრუსმა** საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და ახლო მანძილიდან გაუტანა **დიეგო ლოპესს**.

მალე **კრიშტიანო რონალდო სერხიო სანჩესმა** საჯარიმოში წესების გარეშე შეაჩერა და „რეალის" ექსმცველი მსაჯმა გააძევა. რონალდომ პენალტი შეასრულა, მისი უძლიერესი დარტყმული **ვილი კაბალიერომ** ფეხით მოიგერია, მაგრამ არგენტინელმა ამ ეპიზოდში ტრავმაც მიიღო და პირველი ტაიმის ჩამთავრებაც კი ვერ შეძლო.

გასვლამდე კაბალიერომ ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა, უკან დაგორებული პასი ხელში აიღო, თავისუფალი დარტყმა კი რონალდომ გოლად აქცია. 10-კაციანმა „მალაგამ" შეუტია და „რეალმა" კონტრშეტევაზე დაიჭირა მეტოქე, რონალდოს პასით გოლი **მესუთ იოზილმა** გაიტანა. ამის შემდეგ პორტუგალიელმა მცველმა **ვიტორინო ანტუნეშმა** საჯარიმოს მისადგომიდან ძალიან ლამაზი გოლი გაუტანა დიეგო ლოპესს. პირველი ტაიმი უხვგოლიანი გამოდგა - ტაიმის ბოლოს რონალდომ ერთი გოლი **ქარიმ ბენზემას** აჩუქა - 4:2.

მეორე ტაიმში პუბლიკამ შედარებით მოიწყინა: ლუკა მოდრიჩისა და **ანხელ დი მარიას** გოლები და **მარტინ დემიკელისის** გაძევება ვიხილეთ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი უდავოდ რონალდო იყო, რომლის ანგარიშზეც გოლი და ორი საგოლე პასია. თამაშში კოჭი იტკინა მესუთ იოზილმა, თუმცა ექიმთა თქმით, ესპანეთის თასის ფინალში გერმანელი პლეიმეიქერი ითამაშებს.

**აიტორ კარანკა:** *„მწვრთნელის მისამართით სტვენა ჩვეულებრივი მოვლენაა. გულშემატკივრები აკეთებენ იმას, რასაც საჭიროდ ჩათვლიან, ხოლო გუნდის თავკაცები თავიანთ შტაბთან ერთად ყველაფერს აკეთებენ კარგი თამაშისა და ბრწყინვალე შედეგის მისაღწევად. თუ გუნდში მოურინიო დარჩება, დავრჩები მეც. თუ არა, მაშინ ჩემი კარიერა შეიძლება სხვანაირად განვითარდეს. თუმცა ამ წუთში ამ საკითხზე არ ვფიქრობ".*

### რონალდო 200

28 წლის პორტუგალიელს საგოლე ალღო მართლაც საოცარი აქვს - თავისუფალი დარტყმიდან ვილის კარში გატანილი ბურთი რონისთვის საიუბილეოა: „რეალის" მაისურით მან 200 ოფიციალური გოლი გაიტანა, მაშინ როცა, 200 ოფიციალურ მატჩში ჯერ მონაწილეობა არ მიუღია. 197 მატჩში რონალდომ 200 გოლი გაიტანა.

ამის მისაღწევად 4 არასრული სეზონი ეყო პორტუგალიელს. კრიშტიანოს ახლა უკვე 54 გოლი აქვს გატანილი სეზონში (34 ჩემპიონატში). რონალდო „რეალის" ისტორიაში მე-6 მეგოლეა, თუმცა მან ყველაზე ადრე მიაღწია 200-გოლიან ნიშნულს.

**რონალდოს გოლები რეალში**

| სეზონი | ლა ლიგა | ლიგა | კოპა | სუპ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 12/13 | 34 | 12 | 6 | 2 | 54 |
| 11/12 | 46 | 10 | 3 | 1 | 60 |
| 10/11 | 40 | 6 | 7 | - | 53 |
| 09/10 | 26 | 7 | - | - | 33 |

**რეალის მეგოლეები**

| ფეხბურთელი | გოლი | მატჩი |
|---|---|---|
| 1. რაული | 323 | 741 |
| 2. დი სტეფანო | 308 | 396 |
| 3. სანტილიანა | 290 | 645 |
| 4. პუშკაში | 242 | 262 |
| 5. უგო სანჩესი | 208 | 282 |
| 6. რონალდო | 200 | 197 |


კრიშტიანო რონალდომ ვილი კაბალიეროს ერთი დუელი ვერ მოუგო, მაგრამ შემდეგ ახლო მანძილიდან

### შესრულებული მისია

ვიგოს „ბალაიდოსზე" მასპინძელი გუნდის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა. **დიეგო სიმეონეს** გუნდს კი გამარჯვება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს და გარანტირებულ მესამე ადგილს მოუტანდა. საბოლოოდ, ასეც მოხდა, სტუმრებმა 3:1 მოიგეს და „სელტა" უმძიმეს სიტუაციაში ჩააგდეს: 31 ქულით ბოლოსწინაა და ორ ისეთ გუნდს უნდა გადაასწროს, რომლებზეც მეტი თამაში აქვს ჩატარებული.

ოთხივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა, მანამდე კი გუნდები ერთმანეთს შორი მანძილებიდან ბომბავდნენ. ანგარიში კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ გაიხსნა, **დიეგო კოშტამ** თავურით გაიტანა, შემდეგ შორი მანძილიდან **ხუანფრანმა** (რიკოშეტის დახმარებით) ორამდე გაზარდა. ამას მოჰყვა **ტიბო კურტუას** შეცდომა და **აუგუსტო ფერნანდესის** გოლი, თუმცა ბოლო სიტყვა ისევ „ატლეტიკომ" თქვა, „ელ ტიგრე" **ფალკაომ** სეზონში 27-ე გოლი გაიტანა. წაგების გარდა „სელტამ" დიდი ხნით დაკარგა ვეტერანი ფორვარდი **მარიო ბერმეხო**, ვინც მარცხენა მუხლის მყესები დაიზიანა.

**აბელ რესინო** (სელტა): *„სანამ შანსი გვაქვს, ბოლომდე ვიბრძოლებთ და იმედს არ დავკარგავთ".*

**დიეგო სიმეონე** (ატლეტიკო): *„დღეს დიდი დღეა „ატლეტიკოსთვის", ჩვენ ნამდვილად დავიმსახურეთ ჩემპიონთა ლიგაზე დაბრუნება".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**






მანჩესტერ იუნაიტედ


მანჩესტერ იუ... 2013 წლის

# ეშმაკი მოიესი

## დევიდ მოიესმა იუნაიტედთან 6-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი

**დოსიე**

**დევიდ მოიესი**

**საფეხბურთო კარიერა**

სელტიკი 1980/83, კემბრიჯ იუნაიტედი 1983/85, ბრისტოლ სიტი 1985/87, შრიუსბერი თაუნი 1987/90, დანფერმლაინი 1990/93, ჰემილტონი 1993, პრესტონი 1993/99

**სამწვრთნელო კარიერა**

პრესტონი 1998/2002, ევერტონი 2002/13, მანჩესტერ იუნაიტედი 2013-

**მიღწევები**

შოტლანდიის ჩემპიონი 1981/82

პრემიერლიგის წლის საუკეთესო მწვრთნელი: 2002/03, 2004/05, 2008/09

პრემიერლიგის თვის საუკეთესო მწვრთნელი - 10-ჯერ.

ევერტონს უხელმძღვანელა 516 თამაშში - 217 მოგება, 139 ფრე, 160 წაგება

საფეხბურთო კლუბმა „ევერტონმა" საკუთა[რ] ვებგვერდზე ოფიციალურად დაადასტურა, რო[მ] მომდევნო სეზონში გუნდს **დევიდ მოიესი** ალ[...] უხელმძღვანელებს. 50 წლის შოტლანდიელი „მან[...]ჩესტერ იუნაიტედში" **ალექს ფერგიუსონს** შე[ც]ვლის. „ოთხშაბათს მწვრთნელი კლუბ[ის] აღმასრულებელ დირექტორ ბილ კენრაიტს პ[ი]რისპირ შეხვდა. შეხვედრაზე მან პირადად გ[ა]ნაცხადა, რომ მანჩესტერში სურდა სამუშაო[დ] გადასვლა. დირექტორმა მას ულრმესი მადლო[ბა] გადაუხადა 2002 წლიდან გუნდისთვის გაწეულ[ი] ამაგის გამო. მოიესი უდიდესი მწვრთნელი იყ[ო] გუნდს დარჩენილ ორ ტურში „ვესტ ჰემსა" დ[ა] „ჩელსისთან" კვლავ ის უხელმძღვანელებს. კლუ[ბი] ბი კი დაუყოვნებლივ დაიწყებს მისი მემკვიდრ[ის] ძებნას," - ვკითხულობთ მერსისაიდელთა ოფიც[ი]ალურ განცხადებაში. აქვე გეტყვით, რომ ჯერჯ[ე]რობით „იუნაიტედს" ლივერპულელებისად[მი] ოფიციალური წერილით საკუთარი განზრახვ[ის] შესახებ არაფერი უცნობებია. მართალია, მოიეს[ს] კლუბთან ხელშეკრულება სეზონის ბოლოს უმთავრდება და ის თავისუფალი აგენტი ხდება, მაგრამ მსგავს ფორმას ტრადიციულად ყველა კლუბი იცავს და დარწმუნებულები ვართ, „იუნაიტედი" ამ საქმესაც მოაბამს თავს.

„ეშმაკების" ოფიციალურ ვებგვერდსა და „ფეისბუკის" გვერდზე ინფორმაცია მოიესის დანიშვნის შესახებ ერთდროულად უნდა გამოჩენილიყო. როგორც ჩანს, უკანასკნელმა ცოტა იჩქარა და ინფორმაცია რამდენიმე წუთში წაშალა. თუმცა მალე ის კიდევ ერთხელ დაადასტურა. ამჯერად ყველაფერი სინქრონულად მოხდა. როგორც ირკვევა, მოიესმა მანკუნიანელებთან ხელშეკრულება 2019 წლის ზაფხულამდე გააფორმა. „ოლდ ტრეფორდზე" მუშაობას ის 1 ივლისიდან შეუდგება.

### მოიესის პირველი პრობლემა: რუნის საკითხი

„ტელეგრაფის" ცნობით, იქამდე, ვიდრე **ალექს ფერგიუსონი** წასვლას გადაწყვეტდა და მით უფრო, ვიდრე მოიესის დანიშვნა გაცხადდებოდა, **უეინ რუნიმ** კლუბს ტრანსფერზე დაყენება მოსთხოვა, რაზეც მენეჯმენტმა კატეგორიული უარი უთხრა. თავდამსხმელმა მწვრთნელისგან იმის გარანტია მოითხოვა, რომ მომდევნო სეზონში რეგულარულად ითამაშებდა ძირითად შემადგენლობაში. რაკი მსგავსი პირობა ვერ მიიღო, ამან სერიოზულად გაანაწყენა. „იუნაიტედმა" პრესაში აგორებული ხმების გამო ოფიციალურად განაცხადა, რომ რუნი არ იყიდება და მსურველებს შეუძლიათ თავი არ შეიწუხონ.

აქვე ერთი ისტორიის გახსენება შეიძლება: 2004 წელს „ევერტონიდან" „იუნაიტედში" გადასვლის შემდეგ რუნიმ ყოფილ მწვრთნელზე საკუთარ ავტობიოგრაფიულ წიგნში არცთუ სასიამოვნო ამბები გააცნო საზოგადოებას, რის შემდეგაც შოტლანდიელ სპეციალისტს „იუნაიტედის" ფეხბურთელთან ურთიერთობა დაეძაბა. როგორც მოიესისა და რუნის საერთო მეგობრები აცხადებენ, აღნიშნული კონფლიქტი დიდი ხანია მოგვარებულია. ამის დამადასტურებლად მათ მწვრთნელის შარშანდელი განცხადებაც მოჰყავთ, სადაც ის ამბობდა, იმედი მაქვს, რუნი ოდესმე „ევერტონში" დაბრუნდებაო.

მართალია, რუნიმ ტრანსფერზე უარი მიიღო, მაგრამ როგორც ჩანს, ასე იოლად დანებებას არ აპირებს. ფეხბურთელმა „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე პირად ინფორმაციებში წაშალა, რომ ის „იუნაიტედის" წევრია და დამსაქმებელთა შორის მხოლოდ „ნაიკი" დატოვა. რუნი დიდ ბრიტანეთში ამერიკული კომპანიის სარეკლამო სახეა.

**ლევან ბიბილაშვილი**



ჰოლანდიის თასი. ფინალი

# AZ-ს მოულოდნელი ტრიუმფი

**ალკმაარი–პსვ 2:1**

**გოლები:** 1:0 მაჰერი (12), 2:0 ალტიდორი (14), 2:1 ლოკადია (31).

**ალკმაარი** (4-3-3): ალვარადო - მარსელისი (67. მ. იოჰანსონი), რეინენი, ვირგეევერი, ჯ. ვეინალდუმი - მ. ჰენრიკსენი, მაჰერი, ვ. ელმი - ბეერენსი, გუდმუნდსონი (74. ბერგუისი), ალტიდორი (88. ა. იოჰანსონი)

**პსვ ეინდჰოვენი** (4-3-3): ვატერმანი - ჰატჩინსონი, მარსელო, ბოუმა (79. მატავჟი), ვილემსი - ვან ბომელი, ტოივონენი (68. ჟ. ვეინალდუმი), სტროოტმანი - ლენსი, მერტენსი (85. დეპეი), ლოკადია.

**გაფრთხილება:** ჯ. ვეინალდუმი, ალტიდორი (ალკ)

**მაყურებელი:** 50 000

სენსაციური შედეგით დასრულდა ჰოლანდიის თასის ფინალი. „ალკმაარმა" „პსვ ეინდჰოვენი" დაამარცხა და ქვეყნის თასი ისტორიაში მეოთხედ მოიგო. უკანასკნელი გამარჯვება ამ ტურნირზე AZ-ს 1982 წელს ჰქონდა მოპოვებული, „ეინდჰოვენი" კი მოქმედი გამარჯვებული იყო.

მატჩის განმავლობაში უპირატესობას **დიკ ადვოკაატის** შეგირდები ფლობდნენ, მაგრამ ბევრი რამ პირველ 14 წუთში გადაწყდა, როდესაც **შოთა არველაძის** ყოფილმა კლუბმა ორი გოლი გაიტანა. ანგარიში მე-12 წუთზე **ადამ მაჰერმა** გახსნა, ზუსტად ორ წუთში კი თავი **ჯოზი ალტიდორმა** გამოიჩინა. ლიდერების კარგი თამაშის წყალობით, **გერკ ვერბეეკის** სამწყსომ დიდი უპირატესობა მიიღო, რომელიც მატჩის ბოლომდე შეინარჩუნა. მართალია, პსვ-მ ერთი გოლი პირველივე ტაიმში გაიტანა, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერაფრით შეძლო.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ფინალში ძმების დაპირისპირება შედგა, რომელიც უმცროსის და ნაკლებად ცნობილის გამარჯვებით დასრულდა - 20 წლის **ჯილიანო ვეინალდუმმა** 22 წლის **ჟორჟინიო ვეინალდუმს** აჯობა და კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა.

**ტატო ბაციკაძე**



ამბები

### ვინ შეცვლის მოიესს?

„მანჩესტერ იუნაიტედში" **დევიდ მოიესის** შესაძლო დანიშვნის შემთხვევაში „ევერტონს" ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება მოსაძებნი. უკვე გაჩნდა ვერსიები, რომ 50 წლის შოტლანდიელს „გუდისონ პარკზე" „უიგანის" ესპანელი დამრიგებელი **რობერტო მარტინესი** შეცვლის. უკანასკნელის აზარგებაზე 2011/12 წლების სეზონის დასრულების შემდეგაც ბევრი იწერებოდა. გაზეთებმა მარტინესის „ლივერპულში" დანიშვნა გადაწყვეტილადაც კი გამოაცხადეს, მაგრამ „ათლეტების" მესაკუთრე **დეივ უელანმა** სპეციალისტს მაშინ ულტიმატუმი წაუყენა და კონკრეტულ ვადამდე საბოლოო პასუხი მოსთხოვა. შედეგად მარტინესი დარჩა. „ენფილდზე" კი საბოლოოდ **ბრენდან როჯერსი** გადავიდა სამუშაოდ. უელანი არც ამჯერად შეხვედრია აღფრთოვანებული გავრცელებულ ხმებს: „თუკი მარტინესი წავა, რასაკვირველია, კლუბში ბევრი რამის შეცვლა მომიწევს, მაგრამ რატომ „ევერტონი", როცა მას ტოპკლუბში მუშაობაც შეუძლია. საწყენად არ ვამბობ, მაგრამ „ევერტონი" ასეთად არ მიმაჩნია".

### რიბერი ახალ კონტრაქტზე ალაპარაკდა

SPORTAL.DE-ს ცნობით, **ფრანკ რიბერი** მზადაა, „ბაიერნთან" ხელშეკრულება 5 ან 6 წლით გააგრძელოს, რაც პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ ფრანგი გარემარბი კარიერის დასრულებას სწორედ „ალიანს არენაზე" აპირებს. *„მიუნხენში თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ. ვფიქრობ, უახლოეს წლებში ჩვენ კიდევ უფრო დიდი პერსპექტივა გველის. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ წლამდე შემომთავაზებენ დარჩენას, 2018-მდე თუ 2019-მდე. ხელმძღვანელობამ უკვე იცის, რასაც ვუპასუხებ,"* – აცხადებს მიუნხენელთა ერთ-ერთი ლიდერი. 30 წლის ფეხბურთელი „რეკორდმაისტერის" რიგებში 2007 წლიდან თამაშობს და მოქმედი ხელშეკრულება 2015 წელს უმთავრდება. რიბოს დარჩენაზე კომენტარი გააკეთა სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმაც**, ვინც აღნიშნა, რომ „ბაიერნში" ფრანგის დიდი იმედი აქვთ და მასთან თანამშრომლობას კიდევ დიდი ხნით აპირებენ.

### რაფინია დისკვალიფიცირებულია

ბუნდესლიგის 32-ე ტურში დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე" „ბაიერნის" 27 წლის მარჯვენა მცველმა **რაფინიამ** შეხვედრის 67-ე წუთზე **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის** წინააღმდეგ წესების დარღვევის გამო **პეტერ გაგელმანისგან** 2 წუთში 2 ყვითელი ბარათი დაიმსახურა და მოედანი ვადაზე ადრე დატოვა. ფეხბურთელი ამის შემდეგაც ვერ დაწყნარდა. ის ჯერ არბიტრს წაეჩხუბა, შემდეგ დაზარალებულს მიუხტა და საქმის გარჩევა დაუწყო, გასახდელში გაუჩინარებამდე კი მასპინძელთა თავკაცი **იურგენ კლოპი** უშვერი სიტყვებით გალანძღა. ყოველივეს გამო ბრაზილიელი ორ თამაშს გამოტოვებს და 15-ათასევროიან ჯარიმასაც გადაიხდის.

**ლევან ბიბილაშვილი**







ძიუდო. ნაკრები

# ძიუდოისტები ბრაზილიის გზას დაადგნენ

**ამ დილით** ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები ანთალიაში გაფრინდა, სადაც ევროპული ფედერაციის მიერ ორგანიზებულ საწვრთნელ კემპში მიიღებს მონაწილეობას. ამით ნაკრები ოფიციალურად შეუდგა მსოფლიოს პირველობისთვის მზადებას, ამ გზაზე კი პირველი ნაბიჯი 25-26 მაისს ტიუმენში გასამართი მასტერსის ტურნირია. ეს შეკრებაც ამ გეგმის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ ნაკრების თავკაცმა **ირაკლი უზნაძემ** იქ ის 9 კაცი წაიყვანა, რომლებსაც განალდებული აქვთ ტიუმენში წასვლა: ევროპის ჩემპიონი **ამირან პაპინაშვილი** (60), ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66), ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ნუგზარ ტატალაშვილი** და მესამე პრიზიორი **ზებედა რეხვიაშვილი** (ორივე - 73), ევროპის ჩემპიონი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** და ბრინჯაოს მედალოსანი **ლევან წიკლაური** (81), კონტინენტის გამარჯვებული **ვალერი ლიპარტელიანი** და **ზვიად გოგოჭური** (90), ევროპის ვერცხლის მედალოსანი **ადამ ოქრუაშვილი** (+100). ამათგან ტატალაშვილის გარდა, ყველა შედის სამასტერსე 16-ეულში, გორელი ფალავანი კი 17-ეა, თუმცა ძირითადი სიიდან ყველა არ აპირებს ჭიდაობას და ციმშია. ის თურქეთში არ მიდის, თუმცა თბილისში ჩვეულებრივად გააგრძელებს ვარჯიშს ნაკრების აქ დარჩენილ წევრებთან ერთად და თუ მიიწვევენ, აქედან გადაფრინდება რუსეთში – საბუთები გამზადებულია.

ანტალიურ კემპში 20-22 ნაკრები ივარჯიშებს, რაც ჩვენებს სასიკეთოდ წაადგებათ. ნაკრები ტიუმენში იქიდან გაემგზავრება, მასტერსის მოთავების შემდეგ კი – 27 მაისს კორეაში გაემგზავრება და 7 ივნისამდე სეულში გაივლის ერთობლივ შეკრებას. ჯერჯერობით დაზუსტებით ვერ ვიტყვით, რამდენი გუნდი იქნება იქ ან ვინ ჩავა, თუმცა მასპინძლები კი ნამდვილად იქნებიან. 8 ივნისს ჩვენები უკვე მინსკში გაფრინდებიან ასევე ერთობლივ კემპზე, რომელსაც 20-ში დაამთავრებენ და სამშობლოში დაბრუნდებიან. მორიგი და მეტად საპასუხისმგებლო შეკრება აქ ელოდებათ – ბაკურიანში, რომელიც ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა. ამას ესპანეთში მოჰყვება ისევ ერთკვირიანი ერთობლივი ვარჯიშები, მერე კი მოსკოვის „დიდ მუზარადზე" გამოვლენ. ეს იქნება ბოლო ტურნირი მსოფლიოსთვის მზადების გზაზე, რასაც ორი შეკრება მოჰყვება – ერთი საქართველოში, მეორეს და საბოლოოს კი, ადაპტაციის მიზნით, ბრაზილიაში გაივლიან. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატი 26 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ბრაზილიაში, რიო დე ჟანეიროში გაიმართება და ჩვენები იქ ერთი კვირით ადრე ჩავლენ შეკრებაზე.



ბირში მისი ჭიდაობაც გარანტირებულია. უზნაძემ ანთალიაში კიდევ ერთი ფალავანი წაიყვანა - ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), რომელიც სარეზერვო სიაშია და შეიძლება, მანაც იჭიდაოს. ტიუმენში გამოსვლის შანსს **შალვა ქარდავაც** (66) ინარჩუნებს, რომელიც სარეზერვო სია-

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი



# მასპინძლებმა მოგებით დაიწყეს

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის" აუზში სტარტი აიღო 1996-1997 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა 2013 წლის ევროპის პირველობის შესარჩევმა ტურნირმა. ფინალური ეტაპის 2 საგზურისათვის პაექრობაში ხუთი გუნდი ჩაება. გუშინ ორი შეხვედრა გაიმართა.

**საქართველო – მოლდოვა 16:6**

5:1, 3:3, 4:1, 4:1

**საქართველო:** ჭოლოკავა, ჩიკვაიძე (2), რევია, იმნაიშვილი (2), გაბადაძე, ბითაძე (8), ჯახაია (3), ზაქარეიშვილი, მოსაშვილი, მაგრაქველიძე, ჯანჯღავა, თუხარელი (1), რაზმაძე. მწვრთნელები - პოპოვიჩი და ბაქრაძე.

**მოლდოვა:** სტარსი, მუტუ (2), პასკალიუსი, კალინოვიჩი, ფლორეა, დემბიჩი, კლემაკი (2), პრიშეპოვი, ვერტესი (1), სუსინოვი, ერმოლაევი, კობილეანუ (1), როგუჩი. მწვრთნელები — ოსტროპოვიჩი და სტუკალო.

ამ პაექრობაში ფავორიტად მასპინძლებს მიიჩნევდნენ. **იოვან პოპოვიჩის** შეგირდებმაც პირველი წამებიდანვე აქტიურად შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ სტუმრებმა ორი წუთის განმავლობაში კარი მშრალად შეინახეს. მოლდოველთა რბევა მე-3 წუთზე **ჯახაიამ** დაიწყო. მას აქტიურად აუბა მხარი ცენტრალურმა თავდამსხმელმა **ბითაძემ**, რომელმაც ზედიზედ ორი ულამაზესი გოლი გაიტანა. საერთოდაც, ბითაძემ გუშინ შესანიშნავად ითამაშა და მოლდოველებს რვაჯერ (!) გამოატანინა ბურთი ბადიდან. მისმა თანაგუნდელებმაც იყოჩაღეს და საქართველოს ნაკრებმა პირველსავე ტურში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 16:6.

**გერმანია – ჰოლანდია 11:4**

2:0, 2:1, 5:1, 2:2

**გერმანია:** ტომი, ჰაბერი, რეინჰართი, სტრაბი (2), შმელენკამპი (1), ბორეკი (1), მუგი (1), კუპერსი (5), ბოფენი (1), მიულერი, ზოსკერი, გორბერი, ნობლერი. მწვრთნელი ვიკენბერნცი.

**ჰოლანდია:** ვან როსამი, ვერმეულენი, დენტრო, შმელტი, ვან ზანტენი, კრისმანი, ზიროსი, ჯანსენი, ჰაასნუკი, ტე რიელე (2), ვან დენ ბურგი (2), ბადინგი, ჰენდრიკსი. მწვრთნელი ბოროსი.

ალემანებიცა და ნიდერლანდელებიც ფინალურ ეტაპზე გასვლის რეალურ კანდიდატებად მიაჩნიათ. ამიტომაც მათს სასტარტო დაპირისპირებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მატჩი დაძაბულად წარიმართა. პირველი ხუთი წუთის განმავლობაში წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. მხოლოდ მე-6 წუთზე მოახერხა გერმანელმა კუპერსმა თავის გამოჩენა. ტიტების ქვეყნის წარმომადგენლები ოთხივე პერიოდის განმავლობაში მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მეტოქეს, მაგრამ აუზი მაინც დამარცხებულებმა დატოვეს — 4:11.

დღეს ტურნირზე ოთხი მატჩი გაიმართება.

დილით ითამაშებენ: ჰოლანდია — სლოვაკეთი (10.00), გერმანია — მოლდოვა (11.30). საღამოს: საქართველო — სლოვაკეთი (18.30), ჰოლანდია — მოლდოვა (20.00).

**ვაჟა დანელია**

თავისუფალი ჭიდაობა.

# ტახტის სათადარიგო მოცილენი

**საქართველოს** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სათადარიგო ნაკრები თეირანშია, სადაც „ტახტის თასზე" იასპარეზებს. ნაკრების ხელმძღვანელობა ძირითად შემადგენლობას თვის ბოლოს დაღესტანში საჭიდაოდ ამზადებს, ირანში კი ახალგაზრდები ან ეს-ესაა ტრავმამოშუშებულები გაუშვეს. მათი გადაწყვეტილებით, თეირანში **ოთარ გოგავა** (55), **ტრისტან ჩირგაძე** (60), **დავით ბერძნიშვილი, დავით ლობჟანიძე, მალხაზ ქურდიანი** (სამივე – 66), **ჯუმბერ ყველაშვილი, დავით ტლაშაძე** (ორივე – 74), **ოთარ ჟოროტაძე** (84) და **თედორე ებანოიძე** (96) იჭიდავებენ.

ესაა პირადი ტურნირი, რომლის შედეგებითაც დაითვლება გუნდური მაჩვენებლები, რომლის პრიზიორებიც ფულად ჯილდოებს მიიღებენ. შეჯიბრება 9 მაისს დაიწყო და დღეს დასრულდება.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



ბელა ხოტენაშვილი

# ხოტენაშვილი კვარტეტში

**ქართველი** დიდოსტატი **ბელა ხოტენაშვილი** ჟენევაში (შვეიცარია) მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის გათამაშების პირველ რაუნდში ერთადერთია, რომელსაც არც ერთი პარტია ყაიმით არ დაუსრულებია: ოთხი მოგება და ორი მარცხი — ასეთია ექვსი ტურის შემდეგ მისი შედეგი. გუშინ ჩვენებური თეთრი ფიგურებით მონგოლ თუვშინტუგს ბათჩიმეგს დაუპირისპირდა და 44-ე სვლაზე საათი გააჩერებინა. **ნანა ძაგნიძე** ანა მუზიჩუკს (სლოვენია) დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) — კატერინა ლაგნო (უკრაინა), ჰოუ იფანი (ჩინეთი) — ოლგა გირია (რუსეთი). ორგზის ევროპის ჩემპიონ ტატიანა კოსინცევას (რუსეთი) და ევროპის ჩემპიონ ვიქტორია ჩმილიტეს (ლიტვა) შეხვედრა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გამარჯვებით დამთავრდა, სამაგიეროდ, მისმა თანამემამულემ — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ალექსანდრა კოსტენიუკმა თეთრი ფიგურებით მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონ ანა უშენინასთან (უკრაინა) წააგო.

ექვსი ტურის შემდეგ: ლაგნო, მუზიჩუკი, კოსინცევა, ხოტენაშვილი — 4-4, ვენძიუნი, უშენინა — 3,5-3,5, იფანი, ძაგნიძე — 3-3, ბატჩიმეგი, ჩმილიტე — 2-2, კოსტენიუკი, გირია — 1,5-1,5 ქულა.

დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: ბატჩიმეგი — კოსტენიუკი, ჩმილიტე — ხოტენაშვილი, მუზიჩუკი — კოსინცევა, გირია — ძაგნიძე, ლაგნო — ჰოუ იფანი, უშენინა — ვენძიუნი.

**ვაჟა დანელია**

# ევროპის ორი ხელისუფალი

**პოლონურ** ლეგნიცაში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი. გუშინ მე-5 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. ქართველთაგან **ბაადურ ჯობავა, მერაბ გაგუნაშვილი** და **დავით ლომსაძე**, შესაბამისად, მათეუშ ბარტელს (პოლონეთი), სერგეი ჟიგალკოს (ბელარუსი) და იან მეჩანს (ჩეხეთი) დაუზავდნენ, ხოლო **თორნიკე სანიკიძე** ივან ივანიშევიჩთან (სერბეთი) დამარცხდა.

ჩემპიონატის გათამაშების ცხრილს ამჟამად ავსტრიაში მცხოვრები ქართველი დიდოსტატი **დავით შენგელია** და უკრაინელი **ალესანდრ მოისეენკო** ჩაუდგნენ სათავეში. გუშინ შენგელიამ ალექსანდრ არეშჩენკო (უკრაინა) დაამარცხა, მოისეენკო კი ზოლტან ალმაშს (უნგრეთი) დაუზავდა. ლიდერებმა 5 შესაძლებლიდან 4,5-4,5 ქულას მოუყარეს თავი. 19 მოჭადრაკეს 4-4 ქულა აქვს, ჯობავას, გაგუნაშვილს - 3,5-3,5, სანიკიძეს - 2,5, ლომსაძეს - 1,5 ქულა.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# წყვილებსაც გამოეთიშა

**საფრანგეთში** ჩოგბურთელ ქალთა 100.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის მე-2 წრეში დამარცხდა თბილისელი **სოფიო შაფათავა** და ერთეულთა შეჯიბრებას გამოეთიშა. გუშინ მან წყვილთა მეოთხედფინალიც დათმო რუს მარინა მელნიკოვასთან შეამხანაგებულმა: რუს-ქართველის დუეტს ტურნირზე მეორე ნომრად განთესილმა ჯულ კოენმა (აშშ) და ტატიანა მარიამ (გერმანია) აჯობეს — 6:1, 4:6, 10:7.

**ვაჟა დანელია**

## მილოცვა

ლელოელები და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია დაბადების დღეს ულოცავენ ჩვენი გაზეთის ქართული ფეხბურთის მიმომხილველს **მერაბ მამულაშვილს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა


ოლიმპი-არმია. კოკა ტომარაძემ ბურთი თამაშში დააბრუნა

# ყოჩაღ, ქუთაისი

9 მაისი, თბილისი. სპორტის სასახლე

**შსს აკადემია 71 – 73 ქუთაისი**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| შსს აკადემია | 15 | 22 | 18 | 16 |
| ქუთაისი | 23 | 13 | 15 | 22 |

| შსს აკადემია | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვონი | 32 | 5 | 5 | 1 | 0 | 0 | 16 |
| რობაკა | 12 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ბოქოლიშვილი | 31 | 5 | 2 | 1 | 0 | 0 | 8 |
| ლონდარიძე | 11 | 1 | 0 | 2 | 1 | 0 | 3 |
| პრევიტი | 25 | 6 | 3 | 1 | 3 | 0 | 7 |
| ლომოური | 4 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კუნასი | 15 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 |
| ბექაური | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| არჩიბექი | 31 | 7 | 1 | 3 | 1 | 2 | 17 |
| რეიმონდი | 32 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 15 |

| ქუთაისი | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 5 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 |
| ბაბუნაშვილი | 32 | 8 | 1 | 2 | 0 | 1 | 12 |
| დიდია | 33 | 6 | 3 | 0 | 0 | 1 | 9 |
| ვრძელიძე | 8 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კვიმსაძე | 31 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 23 |
| დ. ბარბაქაძე | 18 | 6 | 1 | 3 | 1 | 0 | 3 |
| გ. ბარბაქაძე | 40 | 4 | 1 | 1 | 6 | 0 | 10 |
| მათიაშვილი | 30 | 7 | 1 | 2 | 0 | 2 | 14 |

*მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი*

**სერიაში ანგარიშია - 1:1**

## შსს აკადემია-ქუთაისი

პირველი მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე „ქუთაისის" მწვრთნელ **დავით უსტიაშვილს** ვკითხეთ, 7-8 კალათბურთელს დაეყრდენით, თუ გაქვთ საიმისო რესურსი და თუ შეგრჩათ ენერგია, რომ ხვალ შსს-ს კიდევ უკეთესად ეთამაშოთ. მწვრთნელმა გვიპასუხა - როცა საქმე პლეი ოფს ეხება, მაქსიმალურად მობილიზებულები უნდა ვიყოთ, გაორმაგებული ენერგიით ვითამაშოთ, რომ წარმატებას მივაღწიოთ.

მართლაც, „ქუთაისმა" საოცარი ენერგიით ჩაატარა შეხვედრა დასაწყისიდან ბოლომდე და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. როცა საქმე რესურსს ეხება, ერთი გვარი უნდა ვახსენოთ - **ბუბა კვიმსაძე**. იგი გუნდის მნიშვნელოვანი ფიგურა მანამდეც იყო, მაგრამ მას მერე, რაც სერიოზული ტრავმის გამო იმერლებს სასტარტო გამთამაშებელი **ზაურ ფაშაევი** გამოაკლდათ, ბუბამ ლიდერის ფუნქცია იკისრა, ბოლომდე გაიხსნა, გადამწყვეტ მომენტში მნიშვნელოვანი სამქულიანიც ჩააგდო და საბოლოოდ 23 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა.

**დავით უსტიაშვილი** (ქუთაისი):

- დაძაბული მატჩი გამოვიდა, თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა. დიდ მადლობას ვეტყვი ჩემს ბიჭებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს მოგებისთვის. მადლობა მოწინააღმდეგეს ასეთი კარგი თამაშისთვის. რაც შეეხება ფაშაევის ტრავმას, არ ვიცით, რამდენად სერიოზულია და მოუწევს თუ არა შემდეგი თამაშის გამოტოვება.

**გეორგიოს კეცელიდისი** (შსს აკადემია):

- კმაყოფილი ვარ ჩემი მოთამაშეებით და ამ წაგებაზე პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ. ვულოცავ „ქუთაისს" გამარჯვებას. თამაში არა ბოლოს, არამედ პირველ მეოთხედში წავაგეთ. ტაქტიკური შეცდომები დავუშვით. მადლობა ჩემს ბიჭებს ბრძოლისთვის. გავაკეთებთ თამაშის ვიდეოანალიზს და შევეცდებით აღმოვფხვრათ ხარვეზები. მადლობას ვეტყვი მსაჯებს ასეთი სწორი მუშაობისთვის.

**ბუბა კვიმსაძე** (ქუთაისი):

- ნამდვილად სანახაობრივი და კარგი თამაში გამოვიდა. მადლობა ჩემი გუნდის თითოეულ წევრს. მადლობას ვეტყვი ჩვენს გულშემატკივრებსაც, რომლებიც მთელი თამაშის განმავლობაში გვერდში გვედგნენ. გუშინდელი მარცხის შემდეგ, მაქსიმალურად გავითვალისწინეთ მწვრთნელის დარიგებები და ამან შედეგი გამოიღო. ვაჩვენეთ, რომ არ ვართ ადვილად დასამარცხებელი გუნდი და ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ.

**ილია ლონდარიძე** (შსს აკადემია):

- პირველ რიგში, მივულოცავ მეტოქეს გამარჯვებას. დღეს შეცდომები დავუშვით დაცვაში, ამას აუცილებლად გამოვასწორებთ, რათა ქუთაისში მოგება შევძლოთ.


შსს აკადემია-ქუთაისი. შეტევაზეა თემურ ბაბუნაშვილი

## ოლიმპი-არმია

- ველოდით, რომ დღეს „არმია" უფრო დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევდა და ასეც მოხდა. სხვა სახის დაცვით დაგვიპირისპირდებოდა, - განაცხადა **ლევან ფაცაციამ**. მართლაც, წინა დღეს დიდი სხვაობით წაგების შემდეგ არმიელებმა „ოლიმპს" მტკიცე ზონური დაცვა შესთავაზეს და შედეგმაც არ დააყოვნა: ოლიმპელებს ფარქვეშ ისეთი დიდი უპირატესობა აღარ ჰქონიათ, როგორიც წინა მატჩში.

სამაგიეროდ, „ოლიმპმა" ამჯერადაც ბევრი შორეული ტყორცნა გამოიყენა (9 სამქულიანი) და საბოლოოდ სერიაში 2:0 დაწინაურდა.

**გია კაზანჯიანი** (ოლიმპი):

- ვიცოდით, რომ „არმიასთან" სერიოზული ბრძოლა გველოდა და გუნდთან ამაზე საუბარი მქონდა. მაქსიმალური კონცენტრაცია ვთხოვე ბიჭებს. გადამწყვეტ მომენტში კარგად ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ. მადლობა „არმიას" ასეთი თამაშისთვის.

**კოტე ტულუში** (არმია):

- მივულოცავ „ოლიმპს" გამარჯვებას. მადლობა ჩემს ბიჭებს, ბოლომდე იბრძოლეს და ყველაფერი გააკეთეს. „ოლიმპი" ჩვენზე ძლიერი გუნდია და დამსახურებულად გაიმარჯვა, თუმცა იმედი მაინც გვაქვს, რომ შემდეგი თამაშის მოგება შეგვიძლია.

**გიორგი ჯგერენაია** (არმია):

- წინა თამაშთან შედარებით უკეთ გავისარჯეთ, თუმცა მაინც ვერ მოვახერხეთ მოგება. განვიხილავთ თამაშს, ვიდეოანალიზს გავაკეთებთ და იმედია, მოვახერხებთ შეცდომების გამოსწორებას.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**
*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*


ოლიმპი-არმია. ლაშა გამყრელიძე (N4) და დარენ მური




9 მაისი, თბილისი. სპორტის სასახლე

**ოლიმპი 75 – 68 არმია**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 18 | 16 | 20 | 21 |
| არმია | 8 | 20 | 17 | 23 |

| ოლიმპი | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გულისაშვილი | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ტომარაძე | 9 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |
| სოკი | 26 | 5 | 3 | 1 | 1 | 0 | 17 |
| ბერიშვილი | 25 | 2 | 2 | 0 | 1 | 0 | 10 |
| თენიეშვილი | 21 | 2 | 3 | 4 | 0 | 0 | 3 |
| ფაცაცია | 35 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 25 |
| დვალიშვილი | 13 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 4 |
| მური | 19 | 1 | 1 | 2 | 2 | 0 | 2 |
| მილოშევიჩი | 29 | 16 | 3 | 4 | 1 | 1 | 12 |
| ანდრიუკაიტისი | 14 | 4 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |

| არმია | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 34 | 4 | 5 | 5 | 0 | 0 | 10 |
| ბოისა | 28 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 8 |
| მინაშვილი | 14 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 7 |
| წივწივაძე | 24 | 2 | 0 | 3 | 3 | 0 | 6 |
| გ. ლეჟავა | 27 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 9 |
| საყვარელიძე | 12 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ჯგერენაია | 30 | 14 | 0 | 2 | 2 | 4 | 10 |
| ფარღალავა | 26 | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 16 |

*მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი*

**სერიას იგებს „ოლიმპი" - 2:0**

შვიდკაცა რაგბი



ალექსანდრე თოდუა (N9) და ლაშა ხმალაძე (მარჯვნივ)

# ლონდონში მსოფლიოს სერიისთვის

**მომავალ უქმეებზე ინგლისური რაგბის მექა „თვიქნემი" შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს სერიის ბოლო ეტაპს უმასპინძლებს. ლონდონის შვიდკაცაზე პარალელურად მომავალი სეზონის შესარჩევი ტურნირიც გაიმართება, სადაც საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს.**

ჩვენმა მეშვიდკაცეებმა ბოლო შესარჩევ ეტაპზე თამაშის უფლება ჰონგკონგის შვიდკაცა რაგბის ტურნირზე მოიპოვეს. საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს სერიაში ადგილის დასამკვიდრებლად მინიმუმ სამეულში უნდა გაალწიოს. ამ სამი საგზურისთვის ლონდონში ჩვენი გუნდის გარდა კიდევ შვიდი ნაკრები იბრძოლებს. ესენია: შოტლანდია, ჰონგკონგი, ზიმბაბვე, პორტუგალია, ესპანეთი, ტონგა და რუსეთი.

რვა გუნდი ორ ჯგუფშია განაწილებული. „შვიდკაცა ბორჯღალოსნები" A ჯგუფში შოტლანდიის, ჰონგკონგისა და ზიმბაბვეს ნაკრებებთან გაარკვევენ ურთიერთობას. ჰონგკონგის შვიდკაცა ტურნირისგან განსხვავებით საქართველოს ნაკრები ლეგიონერების გარეშე იასპარეზებს. მიუხედავად ამისა, გუნდში ბევრია საკმაოდ გამოცდილი მოთამაშე: **ლაშა ხმალაძე, ირაკლი გეგენავა** (ორივე-ლელო), **მერაბ შარიქაძე** (აკადემია), **ირაკლი ლვინჯილია** (ლოკომოტივი) და **გიორგი ფრუიძე** (აია).

**საქართველოს ნაკრები**

**ირაკლი გეგენავა, ლაშა ხმალაძე, თორნიკე ცერცვაძე (სამივე-ლელო), ალეკო ხუციშვილი (არმაზი), მერაბ შარიქაძე (აკადემია), ლევან გოგოლაშვილი, გიორგი ჯიმშელაძე, ბახვა კობახიძე (სამივე-არმია), ირაკლი ლვინჯილია (ლოკომოტივი), შავლეგ მახარაშვილი, გიორგი ფრუიძე, ზურაბ ძნელაძე (სამივე-აია).**

**A ჯგუფი:** საქართველო, შოტლანდია, ჰონგკონგი, ზიმბაბვე.

**B ჯგუფი:** პორტუგალია, ესპანეთი, ტონგა, რუსეთი.

საქართველოს ჩემპიონატი

# დაუმარცხებელი სამი დარჩა

ჭაბუკთა A ლიგის გათამაშებაში მეხუთე ტურის შეხვედრები გაიმართა. დაუმარცხებელი ამ ეტაპზე სამი გუნდიღა დარჩა. ესენია: თბილისის „აკადემია", თბილისის „ჯიქები" და ქუთაისის პირველი გუნდი.

აკადემიელთა უპირატესობა A ჯგუფში თვალსაჩინოა. ერთადერთი გუნდი, ვინც მათ მეტ-ნაკლებად კონკურენციას უწევს, თბილისის „ხულიგანაა". მართალია, ჯერ ადრეა დასკვნების გაკეთება, თუმცა ერთი რამ თამამად უნდა ითქვას. „აკადემიას" პლეი ოფში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს. ეს კი ამ კლუბში ახალგაზრდა თაობასთან სწორად წარმართული საქმიანობის შედეგია. აკადემიელები B ლიგაშიც ყოჩაღობენ.

საგანგაშო ნიშანია პატარძეულის „ვეფხვების" წარუმატებელი ასპარეზობა. ეს კლუბი დაარსების დღიდან საინტერესო, საკმაოდ ნაყოფიერ სამუშაოს ეწეოდა. ამდენად, „ვეფხვების" სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე ყოფნა ერთობ დამაფიქრებელია.

B ჯგუფში ორი გამოკვეთილი ლიდერია. ქუთაისის პირველი გუნდი და თბილისის „ჯიქები". ორივე, როგორც უკვე ვთქვით, დაუმარცხებლად ასპარეზობენ. ქუთაისი ქართული რაგბის მეორე ცენტრია. ამიტომ აქაური გუნდის წარმატება მოულოდნელი არ არის. გასახარი თბილისის „ჯიქების" სტაბილურობაა. ეს კლუბი დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა და ბოლო ორი წლის განმავლობაში მოწინავეთა შორის გაერია.

ლიდერებს რეალურ კონკურენციას, როგორც ჩანს, მხოლოდ თბილისის „ლელო" გაუწევს. ამ გუნდმა მხოლოდ ერთი თამაში წააგო და პლეი ოფში გასვლის იმედი ჯერაც არ გადაწურვია.

**ჭაბუკთა A ლიგა**

**A ჯგუფი**

**V ტური**

არმია-არწივები 14:10, ვეფხვები-ხულიგანა 7:46, აკადემია-ყოჩები 21:3, ხარები-იმერეთი 71:7.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აკადემია - 24 ქულა, 2. ხულიგანა - 18, 3. ხარები - 15, 4. არმია - 14, 5. არწივები - 9, 6. ყოჩები - 9, 7. ქუთაისი 2 - 5, 8. იმერეთი - 1, 9. ვეფხვები - 0.

**VI ტური**

არწივები-აკადემია, ყოჩები-ხარები, იმერეთი-ვეფხვები, ხულიგანა-ქუთაისი 2

**B ჯგუფი**

**V ტური**

ქუთაისი 1-ნიქარა 65:14, ლელო-ჯვაროსნები (გადაიდო), ჯიქები-ლოკომოტივი 20:17, ივერია მგლები-არმაზი 14:21.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ქუთაისი 1 - 20 ქულა, 2. ჯიქები - 19, 3. ლელო - 15, 4. ლოკომოტივი - 11, 5. არმაზი - 8, 6. ივერია მგლები - 6, 7. ნიქარა - 4, 8. ჯვაროსნები - 1, 9. ტაო - 0.

**VI ტური**

ლოკომოტივი-ლელო, ჯვაროსნები-ქუთაისი 1, ნიქარა-ივერია მგლები, არმაზი-ტაო

ტესტები

# პომების თერთმეტი ახალწვეული

**ინგლისის ნაკრები ნოემბრის ტესტებზე სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრება, სადაც სამ შეხვედრას გამართავს. „პომების" პირველი მეტოქე მონტევიდეოში სამხრეთ ამერიკის ნაკრები იქნება. ბოლო ორ შეხვედრას კი, ინგლისელები არგენტინის ეროვნულ გუნდთან გამართავენ.**

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სტიუარტ ლანკასტერმა** სატესტო შემადგენლობა უკვე დაასახელა, რომელშიც 11 დებიუტანტია. ესენია: **რობ ბიუკენენი** (ჰარლიქვინზი), **კალუმ კლარკი** (ნორსჰემპთონი), **ედ სლეიტერი** (ლესტერი). **ჰენრი ტომასი** (სეილ შარქსი), **ბილი ვუნიპოლა, კრისტიან უაიდი** (ორივე-ვოსფსი), **კაილ ისტმონდი** (ბასი), **ჯონი მეი** (გლოსტერი), **ჯოელ ტომკინსი** (სარასენზი) და **მერლანდ იარდე** (ლონდონ აირიში).

იქამდე ინგლისის ნაკრები 26 მაისს „თვიქნემზე" „ბარბაროსებს" დაუპირისპირდება. გუნდს „ბრიტანელ ლომებში" მიწვეული რამდენიმე წამყვანი მორაგბე დააკლდება.

*„მოუთმენლად ველოდებით ამ ტურნეს. ნაკრებში ბევრ ახალგაზრდა, მზარდ მორაგბეს ვუხმეთ. დარწმუნებული ვარ, მათი გარჯით ჩვენი ქომაგები იამაყებენ. შემადგენლობის შერჩევისას სამი პრინციპით ვიხელმძღვანელეთ. პირველი და უმთავრესია, მომავალ შეხვედრებში გამარჯვებას მივაღწიოთ, ამასთან ერთად, განვავითაროთ სხვადასხვა რგოლის თამაში, მივცეთ რამდენიმე წამყვან მორაგბეს დასვენებისა და სულის მოთქმის საშუალება.*

*ვგრძნობთ, რომ ბალანსი კარგად დავიცავით. გამოვუძახეთ იმ მოთამაშეებს, რომლებმაც „ავივა პრემიერშიპში" გამოიჩინეს თავი. გვინდა, ეროვნულ ნაკრებში დასამკვიდრებლად მათ შანსი მივცეთ."* - თქვა ინგლისის ნაკრების თავკაცმა სტიუარტ ლანკასტერმა.

მოთამაშეები, რომლებიც „ბრიტანელ ლომებში" ვერ მოხვდნენ და ლანკასტერმაც დასვენების საშუალება მისცა: **კრის რობშო, დენ კერი** (ორივე-ჰარლიქვინზი), **ტობი ფლუდი, ენტონი ალენი** (ორივე-ლესტერი), **ბრედ ბარიტი, კრის ეშტონი** (ორივე-სარასენზი) და **ჯეიმზ ჰესკელი** (ვოსფსი).

**ინგლისი**

შერკინება: დეივ ეტვუდი, რობ ვებერი, დევიდ ვილსონი (სამივე-ბასი), რობ ბიუკენენი, ჯო მარლერი (ორივე-ჰარლიქვინზი), კალუმ კლარკი, პაულ დორან ჯოუნზი, კორტნი ლოუ, ტომ ვუდი (ოთხივე-ნორსჰემპთონი), ალექს კორბიშერო, დევიდ პეისი (ორივე-ლონდონ აირიში), ტომ ჯონსონი (ექსეტერი), მეთ კვესიჩი (ვორსტერი), ჯო ლანჩბერი, ბილი ვუნიპოლა (ორივე-ვოსფსი), ბენ მორგანი (გლოსტერი), ედ სლეტერი (ლესტერი), ჰენრი თომასი (სეილ შარქსი).

უკანა ხაზი: მაიკ ბრაუნი (ჰარლიქვინზი), ფრედი ბარნსი, ჯონი მეი, ბილი თველვეტრისი (სამივე-გლოსტერი), ლი დიქსონი, ბენ ფოდენი (ორივე-ნორსჰემპთონი), კაილი ისტმონდი (ბასი), ალექს გუდი, დევიდ სტრიტლი, ჯოელ ტომკინსი, რიჩარდ ვაიგლსვორსი (ოთხივე-სარასენზი), ჯონათან ჯოზეფი, მერლანდ იარდე (ორივე-ლონდონ აირიში), კრისტიან უაიდი (ვოსფსი).



# ნარშავებმა სატესტო რაზმი დაასახელეს

**ჩვენთვის კარგად ნაცნობი შოტლანდიის ეროვნული გუნდი ივნისში სამხრეთ აფრიკაში მიემგზავრება, სადაც ოთხთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. „ნარშავებს" აფრიკის კონტინენტზე მასპინძელ „ბოკესთან" ერთად სამოასა და იტალიის ნაკრებები დაუხვდებიან.**

საგულისხმოა, რომ ამ ტურნირის სამი მონაწილე: სამხრეთ აფრიკა, სამოა და შოტლანდია 2015 წელს ინგლისში გასამართ მსოფლიოს თასზე ერთ ჯგუფში მოხვდნენ. B ჯგუფში მათ აზიის შესარჩევი ჯგუფის გამარჯვებული (სავარაუდოდ, იაპონია) და ამერიკის მეორეადგილოსანი (სავარაუდოდ, აშშ) დაემატებათ.

„ნარშავების" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **სკოტ ჯონსონმა** გუნდის 31-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელთაგან ცხრა დებიუტანტია. ესენია: სტივენ ლოური, გრეგ ტონქსი (ორივე-ედინბურგი), პეტ მაკარტური, ტიმ სვინსონი, ალექს დანბერი, პიტერ ჰორნი, პიტერ მარჩი, ტომ სეიმური (ექვსივე-გლაზგო) და **დანკან ტეილორი** (სარასენზი). ამათგან ხუთმა ინგლისის A ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა ნიუკასლში, სადაც ახალგაზრდა შოტლანდიელებმა 13:9 მოიგეს.

*„ჩვენ დიდხანს ვაკვირდებოდით ნაკრების თითოეულ კანდიდატს. ძალიან გვიხარია, რომ ერთმა შოტლანდიურმა გუნდმა, „გლაზგო ვორიორზმა" შეძლო კელტთა ლიგის ნახევარფინალში გასვლა. ეს იმის დასტურია, რომ შოტლანდიელი მორაგბეები პროგრესირებენ. თუმცა ეს ყოველივე საკლუბო დონეზე ხდება. ახლა, ჩვენი მიზანია, იგივე მოთამაშეები საერთაშორისო ასპარეზზეც გამოვცადოთ. ვნახოთ, შეძლებენ თუ არა ისინი ეროვნულ გუნდში, სრულიად განსხვავებულ ვითარებაში, თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამომჟღავნებას"* - თქვა „სკოტების" მთავარმა მწვრთნელმა სკოტ ჯონსონმა.

გუნდს სამხრეთ აფრიკაში ორი წამყვანი მორაგბე **ნიკ დე ლუკა** და **მაქს ევანსი** დააკლდება. ჯონსონმა მათ დასვენების საშუალება მისცა.

**შოტლანდია**

შერკინება: ჯონ ბარკლი, რაიან გრანტი, ალისტერ კელოკი, მურეი ლოუ, პეტ მაკარტური, ტომ სვინსონი, რაიან ვილსონი (შვიდივე-გლაზგო), ჯონი ბითი (მონპელიე), კელი ბრაუნი (სარასენზი), ჯეფ კროსი, დევიდ დენტონი, როს ფორდი, გრანტ გილქრისტი, სტივენ ლოური (ხუთივე-ედინბურგი), ალასდაირ დიკინსონი (სეილ შარქსი), ჯიმი ჰამილტონი (გლოსტერი), ევან მურეი (ვორსტერი), ალასდაირ სტროკოში (პერპინიანი).

უკანა ხაზი: ალექს დანბერი, პიტერ ჰორნი, რუარიდ ჯექსონი, შონ ლამონტი, პიტერ მარჩი, ჰენრი პირგოსი, ტომი სეიმური (შვიდივე-გლაზგო), ტომ ჰითჩოტი (ბასი), გრეგ ლაიდლოუ, მეთ სკოტი, გრეგ ტონქსი, ადამ ვიზერი (ოთხივე-ედინბურგი), დანკან ტეილორი (სარასენზი).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**



● ჰოკეი. NHL პლეი ოფი


დავიდ კრეიჩი

# ოვერტაიმების დღე

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ოვერტაიმების დღე იყო - ოთხიდან სამ მატჩში დამატებითი დროის ჩატარება გახდა საჭირო გამარჯვებულის გამოსავლენად.

„ტორონტოსა“ და „ბოსტონის“ სერიის მეოთხე მატჩში უხვგოლიანი პირველი და მეორე პერიოდის შემდეგ, გუნდებმა მესამე 20-წუთეულში „მშრალად“ შეინახეს საკუთარი კარი და 3:3-ზე ოვერტაიმი დაინიშნა.

დამატებით დროში მატჩის გმირის სტატუსი გაიფორმა **დავიდ კრეიჩიმ**, რომელმაც ძირითად დროში დუბლი შეასრულა, ოვერტაიმში კი მცველ **დიონ ფანოფის** შეცდომით ისარგებლა და „ბოსტონს“ ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოაპოვებინა.

ახლა, სერია ბოსტონში ბრუნდება, სადაც „დათვებს“ პლეი ოფის მეორე რაუნდში გასვლის კარგი შანსი აქვთ. „ბოსტონი“ უფრო ორგანიზებულად გამოიყურება, „ტორონტო“ კი მონდომებით თამაშობს, მაგრამ ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს.

**ტორონტო-ბოსტონი 3:4 (ო)**

2:0, 1:3, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ლუპული-3 (კესელი-1, გარდინერი-2), 2:0 ფრანსონი-1 (ფრეზერი-1, ლუპული-1), 2:1 პ. ბერჟერონი-1 (ხარა-2, იაგრი-2), 2:2 კრეიჩი-3 (მარჩანდი-2, ხარა-3), 2:3 კრეიჩი-4 (ჰორტონი-2, ხარა-4), 3:3 მაკარტური-1 (ფრატინი-2, გარდინერი-3), 3:4 კრეიჩი-5 (ჰორტონი-3, ხარა-5).

**სერია:** 1-3

■ ■ ■

ამ სერიაში ოთხი მატჩი ჩატარდა და გუნდები ჯერ მხოლოდ საკუთარ მოედანზე იმარჯვებენ. „რეინჯერებმა“ ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგეს „მედისონ სკვერ გარდენში“ და გაათანაბრეს სერიაში ანგარიში. მასპინძლებმა უფრო მეტჯერ დაარტყეს, უფრო მეტი ძალისმიერი ილეთი შეასრულეს, მეტი ჩაგდება მოიგეს და გაიმარჯვეს კიდეც 4:3. ალვნიშნავთ **დერეკ სტეპანის** თამაშს - ამ ჰოკეისტმა ზედიზედ მეორედ გაიტანა გამარჯვების შაიბა.

**რეინჯერსი-ვაშინგტონი 4:3**

1:0, 1:2, 2:1

**გოლები:** 1:0 ბ. რიჩარდსი-1 (ჰაგელინი-1, პიატი-2), 2:0 ჰაგელინი-2 (ბრასარი-3, ქლოუ-1), 2:1 მ. პერო-1 (ჯ. უორდი-2, ჩიმერა-2), 2:2 ბროუერი-1 (მაიკ გრინი-2), 3:2 ჟირარდი-1 (ბრასარი-4, ცუკარელო-3), 4:2 სტეპანი-2 (ჰაგელინი-2, კელეჰანი-2), 4:3 მ. პერო-2 (ელზნერი-1, ჯ. უორდი-3).

**სერია:** 2-2

■ ■ ■

ძალიან დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს „სენტ ლუისსა“ და „ლოს ანჯელესს“ შორის - ამ სერიაში არც ერთი მატჩი არ დასრულებულა ერთ შაიბაზე მეტი სხვაობით. გუნდებმა ორ-ორი საშინაო შეხვედრა მოიგეს და მეხუთე მატჩში სენტ ლუისში დაბრუნდნენ. „მეფეები“ ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ ბოლო წუთზე **ალექს პიეტრანჯელოს** შორი მანძილიდან დარტყმული გაუშვეს - 2:2.

დამატებით დროში უკეთ სტუმრები გამოიყურებოდნენ და მიაღწიეს კიდეც გამარჯვებას **ვიაჩესლავ ვოინოვის** ბრწყინვალე თამაშით. მცველმა ჯერ კარგად ითამაშა საკუთარ კართან, როცა **შვარცს** შეუშალა ხელი, შემდეგ კი კონტრშეტევაში ჩაება და **კოპიტარის** პასს შეუცვალა მიმართულება. „კინგზი“ შინ საკუთარი მოედნის უპირატესობით ბრუნდება.

**სტ. ლუისი-ლოს ანჯელესი 2:3 (ო)**

0:0, 1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ჯ. კარტერი-2 (მ. რიჩარდსი-4, დაუტი-2), 1:1 სტინი-3 (ჯეკმენი-1), 1:2 ჯ. კარტერი-3 (კოპიტარი-2, მ. რიჩარდსი-5), 2:2 პიეტრანჯელო-1 (შვარცი-1, ბეიკსი-1), 2:3 ვოინოვი-2 (კოპიტარი-3, ჯასტინ უილიამსი-1).

■ ■ ■

ამ სერიაში მესამედ დაინიშნა ოვერტაიმი. ამჯერად, ძირითადი დრო 2:2 დასრულდა, ამასთან, ორივეჯერ მდევრის როლში კალიფორნიელები იყვნენ და **პალმიერისა** და **გეტცლაფის** მონდომებით უპასუხეს **ფრანცენისა** და **სამუელსონის** გოლებს. მატჩის ბედი შეიძლებოდა მესამე პერიოდის ბოლოს გადაწყვეტილიყო, მაგრამ ბრწყინვალედ მოქმედებდნენ მეკარეები, განსკუთრებით „დეტროიტის“ კარის დარაჯი **ჰოვარდი**.

ოვერტაიმი უფრო მძლავრად „იხვებმა“ დაიწყეს და პირველივე შეტევით შეეძლოთ მოგება, მაგრამ **ალენმა** ვერ გამოიყენა გეტცლაფის ბრწყინვალე პასი, სამაგიეროდ, 20 წამში **ლავჯოის** ჰქონდა შესანიშნავი გარღვევა, რომელიც **ბონინოსკენ** პასითა და ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა. 3:2 მატჩში და სერიაში „ანაჰაიმის“ სასარგებლოდ.

**ანაჰაიმი-დეტროიტი 3:2 (ო)**

1:1, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ფრანცენი-3 (ზეტერბერგი-2, ბრუნერი-3), 1:1 პალმიერი-2 (სტეკელი-1), 1:2 სამუელსონი-1 (ზეტერბერგი-3, დაციუკი-3), 2:2 გეტცლაფი-3 (ბოშემენი-2, სურეი-1), 3:2 ბონინო-3 (ლავჯოი-2).

**სერია:** 3-2

# სამიდან ერთს აირჩევენ

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ კიდევ ერთ ნომინაციაში გამოაცხადა პრეტენდენტები. წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის მიხედვით, „ვეზინა ტროფის“ (საუკეთესო მეკარე) მაძიებლები არიან: **ჰენრიკ ლუნდკვისტი** („რეინჯერსი“), **ანტი ნიემი** („სან ხოსე“) და **სერგეი ბობროვსკი** („კოლამბუსი“).

31 წლის ლუნდკვისტი 2011-12 წლების სეზონში ფლობდა „ვეზინა ტროფის“. წელს, შვედმა 43 მატჩი ჩაატარა, მეტოქეთა დარტყმების 92.6 პროცენტი მოიგერია და საშუალოდ 2.05 შაიბა გაუშვა. ლუნდკვისტი მეხუთედ არის ნომინირებული საუკეთესო მეკარის პრიზზე.

29 წლის ნიემის წლევანდელი სტატისტიკა ასეთია: 43 მატჩი, 92.4 პროცენტი მოგერიება და 2.16 გაშვებული შაიბა.

ამ სამეულში ყველაზე კარგი სტატისტიკა 24 წლის რუს ბობროვსკის გააჩნია, რომელმაც 38 მატჩში დარტყმების 93.2 პროცენტი მოიგერია და 2.16 შაიბა გაუშვა.

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# პიტის შურისძიება

სერიის პირველ მატჩში საკუთარ მოედანზე წაგების შემდეგ, თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ „მაიამი“ მეორე შეხვედრაში საკადრის პასუხს გასცემდა „ჩიკაგოს“. მართლაც, მიმდინარე პლეი ოფში პირველი წაგების გამო, ჩემპიონებმა სასტიკად იძიეს შური „ხარებზე“: ერთ-ერთ მომენტში მასპინძლების უპირატესობა 46 (!) ქულას აღწევდა. და ეს იმ დროს, როცა „ბულზი“ გააფთრებით იბრძოდა და ნაადრევად დანებება არც უცდია. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ „ჩიკაგომ“ პლეი ოფში ყველაზე დიდი ანგარიშით წააგო, „მაიამისთვის“ კი ეს იყო ყველაზე დიდი ანგარიშით მოგება.

„ჩიკაგომ“ ძალისმიერ ბრძოლაზე გააკეთა აქცენტი, მაგრამ ამ ტაქტიკამ არ გაამართლა. 9 ტექნიკური პერსონალური, ორი გაძევება და უამრავი უხეში ილეთი - ამას სტუმრებისთვის არანაირი სარგებლობა არ მოუტანია. პირიქით, ლიგა აუცილებლად გადახედავს ამ მატჩის რამდენიმე ეპიზოდს და, შესაძლოა, გარკვეული სანქციებიც გამოიტანოს ზოგიერთი ჩიკაგოელის წინააღმდეგ.

დიდი ანგარიშით მოგების მიუხედავად, „ბულზი“ შინ სავსებით დამაკმაყოფილებელი ანგარიშით ბრუნდება, „მაიამის“ დამრიგებელმა **ერიკ სპოელსტრამ** კი განაცხადა, რომ ახლა, მისი გუნდი ნამდვილად არ მიიჩნევა ფავორიტად. შესაძლოა, ფორმალურად მართლაც ასეა, მაგრამ „ჰიტმა“ აშკარა ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა და მისი ხელმეორედ ჩიხში მოქცევა რთული იქნება.

**მაიამი-ჩიკაგო 115:78**

25:20, 30:21, 30:15, 30:22

**მ:** ალენი (21), ჯეიმსი (19+9 პასი+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), კოული (18+6 მოხსნა), უეიდი (15+5 პასი), ბოში (13+5 მოხსნა+3 პასი), ჩელმერსი (11+4 პასი).

**ჩ:** ბელინელი (13+6 პასი), ნოა (12+6 მოხსნა), რობინსონი (11).

**სერია:** 1-1

■ ■ ■

ყველას ახსოვს ამ სერიის პირველი მატჩი, როცა „გოლდენ სტეიტმა“ ოთხ წუთში 16-ქულიანი უპირატესობა გაფლანგა და მეორე ოვერტაიმში **მანუ ჯინობილის** ზუსტი სამქულიანით წააგო. ამ ფსიქოლოგიური დარტყმის შემდეგ, „უორიორზს“ მეორე მატჩში, შესაძლოა, იგივე დამართნოდა, რაც „ჩიკაგოს“ „მაიამისთან“ მეორე თამაშში. მაგრამ **მარკ ჯექსონის** ახალგაზრდა გუნდმა დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის გარდა, ოკლენდელებს საბრძოლო ჟინიც შესაშური ჰქონიათ. შესაბამისად, სან ანტონიოში გამართული ორი მატჩის შემდეგ, ანგარიში 1:1 ამ სერიას სერიოზულ ინტრიგას უნარჩუნებს.

მეორე თამაშზე „გოლდენ სტეიტი“ თავის თავში აბსოლუტურად დარწმუნებული გავიდა და გამარჯვებასაც თავისი კალათბურთის თამაშით მიაღწია.

პირველი მატჩის გმირმა **სტივენ კარიმ** კარგად ითამაშა შეხვედრის დებიუტში და ხანდახან ისეთ ბურთებს უგდებდა მეტოქეს, უფრო ქუჩის კალათბურთს რომ ახასიათებს. ამ გამთამაშებლისთვის მართლაც არ არსებობს ავტორიტეტები და დაუმარცხებელი ოპონენტები.

მაგრამ, როცა „სპურსის“ კალათბურთელებმა ასე თუ ისე მაინც მოახერხეს კარის მარწუხებში მოქცევა, „გოლდენ სტეიტის“ ლიდერობა თავის თავზე აიღო **კლეი ტომპსონმა**, რომელიც ყველა პოზიციიდან ყველა ბურთს აგდებდა. ამის წყალობით, მან პლეი ოფში ქულებისა და მოხსნების რაოდენობით პირადი რეკორდები დაამყარა.

„სან ანტონიომ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ზედიზედ მეორედ გადაერჩინა წაგებული მატჩი, მაგრამ მაქსიმუმი, რასაც მასპინძლებმა მიაღწიეს, 20-ქულიანი ჩამორჩენის ცხრა ქულამდე შემცირება იყო საფინალო სირენამდე 4 წუთითა და 23 წამით ადრე. მაგრამ, როგორც გაირკვა, „უორიორზი“ კარგად სწავლობს საკუთარ შეცდომებზე, აღარ დაუშვა პირველი მატჩის ფინალის გამეორება და დამაჯერებლად მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე.

**სან ანტონიო-გ. სტეიტი 91:100**

23:28, 20:34, 29:21, 19:17

**ს-ა:** დანკანი (23+9 მოხსნა), პარკერი (20+6 მოხსნა+3 პასი), ჯინობილი (12+4 პასი), ლეონარდი (11+12 მოხსნა), გრინი (10+6 მოხსნა).

**გ-ს:** ტომპსონი (34+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), კარი (22+4 პასი), ბარნსი (13+3 პასი), ლენდრი (10+8 მოხსნა), ბოგუტი (6+11 მოხსნა).

**სერია:** 1-1


კლეი ტომპსონი

# 25 წელი დასჭირდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგი ინდივიდუალური პრიზის მფლობელი გახდა „დენვერ ნაგეტსის“ დამრიგებელი **ჯორჯ კარლი** - მან სეზონის საუკეთესო მწვრთნელისთვის განკუთვნილი ჯილდო დაიმსახურა.

გამოკითხვაში კვლავ 121-მა ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა და აქედან 61-მა პირველი ადგილი სწორედ კარს მიანიჭა, სულ კი „ნაგეტსის“ თავკაცმა 404 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე გავიდა „მაიამის“ დამრიგებელი **ერიკ სპოელსტრა**, მესამეზე - „ნიუ იორკ ნიქსის“ მთავარი მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** და მეოთხეზე - **გრეგ პოპოვიჩი** („სან ანტონიო სპურსი“).

კარლი 25 წელია, რაც NBA-ში მუშაობს, მაგრამ ეს მისი პირველი აღიარებაა. „დენვერის“ გარდა, ის ავარჯიშებდა „მილუოკის“, „სიეტლს“, „გოლდენ სტეიტსა“ და „კლივლენდს“. 1993-98 წლებში, „სიეტლმა“ ჯორჯის ხელმძღვანელობით სამჯერ მოიპოვა სეზონში 60-ზე მეტი გამარჯვება, მაგრამ საუკეთესო მწვრთნელის პრიზი **ლენი უილკინსის**, **ფილ ჯექსონისა** და **ლარი ბერდის** საკუთრება ხდებოდა.

წელს, „დენვერმა“ რეგულარულ ჩემპიონატში 57 გამარჯვება მოიპოვა და მესამე ადგილზე გავიდა დასავლეთ კონფერენციაში. გუნდი განსაკუთრებით კარგად შინ თამაშობდა - 41-დან 38 შეხვედრა მოიგო. გარდა ამისა, „დენვერს“ თებერვალი -მარტის პერიოდში ზედიზედ 15 მოგებული მატჩი დაუგროვდა. შეგახსენებთ, რომ „ნაგეტსი“ უკვე გამოეთიშა პლეი ოფს, როცა პირველი რაუნდის სერია 2:4 დათმო „გოლდენ სტეიტთან“.

ჯორჯ კარლი იმ რვა მწვრთნელს შორისაა, ვისაც კარიერაში 1000-ზე მეტი მატჩი აქვს მოგებული - მისი კარიერული მონაგარი 1 313 მოგებასა და 756 მარცხს უტოლდება. დაბოლოს, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ მწვრთნელმა ორჯერ წარმატებით გაიარა კიბოზე მკურნალობის კურსი და დაბრუნდა „ნაგეტსის“ სათადარიგოთა სკამზე. ეს ყველა ინდივიდუალურ პრიზზე ღირებული გამარჯვებაა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ჯორჯ კარლი

ფორმულა 1



# გუნდების უარი ტესტებს

ზედიზედ რამდენიმე წელია, „ფერარი" აქტიურად ლობირებს სეზონის მსვლელობისას სატესტო სერიების დაბრუნებას. გასულ წელს, ასეთი ტესტები მაისში, მუჯელოში გაიმართა, მაგრამ უკვე მაშინ გუნდების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ასეთი ვარჯიში ძალიან ძვირი სიამოვნებაა და საერთოდ, ტესტები ცუდად ჯდება მანქანის მომზადების თანამედროვე კონცეფციაში.

დღეისთვის, ტექნიკურ სიახლეებს CFD-ის კომპიუტერებსა და აეროდინამიკურ მილში ამუშავებენ, შემდეგ ვირტუალურ სიმულატორებზე ამოწმებენ და ბოლოს, პარასკევის თავისუფალი პრაქტიკებისას ცდიან. ასეთ მოწყობილობებსა და სიმულატორებში ბევრმა გუნდმა სერიოზული თანხები ჩადო და ვერ ხედავენ სეზონის მსვლელობისას ტესტების აღდგენის აუცილებლობას. გუშინ სპორტული სამუშაო ჯგუფის რანგში გაიმართა კენჭისყრა და გუნდების უმრავლესობამ უარი უთხრა სატესტო სესიების აღდგენას.

იდეას მხარი დაუჭირა „ფერარიმ" და აგრეთვე იმ რამდენიმე გუნდმა, რომლებიც მომავალ წელს მარანელოში დამზადებულ ძრავებს გამოიყენებენ. სხვები კი წინააღმდეგნი წავიდნენ. გამონაკლისი გაკეთდა მხოლოდ ახალგაზრდა პილოტებისთვის, რომლებისთვისაც ყოველ წელს იმართება ახალგაზრდული ტესტები.

■ ■ ■

ამასობაში, მოახლოვდა ფორმულა 1-ის მორიგი ეტაპის დრო - „დიდი ცირკი" ევროპაში ბრუნდება და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონატი, ფაქტობრივად თავიდან იწყება. ამ პერიოდში გუნდებმა თავიანთ ბაზებზე ნაყოფიერად იმუშავეს და ბარსელონაში ბევრი ტექნიკური სიახლე ჩაიტანეს, რითაც იმედოვნებენ თავიანთი ბოლიდების პოტენციალის სრულად გამოვლენას.

ბუკმეიკერთა ფავორიტების სია კი უცვლელია: **სებასტიან ფეტელი, ფერნანდო ალონსო და კიმი რაიკონენი.**

**ესპანეთის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი:** კატალონია (ესპანეთი)

**წრის სიგრძე:** 4.655 კმ

**წრის რეკორდი:** 1:21,670 (კიმი რაიკონენი, 2008)

**საერთო ჩათვლა**

1. ფეტელი (რედ ბული) - 77 ქულა
2. რაიკონენი (ლოტუსი) - 67
3. ჰემილტონი (მერსედესი) - 50
4. ალონსო (ფერარი) - 47
5. უებერი (რედ ბული) - 32
6. მასა (ფერარი) - 30
7. გროსჟანი (ლოტუსი) - 26
8. დი რესტა (ფორს ინდიან) - 20

**უქმეების განრიგი**

10 მაისი, 12:00 — I პრაქტიკა
10 მაისი, 16:00 — II პრაქტიკა
11 მაისი, 13:00 — III პრაქტიკა
11 მაისი, 16:00 - კვალიფიკაცია
12 მაისი, 16:00 - რბოლა

რალი



# რევოლუცია იგეგმება

უახლოეს მომავალში, კლასიკურ რალიში, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეიცვალოს მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპების ჩატარების ფორმატი. საქმე ისაა, რომ პრაქტიკულად ყოველი ეტაპის ბოლო დღე მხოლოდ პილოტების მიერ საკუთარი პოზიციების დაფიქსირებას ეთმობა და განსაკუთრებით საინტერესო არაფერი ხდება.

ამიტომაც, მსოფლიო რალის ხელმძღვანელობა რბოლებისადმი ინტერესის ასამაღლებლად რევოლუციური გადაწყვეტილების მიღებას აპირებს - შესაბამისი სხდომა 24 მაისს გაიმართება. ეს იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ეტაპის საბოლოო კლასიფიკაცია ერთი სპეცმონაკვეთის შედეგის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

სქემა შემდეგნაირია: პილოტი, რომელიც ბოლო სპეცმონაკვეთის წინ მე-9 ადგილს იკავებს, სტარტზე გავა მეათე შედეგის მქონე პილოტის წინააღმდეგ და მათ შორის უშუალო ბრძოლაში გაირკვევა მეცხრე-მეათე პოზიციის მფლობელთა ვინაობა. სწორედ ამ პრინციპით შედგება კიდევ ოთხი წყვილი და დადგინდება საბოლოო კლასიფიკაცია.

როგორც ორგანიზატორები ამბობენ, ასეთი სქემა გაზრდის ტელევიზიის ინტერესს რალის მიმართ.

რალი

# ლოების ცხრა ტიტული

**გასულ უქმეებზე, ლეგენდარულმა ფრანგმა სებასტიან ლოებმა არგენტინის რალი მოიგო. ცნობილია, რომ მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონმა თითქმის დაასრულა კარიერა და წელს, არასრულფასოვან სეზონს ატარებს, შესაბამისად, ველარ შეავსებს თავისი ტიტულების კოლექციას. ამიტომაც, დღეს ლოების ცხრა ტიტულის ისტორიის გახსენება გადავწყვიტეთ...**

## 2004 წელი: ლოები - 118 ქულა, სოლბერგი - 82

ფრანგს პირველი ტიტულის მოგება თავის პირველივე სრულფასოვან სეზონში შეეძლო, მაგრამ 2004 წლამდე მოცდამ მოუწია. სამაგიეროდ, "სიტროენის" პილოტმა პირველი გამარჯვება ძალიან დამაჯერებლად მოიპოვა. მან კარგად ისარგებლა სეზონის შუაში **სოლბერგის** ზედიზედ სამჯერ გამოვარდნით და კომფორტული უპირატესობა მოიპოვა, რომელიც სეზონის ბოლომდე შეინარჩუნა. თუმცა სებას ექვს გამარჯვებას სოლბერგმა ხუთით უპასუხა, ასე რომ, მაშინ ვერავინ ივარაუდებდა, რომ 2013 წლამდე ჩემპიონი ერთი და იგივე რალისტი იქნებოდა.

## 2005 წელი: ლოები - 127 ქულა, გრონჰოლმი - 71

თუ ერთი წლით ადრე სოლბერგი ლოების ღირსეულ კონკურენტად მოჩანდა, ამჯერად, ფრანგს თითქმის არ ჰყოლია მეტოქე. პეტერი მხოლოდ სეზონის სტარტზე ეწინააღმდეგებოდა (ორი მოგება სამ რბოლაში) ჩემპიონს, მაგრამ საბოლოოდ განადგურდა, ისევე როგორც სხვა დანარჩენები. ლოებმა მოიგო ათი ეტაპი, მათ შორის ექვსი ზედიზედ. გარდა ამისა, იყო 12 ეტაპისგან შემდგარი სერია, რომლის დროსაც ის პოდიუმზე ადიოდა.

## 2006 წელი: ლოები - 112 ქულა, გრონჰოლმი - 111

2006 წელს შეიძლებოდა განმეორებულიყო ლოების პირველი გაჩემპიონების სცენარი, მაგრამ სებასტიანმა თავად გაამწვავა ინტრიგა, როცა ველოსიპედით სეირნობისას ტრავმა მიიღო და სეზონის ბოლომდე ველარ დაუბრუნდა ტრასას. **მარკუს გრონჰოლმმა** ყველაფერი გააკეთა შექმნილი სიტუაციის გამოსაყენებლად, დარჩენილი ოთხი ეტაპიდან სამი მოიგო, მაგრამ ავსტრალიის რალიზე მეხუთე ადგილმა დაალალატა. ასე გახდა ლოები "დივანზე წამოწოლილი ჩემპიონი".

## 2007 წელი: ლოები - 116 ქულა, გრონჰოლმი - 112

2007 წელს, ეტაპების გამოტოვების ტაქტიკა ლოებს არ გაუვიდოდა: თავისი კარიერის ბოლო ჩემპიონატში გრონჰოლმმა ბრწყინვალე ბრძოლა გაუმართა სებასტიანს. სეზონის მსვლელობისას პილოტები გვერდიგვერდ მიდიოდნენ, მაგრამ ფინიში უკეთ ფრანგს გამოუვიდა. გრონჰოლმმა ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა, როცა ირლანდიის რალის მეთხე სპეცმონაკვეთზე ავარიაში მოხვდა. ამის შემდეგ, ლოებს ბრიტანეთის რალიზე მესამე ადგილი ჰყოფნიდა და მან ეს ამოცანა იოლად გადაჭრა.

## 2008 წელი: ლოები - 122 ქულა, ჰირვონენი - 103

ამ სეზონში ფრანგმა ჩემპიონის ტიტული ერთი ეტაპით ადრე გაინაღდა. რომ არა წარუმატებლობები შვედეთსა და იორდანიაში, უფრო ადრეც მოიპოვებდა ჩემპიონობას და ეს იმის მიუხედავად, რომ მისი კონკურენტი **ჰირვონენი** საკმაოდ სტაბილური იყო. მთელი სეზონის განმავლობაში ფრანგმა 11 ეტაპი აიღო, მიკომ - მხოლოდ სამი. ბევრს ახსოვს 2008 წელს ახალი ზელანდიის რალი, რამაც საბოლოოდ დაუკარგა გამარჯვების რწმენა "ფორდს". ეს გუნდი დუბლზე მიდიოდა, მაგრამ ბოლო დღეს, ჰირვონენს საბურავი გაუსკდა, **ლატვალა** კი ავარიაში მოხვდა, რამაც ლოებს მოგება და საერთო ჩათვლაში სერიოზული პროგრესი მოუტანა.

## 2009 წელი: ლოები - 93 ქულა, ჰირვონენი - 92

ჩემპიონატის მსვლელობისას ისე ჩანდა, რომ ლოების გაჩერება არავის შეეძლო: ფრანგმა მოიგო ზედიზედ ხუთი ეტაპი! "ფორდს" იმდენად არ სჯეროდა საკუთარი წარმატების, რომ ლატვალას რწმენის დასაბრუნებლად იტალიის რალი მოაგებინა - არ გაუშვა წინ გუნდის ლიდერი ჰირვონენი. სულ ტყუილად! ლოების რამდენიმე წარუმატებლობის ფონზე, მიკომ ზედიზედ ოთხი ეტაპი მოიგო და ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ეტაპით ადრე, ჩემპიონატის მოულოდნელი ლიდერი გახდა (თუმცა ავსტრალიის რალი სკანდალით დასრულდა, სადაც გამარჯვებულ ლოებს რბოლის შემდეგ ჩამოართვეს პირველობა ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის გამო).

გადამწყვეტ მომენტებში "სიტროენი" მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა: ესპანეთში გუნდმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დუბლი შეასრულა, რითაც ლოებს ბოლო ეტაპზე - ბრიტანეთის რალიზე სიტუაციის კონტროლის საშუალება მიეცა. კონტროლი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ლოებს "უბრალოდ" უნდა მოეგო რბოლა და ყურადღება არ მიექცია მიკოს გამოსვლისთვის. ჰირვონენი ბოლომდე ეწინააღმდეგებოდა ფრანგს, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ამ ბრძოლაში მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა. საბოლოოდ ყველაფერი მაშინ გაირკვა, როცა ნახტომის დროს "ფორდის" მანქანას კაპოტი გაეხსნა.

## 2010 წელი: ლოები - 276 ქულა, ლატვალა - 171

ისევე, როგორც ერთი წლის წინ, სებასტიანმა დამაჯერებლად დაიწყო სეზონი, მაგრამ, ამჯერად, მეტოქეები მისგან "საჩუქრებს" ვერ ელირსნენ. "სიტროენის" პილოტმა ყველა რბოლაში მიაღწია ფინიშამდე და მხოლოდ ერთხელ, იაპონიაში ვერ მოხვდა პოდიუმზე. რვა მოგება და სებმა ჩემპიონის ტიტული ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე იზეიმა. მან ისე გათვალა ყველაფერი, რომ მისთვის ტრიუმფალური ყოფილიყო საშინაო საფრანგეთის რალი.

## 2011 წელი: ლოები - 222 ქულა, ჰირვონენი - 214

საინტერესო სეზონი, რომლის დროსაც სება მისთვის არატიპურ სიტუაციაში აღმოჩნდა: "ფორდის" წარმომადგენლების გარდა, მას საკუთარი თანაგუნდელიც ებრძოდა! **სებასტიან ოჟიემ** მოიგო ხუთი ეტაპი და... დატოვა "სიტროენი" ჩემპიონატის დასრულების შემდეგ. ორი ვარსკვლავი ერთ გუნდში ერთმანეთს ვერ შეეწყო. ლოები, ჰირვონენი და ოჟიე ტიტულის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ, მაგრამ უმცროსი სებასტიანი გამოვიდა ამ ბრძოლიდან ესპანეთში ავარიის მიზეზით.

ბოლო ეტაპზე კი ერთმანეთის პირისპირ წარდგა ორი დარჩენილი პრეტენდენტი! დაძაბული სურათის მისაღებად, ლოები პირველი უნდა გავარდნილიყო რბოლიდან, მაგრამ სინამდვილეში, მიკომ პირველივე დღეს დააზიანა რადიატორი, სებამ კი უკვე ჩემპიონის რანგში დაასრულა ბრძოლა ბოლო დღეს, როცა ავარიაში მოხვდა... სპეცმონაკვეთის დასრულების შემდეგ! წარმოიდგინეთ, რა სულელური მიზეზით შეიძლებოდა ლოებს დაეკარგა ტიტული, მიკოს ფინიშამდე რომ მიეღწია. სინამდვილეში კი - მორიგი გამარჯვება.

## 2012 წელი: ლოები - 270 ქულა, ჰირვონენი - 213

ზამთარში ჰირვონენი "სიტროენში" გადავიდა და ინტრიგა მოკვდა. მიკომ, მოლოდინისამებრ ვერ შეძლო ლოების ტემპის აყოლა, "ფორდის" ორივე პილოტმა კი ფაქტობრივად ჩააგდო სეზონი, განსაკუთრებით ეს ეხება სოლბერგს, რომელსაც ყოველთვის რაღაც ემართებოდა იმ დროს, როცა გამარჯვების შანსი უჩნდებოდა. ბევრ რამეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბოლო ეტაპამდე "ფორდის" ორივე წევრს უსწრებდა "კერძო" პილოტი ოსტბერგი.

ლოებმა კი მოიგო ცხრა ეტაპი და ვადაზე ადრე (ისევ საფრანგეთში) გაიფორმა რიგით მეცხრე ტიტული.

სებმა დაუმარცხებლად დაასრულა მსოფლიოს რალიში "სრულფასოვანი" გამოსვლა, თუმცა ინტერნეტში გაჩნდა ხუმრობა - ლოებს ხუთი ეტაპიც ეყოფა რიგით მეათე ტიტულის მოსაპოვებლად.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



სებასტიან ლოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ფედერერი გავარდა, აზარენკაც...

დღეარ გავა, მადრიდის სუპერტურნირზე ერთი დიდი სენსაცია არ მოხდეს. პირველ დღეს ბრძოლას გამოეთიშა **ნა ლი**, მას მალე **აგნიეშკა რადვანსკა** მიჰყვა, სამშაბათს კი მამაკაცთა მასტერსს გამოეთიშა **ნოვაკ ჯოკოვიჩი**...

მომდევნო დღეს შარშანდელი ფინალისტის **ვიქტორია აზარენკას** ჯერი დადგა. არადა, ბელარუსმა რუს **ეკატერინა მაკაროვსთან** მატჩი ისე დაიწყო, რომ მის ფიასკოს ვერავინ წარმოიდგენდა. ვიქტორიამ სასტარტო გეიმში სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და შემდეგ დომინირებდა კორტზე. 6:1 - ასეთი ანგარიშით მოიგო მან პირველი სეტი.

მეორე პარტიის საწყის გეიმებშიც უკეთ აზარენკა გამოიყურებოდა და მაკაროვას რამდენიმე ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია. ამის შემდეგ, ინიციატივა მთლიანად რუსის მხარეს გადავიდა. ამან მაკაროვას ორი ბრეიკის აღებისა და 5:2 დაწინაურების საშუალება მისცა. მალე სეტებს შორის ანგარიში გათანაბრდა.

აზარენკა თითქოს კარგად განეწყო გადამწყვეტი სეტისთვის და თავიდანვე ბრეიკით დაწინაურდა. რამდენიმე გეიმის განმავლობაში ბელარუსი ინარჩუნებდა ამ მცირე უპირატესობას, მაგრამ ჩააგდო მეექვსე გეიმი. ამას მოჰყვა მსაჯთან ხანგრძლივი კამათი, რამაც ვიკა საბოლოოდ გამოიყვანა წყობიდან და შეცდომა შეცდომაზე დაუშვა, რითაც მაკაროვამ კარგად ისარგებლა - 1:6, 6:2, 6:3. აღსანიშნავია, რომ ეს იყო აზარენკას პირველი მარცხი მიმდინარე სეზონში.

კიდევ ერთი სიურპრიზის ავტორი გახდა **დანიელა ჰანტუხოვა**, თუმცა მისმა მსხვერპლმა **პეტრა კვიტოვამ** ისე მიგვაჩვია ნაგებებს, რომ ჩეხის მორიგი მარცხი სენსაციად აღარ მიიჩნევა. პირველი სეტი კვიტოვამ მოიგო, მაგრამ შემდეგ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და სლოვაკმა ამით ძალიან კარგად ისარგებლა - 2:6, 6:2, 6:3.

ასევე აღვნიშნავთ **ანა ივანოვიჩისა** და **ლორა რობსონის** შეხვედრას. ჩოგბურთელებმა ჯამში 15 (!) ბრეიკი გააკეთეს, გადამწყვეტ სეტში რობსონი 5:2-ს იგებდა, მაგრამ, საბოლოოდ, ტაი-ბრეიკზე დამარცხდა.

■ ■ ■

წარმატებული სტარტი აიღო მადრიდში **რაფაელ ნადალმა**, რომელმაც მეორე წრეში 6:3, 6:4 მოუგო ფრანგ **ბენუა პერს**. გუშინ, მასტერსზე მერვედფინალური მატჩები გაიმართა და რაფამ, ამჯერად, მხოლოდ ხუთი გეიმი გაიმეტა **მიხაილ იუჟნისთვის** - 6:2, 6:3.

გუშინდელი მერვედფინალური ეტაპის მთავარი სენსაცია კი იაპონელმა **კეი ნიშიკორიმ** შემოგვთავაზა, რომელმაც მოქმედი ჩემპიონი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** გამოთიშა ბრძოლას - 6:4, 1:6, 6:2. მატჩი საათი და 35 წუთი გაგრძელდა. ნიშიკორიმ ოთხიდან სამი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, ფედერერმა - შვიდიდან ორი. იაპონელს 17 „ვინერსი" და 30 უნებლიე შეცდომა ჰქონდა, შვეიცარიელს - 31 „ვინერსი" და 31 შეცდომა.



როჯერ ფედერერი

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ლესტერი-უოტფორდი | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| კლოპენბურგი-ვიქტორია | 3:1 |
| ჰამბურგი II-ჰაველსე | 2:1 |
| ვოლფსბურგი II-რედენი | 2:0 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ალკმაარი-ეინდჰოვენი | 2:1 |
| **ბელგიის თასი** | |
| **ფინალი** | |
| სერკლი-გენკი | 0:2 |
| **დანიის თასი** | |
| **ფინალი** | |
| რანდერსი-ესბერგი | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| ვიკინგი-ჰაუგესუნდი | 0:0 |
| ლილესტრიომი-სიოგნდალი | 2:2 |
| მიოლდე-ოლესუნდი | 4:1 |
| ოდ გრენლანდი-სტრიომსგოდ. | 1:1 |
| სარპსბორგი-სანდნესი | 3:2 |
| ბრანი-სტარტი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| სანდეფიორდი-ჰამ კამი | 3:2 |
| ფრედრიკსტადი-ულ კისა | 2:2 |
| ბრინი-სტრომენი | 2:1 |
| ელვერუმი-რანჰაიმი | 1:4 |
| ფოლო-სტაბეკი | 2:3 |
| ჰიოდი-კონგსვინგერი | 1:0 |
| მიონდალენი-კრისტიანსუნდი | 2:1 |
| ვარდ ჰაუგესუნდი-ბოდო გლიმტი | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრაგე-ჰამარბიუ | 0:2 |
| **ფინეთი** | |
| ჰიკ-მარიეჰამნი | 0:0 |
| ჰონკა-როვანიემი | 2:0 |
| ინტერი-ლაჰტი | 2:0 |
| იუვიასკიულა-ვაასა | 0:1 |
| კუოპიო-ტურკუ | 4:1 |
| მიუპა-იარო | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ოულუ-კტპ | 3:3 |
| ჰაკა-ოპს | 3:1 |
| იიპო-პკ35 | 0:1 |
| სეინაიოენი-კაიაანი | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| სერვეტი-თუნი | 2:0 |
| **ჩელენჯლიგა** | |
| არაუ-ბილი | 6:0 |
| ვილი-ვოლენი | 1:2 |
| **საბერძნეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| პანათინაიკოსი-ქსანტი | 3:0 |
| **რუმინეთი** | |
| კლუჟი-ტურნუ | 1:3 |
| იაში-ასტრა | 0:2 |
| რაპიდი-კონკორდია | 0:0 |
| პანდური-კონსტანტა | 4:1 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ჰაგენი-ბამბერგი | 95:89 |
| ბონი-ოლდენბურგი | 88:80 |
| **იტალია** | |
| რომა-რეჯო ემილია | 58:70 |
| სასარი-კანტუ | 90:70 |
| **ჰოკეი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| რუსეთი-საფრანგეთი | 1:2 |
| ჩეხეთი-დანია | 2:1 (ბ) |
| სლოვაკეთი-ლატვია | 3:5 |
| შვედეთი-კანადა | 0:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მადრიდი** | |
| ბერდიხი-ანდერსონი | 7:6, 7:5 |
| ანდუხარი-ხიმენო ტრავერი | 7:5, 6:0 |
| ნადალი-იუჟნი | 6:2, 6:3 |
| ცონგა-ვერდასკო | 4:6, 6:3, 6:2 |
| ფედერერი-ნიშიკორი | 4:6, 6:1, 2:6 |
| ფერერი-ჰაასი | 7:5, 4:6, 6:4 |
| ვავრინკა-დიმიტროვი | 3:6, 6:4, 6:1 |
| **WTA. მადრიდი** | |
| ლისიცკი-შარაპოვა | 2:6, 5:7 |
| ს. უილიამსი-კირილენკო | 6:3, 6:1 |
| ჰანტუხოვა-კანეპი | 3:6, 4:6 |
| მაკაროვა-ბარტოლი | 6:3, 6:2 |
| ლეპჩენკო-ერანი | 5:7, 3:6 |

ამბები

**კრივი**

## როგორც ოსკარ პისტორიუსი

სერიოზულ სკანდალში გაეხვია ამერიკული სუპერმძიმეწონოსანი, პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი **დეონტეი უაილდერი**, რომელიც 4 მაისს, ლას ვეგასში დააპატიმრეს. მან ქალს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და მისი დახრჩობა სცადა. მოგვიანებით, უაილდერი 15 ათასი დოლარის ოდენობის გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

მოკრივე ლას ვეგასში **ფლოიდ მეივეზერის** ბრძოლაზე დასასწრებად ჩავიდა, მაგრამ მანამდე ლას ვეგასის ერთ-ერთი სასტუმროს დაცვამ დააკავა და პოლიციას გადასცა.

როგორც ინტერნეტგამოცემა BoxingScene.com იუწყება, როცა პოლიციელები სასტუმროში მივიდნენ, იქ დაკავებული მამაკაცი და ქალი იხილეს. ამ უკანასკნელს სახე დასივებული ჰქონდა, კისრის არეში კი უამრავი სისხლჩაქცევა აღენიშნებოდა, გარდა ამისა, ცხვირი ჰქონდა გატეხილი და ტუჩი გახეთქილი. ქალი სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს, დეონტეი უაილდერი კი პოლიციის განყოფილებაში.

გუშინ, სუპერმძიმეწონოსანმა პირველი კომენტარი გააკეთა მომხდართან დაკავშირებით, რამაც ცნობილი მორბენალი ამპუტანტის **ოსკარ პისტორიუსის** შემთხვევა გაგვახსენა. ეს უკანასკნელი ბრალდებულია შეყვარებულის მკვლელობაში. ის აცხადებს, რომ მსხვერპლი მძარცველი ეგონა და ამის გამო დაესხა თავს. დაახლოებით იმავეთი იმართლებს თავს უაილდერიც, მაგრამ ეეჭვებათ, რომ პოლიცია მის არგუმენტებს გაიზიარებს.

დეონტეი უაილდერმა თავისი ბოლო ბრძოლა 27 აპრილს გამართა, როცა პირველივე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ბრიტანელი **ოდლი ჰარისონი**. უაილდერს 28 ბრძოლაში 28 გამარჯვება აქვს მოპოვებული.

**ოლიმპიზმი**

## კიდევ ერთი კანდიდატი

გერმანიის ოლიმპიური სპორტული კონფედერაციის ხელმძღვანელმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა **ტომას ბახმა** სოკ-ის პრეზიდენტის არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენება გადაწყვიტა. 58 წლის ჩინოვნიკმა, რომელმაც 1976 წლის თამაშებზე ოქროს მედალი მოიგო ფარიკაობაში, ამ სიახლის შესახებ სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა.

ასევე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიას აცხადებენ: სოკ-ის კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტი **სერ მიან ნგი**, კომიტეტის ყოფილი წევრი **რიჩარდ კარიონი** და მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **სერგეი ბუბკა**.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოქმედი პრეზიდენტია ბელგიელი **ჟაკ როგე**, რომელიც ამ ორგანიზაციას 2001 წლიდან უდგას სათავეში. სოკ-ის ახალი პრეზიდენტის არჩევნები ამა წლის სექტემბერში ბუენოს აირესში ჩატარდება. იქვე გაირკვევა 2020 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძელი ქალაქი. კანდიდატი სამია: მადრიდი, ტოკიო და სტამბოლი.

TV პროგრამა

**10 მაისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. XII ტური. ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXII ტური. ვერდერი-ჰოფენჰაიმი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი. ჩელსი-ტოტენჰემი.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. XII ტური. არსენალი-ნიუელსი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVI ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVI ტური. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან პაულუ-კორინთიანსი.
01:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-საუთჰემპტონი.
17:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. ცსკა-ოლიმპიაკოსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჩიკაგო ბულზი. 1997-98 წლები.
23:00 კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. ბარსელონა-რეალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
06:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. გოლდენ სტეიტი-სან ანტონიო. III მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი. II მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
16:00 სპორტ-NEWS.
16:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
17:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# დიდი სენსაცია: საფრანგეთმა რუსეთს მოუგო

გუშინ, უდიდესი სენსაცია მოხდა მსოფლიოს ჩემპიონატზე - თავის ჯგუფში პირველი მატჩი წააგო რუსეთის ნაკრებმა, თანაც იმ გუნდთან, რომლისგანაც ასეთ გმირობას ვერავინ წარმოიდგენდა. საფრანგეთმა 2:1 მოუგო ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს და ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია.

სამივე გოლი ამ მატჩში მეორე პერიოდში გავიდა. 27-ე წუთზე რუსებმა ბულიტის უფლება მიიღეს, მაგრამ **ალექსანდრ რადულოვმა** შანსი ვერ გამოიყენა. მიუხედავად ამისა, ფავორიტმა მალე გახსნა ანგარიში - ეს გააკეთა ფორვარდმა **ალექსანდრ პერეჟოგონმა**.

ფრანგებმა ანგარიში 30-ე წუთზე გაათანაბრეს - **დამიენ ფლერის** ზუსტი დარტყმით, 38-ე წუთზე კი **ანტუან რუსელმა** წინ გაიყვანა საფრანგეთი.

ამის შემდეგ, რუსები მეტოქის ზონაში დასახლდნენ, მაგრამ მათ დარტყმებს იგერიებდა მეკარე **ფლორიან არდი**, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. სხვათა შორის, არდი საფრანგეთის მესამე მეკარეა. როგორც ჩანს, ფრანგების დამრიგებელს არ სჯეროდა თავისი გუნდის გამარჯვების და დასვენების საშუალება მისცა **კრისტობალ იუესა და ფაბრისუ ლანრის**.

ასე მოულოდნელად შეწყდა რუსეთის ნაკრების 13-მატჩიანი მოგებათა სერია მსოფლიოს ჩემპიონატზე, თან ეს მოხდა 9 მაისს, გამარჯვების დღეს.



ფრანგების სენსაცია

**A ჯგუფი**

**სლოვენია-შვეიცარია 1:7**

1:3, 0:3, 0:1

გოლები: 1:0 პაიჩი-1 (პავლინი, პრეტნარი), 1:1 ბოდენმანი-2 (კუნტი, ჰოლენშტაინი), 1:2 კუნტი-1 (ბოდენმანი, ჰოლენშტაინი), 1:3 ჰოლენშტაინი-2 (ბოდენმანი), 1: 4 ჰოლენშტაინი-3 (ვოკლერი, უოლკერი), 1:5 მოზერი-2 (პლუსი, ნიდერაიტერი), 1:6 ამბული-2, 1:7 სური-3 (ამბული, გარდნერი).

**ნორვეგია-შვედეთი 1:5**

0:2, 1:0, 0:3

გოლები: 0:1 ლანდესკოგი-1 (აქსელსონი, ფრანსონი), 0:2 ლ. ერიქსონი-1 (პერსონი, აქსელსონი), 1:2 ჰოლტეტი-1, 1:3 იამტინი-1 (ფრანსონი), 1:4 ფალტი-1 (აქსელსონი, პერსონი), 1:5 ლანდესკოგი-2 (პიალმარსონი, ლ. ერიქსონი).

| | თ | მო- | მო- | წ | წ | გ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 18-7 | 11 |
| 2. შვედეთი | 4 | 3 | 0 | 0 | 1 | 11-6 | 9 |
| 3. კანადა | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 12-5 | 7 |
| 4. ნორვეგია | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 8-15 | 6 |
| 5. ჩეხეთი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 6. ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 7. დანია | 3 | 0 | 1 | 0 | 2 | 6-8 | 2 |
| 8. სლოვენია | 4 | 0 | 0 | 1 | 3 | 7-17 | 1 |

**B ჯგუფი**

**ავსტრია-გერმანია 0:2**

0:0, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 კინკი-2, 0:2 კინკი-3.

**აშშ-ფინეთი 4:1**

1:1, 0:0, 3:0

გოლები: 0:1 კოსკირანტა-1 (პესონენი, პეიტანენი), 1:1 კ. სმიტი-1 (მოსი, ბატლერი), 2:1 კ. სმიტი-2 (შჩასტნი, ფოლკი), 3:1 ს. ჯონტა-1 (ტომპსონი), 4:1 კ. სმიტი-3 (შჩასტნი, მოსი).

| | თ | მო- | მო- | წ | წ | გ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 15-4 | 9 |
| 2. აშშ | 4 | 3 | 0 | 0 | 1 | 16-10 | 9 |
| 3. ფინეთი | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 10-8 | 8 |
| 4. სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 9-6 | 6 |
| 5. გერმანია | 4 | 1 | 0 | 1 | 2 | 8-11 | 4 |
| 6. საფრანგეთი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 6-10 | 3 |
| 7. ავსტრია | 4 | 1 | 0 | 0 | 3 | 10-13 | 3 |
| 8. ლატვია | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 4-16 | 0 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# იგორ კოკოშკოვი: ვამაყობ!



## ბედმა გამიღიმა, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას მოვხვდი

თვრიოდე თვის წინათ „ტაიმლაინში" იტალიური გამოცემა „დეილიბასკეტის" ვრცელი პუბლიკაცია გადმოვაქართულეთ. რუბრიკაში „დროშები და კულტურა" საქართველოს შესახებ საინტერესო „მოხსენება" იყო, ისტორიიდან დაწყებული, კერძებით დამთავრებული.

ავტორი, **მიკი პეტენე** საქართველოს შემდეგ პანამას შეეხო, კიდევ სხვა ქვეყნებზე იმსჯელა დაწვრილებით და ისევ საქართველოს დაუბრუნდა. თან სწორედ იმ კუთხით, რაც ჩვენს მკითხველს უთუოდ დააინტერესებს - ჟურნალისტი საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების თავკაც იგორ კოკოშკოვს ჩვენს ქვეყანაზე ესაუბრა. ცხადია, დიალოგი სხვა თემებსაც შეეხო.

აი, რას წერს ბატონი პეტენე:

„რუბრიკა „დროშები და კულტურის" მორიგი სტუმარი არა რომელიმე ქვეყანა, არამედ საინტერესო პიროვნებაა: იგორ კოკოშკოვი სერბია, ამერიკაში ცხოვრობს („ფინიქს სანსის" მწვრთნელია) და საქართველოს ნაკრებს წვრთნის.

იგი მშობლიური ბელგრადიდან ამერიკაში 1999 წელს გადავიდა და ერთ-ერთი პიონერთაგანი იყო ევროპელ მწვრთნელთა შორის. კოლეჯთა ლიგაში მოკლე დროში მოაგროვა საკმარისი გამოცდილება და NBA-დანაც მიიღო მიწვევა. კოკოშკოვს 2008 წელს საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზეს და მას მერე კავკასიის ქვეყანაშიც მუშაობს. ჩვენი რუბრიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, უმთავრესად სწორედ საქართველოში მოღვაწეობაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ქალბატონებო და ბატონებო, წარმოგიდგენთ იგორ კოკოშკოვს.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ფაქტი, რომ კოლეჯების ლიგაში პირველი ევროპელი მთავარი მწვრთნელი იყავით?**

- ეს ჩემთვის დიდი პატივია. გამიმართლა, რომ საჭირო დროს სწორედ იქ მოვხვდი, სადაც საჭირო ვიყავი. ყოველთვის ვამბობ: ევროპაში უამრავი მაღალი დონის სპეციალისტია, სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით, რომლებსაც NBA-ში მუშაობა ხელეწიფებათ. ამერიკაში რომ ჩავედი, ყველაფერი იდეალურად არ აწყობილა, რთული იყო ახალ გარემოსთან მორგება. მანამდე სერბეთის ლიგაში მქონდა ნათამაშები (კარიერა ნაადრევად, სერიოზული ტრავმის გამო დავასრულე) და ამერიკული ტიპის კალათბურთთან შეხება არ მქონდა. თუმცა ნელ-ნელა მასაც ავუღე ალღო და სათანადო ცოდნაც შევიძინე.

> ვამაყობ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრები რამდენი გამოწვევის წინაშეც დადგა, იმდენჯერ თავი შესანიშნავად გაართვა.

**- პირველი გუნდი „მისური" იყო...**

- ამ სასწავლებელში 1999 წელს დავიწყე მუშაობა და მხოლოდ ერთი წელი გავატარე. წარმატებული სეზონი გამოვიდა და მას შემდეგ იღბალი თან მდევს - მეცამეტე წელია NBA-ს გუნდებში ვმოღვაწეობ. რომ მკითხოთ, რა განაპირობებს ამას, გიპასუხებთ: ჩემი, როგორც მწვრთნელის ხარისხი და მუდმივი სწრაფვა გაუმჯობესებისკენ.

> მთავარი არა მე, არამედ კალათბურთელები არიან. სწორედ ისინი გადიან მოედანზე, ისინი იბრძვიან და ისინი იმარჯვებენ ქართველი ხალხის სახელით.

**- სამწვრთნელო კარიერა 24 წლისამ დაიწყეთ...**

- რადგან სპორტსმენის კარიერა ვერ ამეწყო, მწვრთნელობა გადავწყვიტე. თავიდან სერბეთში ვმუშაობდი, შემდეგ კი ამერიკაში „მეგობრულად" მოვხვდი, ვმუშაობდი ქუინ სნაიდერთან, რომელიც ახლაც ჩემი უახლოესი მეგობარია. იმ დროს ვერ წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა ამერიკაში დიდი ხნით დავრჩენილიყავი. იქ იმიტომ ჩავედი, რომ მომეპარა უკეთესად მუშაობის საიდუმლო. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა.

**- ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრები სლოვენიის ევრობასკეტზე ერთ-ერთი სიურპრიზთაგანი იქნება. რამდენად რთულია ამ გუნდით ევროპის საუკეთესო ნაკრებებთან თამაში?**

> სამწუხაროდ, არ მაქვს დრო, რომ დავესწრო საქართველოს ჩემპიონატის თამაშებს

- დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი ევრობასკეტზე მეორედ ითამაშებს, რაც საქართველოსთვის დიდი მიღწევაა. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დღევანდელი შემადგენლობა სავსეა ნიჭიერი კალათბურთელებით. თავად განსაჯეთ: უმეტესობა საერთაშორისო დონეზე წარმატებით თამაშობს. ყოველთვის სასიამოვნოა აუტსაიდერის სტატუსით გამოსვლა. ასე იყო აქამდე ევროპის წამყვანი გუნდების წინააღმდეგ და ასე იქნება სექტემბერშიც, ევრობასკეტზე. ისიც ვიცით, რომ სლოვენიაში ოქროს ვერ მოვიპოვებთ, მაგრამ ვეცდებით ყოველი მეოთხედი უკეთესად ჩავატაროთ. ვამაყობ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრები რამდენი გამოწვევის წინაშეც დადგა, იმდენჯერ თავი შესანიშნავად გაართვა. ევროპის 2013 წლის ჩემპიონატი, ახალი გამოწვევაა და ვიმედოვნებ, წინსვლას განვაგრძობთ.

**- საერთაშორისო არენაზე ქართველი უკანახაზელების სიმცირეა. თუმცა ნაკრები მაინც კარგად ასპარეზობს. ამას როგორ ახერხებთ?**

- წონა ჩვენი გუნდის მთავარი პლუსია. პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ რა შემადგენლობით, რა სახის გუნდით მივდივართ ევრობასკეტზე. ამაზე დიდ გავლენას ახდენს კალათბურთელთა ჯანმრთელობა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გვყავს კალათბურთელები, რომლებიც რამდენიმე პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით თამაშობენ. სწორედ უნივერსალიზმია საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი კოზირი. გარდა იმისა, რომ გვყავს სტაბილურად მოთამაშე გამოცდილი კალათბურთელები, ყოველწლიურად ვცდილობთ, შანსი მივცეთ ახალგაზრდებს.

**- ზოგადად ქართულ კალათბურთზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- სერბეთში ჩემი ყოფილი მწვრთნელი ირონიულად ამბობდა: წარმატების გასაღები გამარჯვებააო. სანაკრებო გამარჯვებები ქართულ კალათბურთის განვითარებაში დიდად უწყობს ხელს. კალათბურთი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა საქართველოში. უფრო და უფრო მეტი ბავშვი ცდილობს მიჰბაძოს გმირებს, ნაკრების კალათბურთელებს. სამწუხაროდ, არ მაქვს დრო, რომ დავესწრო საქართველოს ჩემპიონატის თამაშებს. თუმცა სასიამოვნოა, რომ ბოლო დროს ლიგაში უცხოელთა რაოდენობამ იმატა, რამაც პროგრესზე დადებითად უნდა იმოქმედოს.

> გვყავს კალათბურთელები, რომლებიც რამდენიმე პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით თამაშობენ. სწორედ უნივერსალიზმია საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი კოზირი

**- ინტერნეტში ვნახე საქართველოს პრეზიდენტმა როგორ დაგაჯილდოვათ ორდენით. მეუცნაურა, როცა ეს ვენახებში მოხდა. ზოგადად ქართველ ხალხზე რას გვეტყვით?**

- მოხარული ვარ, რომ მთავრობა და ხალხი აცნობიერებს, რას მივაღწიეთ ბოლო წლებში. ცერემონიალზე ფედერაციის წევრებთან ერთად ვიყავი, მაგრამ წარმატება მხოლოდ ჩვენი დამსახურება არ არის, ფედერაციამ დიდი მოცულობის სამუშაო გასწია. მთავარი კი ჩვენი კალათბურთელები არიან. სწორედ ისინი გადიან მოედანზე, ისინი იბრძვიან და ისინი იმარჯვებენ ქართველი ხალხის სახელით. საქართველოს ნაკრებთან მიმართებაშიც გავიმეორებ - ბედმა გამიღიმა, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას მოვხვდი.

**ვაჟა სიმონიშვილი**




კარიკატურა. ავტორი ვაჟა სიმონიშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:35
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608